WWW.SAERTOGAZETI.ORG

# საერთო გაზეთი

№18 (252) ● 5-11.VI.2013 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● www.saertogazeti.org; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი



## ლევან ვასაძე – ლექსები

„უსაზღვრო ნისლებს, უფალო,
მიწამდე დახრის ქარები,
ოქტომბერს ისე, უბრალოდ,
ველარსად დავემალები.

რა ვქნა, ამ გზაზე მაცხოვარს,
მითხარი, რისთვის გჭირდები,
გულით ვგრძნობ, მუდამ გახსოვარ
და შებრალებას მპირდები.“

## „ვაშინგტონ პოსტი“ ცდება, საქართველოს დემოკრატია საფრთხეში არ არის

## დიდი სეირი და დიდი „სეილი“ ქართულ მედიაში



## ხათუნა ლაგაზიძე:

ჯერ საპრეზიდენტო არჩევნებმა ჩაიაროს და მერე გამოიკვეთება, საჭირო იქნება თუ არა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება



## პაატა ცნობილაძე:

საპრეზიდენტო არჩევნების დამთავრებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა დაინიშნოს ახალი საპარლამენტო არჩევნები



## ვლადიმერ ხომერიკი: რუსეთზე რომ გაიძახით, ოკუპანტიო, ვერ ხვდებით, რომ მთავარი ოკუპანტი უკვე თბილისში გყავთ და ყველა კაბინეტში ამერიკელი მრჩევლები გიზით?

## ზურაბ ჭიქოვანი:

## ქართველთა ხოლოკოსტი

საქართველოს მმართველი პოლიტიკური უმრავლესობის დისკრედიტაციის გამწევს, შემზარავი ლეგენდის შემთხზველს, დამნამშავეს ღვთისა და ერის წინაშე პაატა ზაქარეიშვილს სახელმწიფო ღალატში ვდებ ბრალს!

## მცხეთაში კვლავ ჩოჩელი და მისი ბანდა დათარეშობს!

აორთქლებული მილიონები და ჩოჩელის მიერ ჩაჩოჩებული „ქართული ოცნება“

## „ჩვენ ჩვენი ქართული ჰომოსექსუალიზმი გვინდა!“

● ვის სულს ითხოვენ საქართველოში?

● რატომ არის ფარაჯანოვი და კინტო „ჩვენი“ — ქართველი ჰომოსექსუალი?

## რედაქტორის სვეტი



ვახტანგ ხარჩილავა

—„საერთო გაზეთი“ ფაშისტური გაზეთია, ნახეთ, რას წერენ ჩვენზე! — ასე ყვიროდა ერთი პოლიტიკური ორგანიზაციის ოფისში აწ უკვე გაპარლამენტარებული ერთი პოლიტიკოსი და მრისხანედ აფრიალებდა „საერთო გაზეთის“ იმ ნომერს, სადაც მისი და მისი პარტიის ანტიქართულ საქმიანობაზე იყო საუბარი.

ეს ის პარტიაა, რომელთანაც ოცი წელია იდეოლოგიური შეუთავსებლობა და დაპირისპირება გვაქვს არა მარტო მე, არამედ თითქმის მთელ საქართველოს.

მიუხედავად ამისა, ეს ერთპროცენტიანი რეიტინგის მქონე პარტია ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ბედის ირონიით ხელისუფლებაში მოვიდა და თავისი ძველი ოპონენტების წინაამდეგ ფარული ომი გააჩაღა.

სწორედ ამის შედეგია ის, რომ „საერთო გაზეთი“ დღეს სრულ ბლოკადასა და იზოლაციაში მოექცა.

**ოქტომბრის შემდეგ შვიდი თვე გავიდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში არც ერთ ტელევიზიას პრესის მიმოხილვის არც ერთ გადაცემაში არც ერთხელ არ უხსენებიათ „საერთო გაზეთი“, მიუხედავად იმისა, რომ ამ გაზეთში უამრავი ისეთი პუბლიკაციაა გამოქვეყნებული, რომლებიც არ შეიძლებოდა საზოგადოების, გნებავთ, ხელისუფლების ყურადღების მიღმა დარჩენილიყო.**

იქმნება შთაბეჭდილება, რომ „საერთო გაზეთი“, რომელსაც თავისი შესაძლებლობების ფარგლებში საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში, „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ დამარცხდა, სამაგიეროდ, გაიმარჯვეს მათ, ვინც თავისი არსებობის მანძილზე ქართველი ხალხის ჭეშმარიტად ქართულ ოცნებას ფრთებს აჭრიდა და ამ ოცნებას უცხო თარგს და ყალიბს არგებდა.

**ერთ-ერთი ყველაზე ეროვნული გამოცემა!** — ასე ახასიათებს **„საერთო გაზეთს“** მკითხველი საზოგადოება.

**სწორედ ამიტომ ხომ არ იდევნება დღეს „საერთო გაზეთი“ ასე გულდაგულ, რომ მას ეროვნული ინტერესებისთვის არასოდეს გადაუხვევია?**

— რას ნიშნავს ეროვნული გაზეთი? გაზეთი უნდა იყოს და არავის მხარეს არ უნდა წარმოადგენდეს — იტყვის, ალბათ, რომელიმე ე.წ. მედიაექსპერტი.

**უნდა ვაღიაროთ — „საერთო გაზეთი“ ნამდვილად წარმოადგენს მხარეს და ეს მხარე არის საქართველო.**

დღეს ისეთი სიტუაცია შექმნილი, ისეთი საგანგაშო, შეიძლება ითქვას, ისეთი საბედისწერო ვითარებაა, ჩვენ არ გვაქვს უფლება მხარე არ ვიყოთ და იქ არ დავდგეთ, სადაც საქართველოა.

ეს ჩვენი მოქალაქეობრივი, ადამიანური მოვალეობაა.

უცხო და გაუგებარია ეს სიტყვები მათთვის, ვისაც სამშობლოს ღალატი ხელობად, სარფიანი შემოსავლის წყაროდ უქცევია და ქვეყნის დამაქცევარ და ამაოხრებელ უცხო ძალას ფიანდაზად ეგება ფეხქვეშ.

წინა ნომერში ვწერდი — უხილავი მტერი შემოესია საქართველოს, მტერი-ვირუსი, მტერი-ბაცილა, რომელიც არ ჩანს.

ბიოლოგიური იარაღითაა ეს მტერი — ვირუსი, ეს მტერი — ბაცილა არ ჩანს, მაგრამ კლავს!

— გაჩერდი, თორემ შენც მოგკლავენ! — მითხრა ერთმა მეგობარმა.

— ცდება ჩემი მეგობარი — ეს დახვეწილი არამზადები ჯერ „საერთო გაზეთს“ მოკლავენ, რის შემდეგაც ჩემი მოკვლა საჭირო არ იქნება...

თუმცა სანამ ეს მოხდება, „საერთო გაზეთი“ შეეცდება დიდი მხილების პროცესი დაიწყოს...

## ლიტერატურული საქართველო



# „ლიტერატურული საქართველო“ ასპარეზზე გამოდის!

„გრიშა ბიძიები ისევ დეპოში სხედან!

ხოლო ბობოლა ნაციონალები დღესაც სააკაშვილის ნაცშია!...

ინტერნაციონალის სტრიქონები კი ახლაც ძალაშია — „აღსდექ კრულვითა დაღდასმულო, ქვეყანავ მშიერ მონების!...“

დარწმუნებული ვარ, ჩვენი ქვეყანა ასეთთა რიგებში აღარ იქნება — ჩვენს გადასარჩენად ღმერთმა საქართველოში ბატონი ივანიშვილი მოავლინა!

და, ახლა, თუ ყველა ქალი ბუტკაში შევა და იქ ქარგვით, ჭრა-კერვით დაკავდება, ხოლო ყველა მამაკაცი ბუტკიდან გამოვა, კავსა და გუთანს მოეკიდება — საშველი უსათუოდ იქნება!

ოღონდ მანამდე „ლიტერატურული საქართველო“ უნდა აღსდგეს!

ოღონდ მანამდე საქართველო უნდა აღსდგეს!

დღეს ყოველმა ქართველმა იცის, რომ ჩვენი ქვეყნის აღდგინება მხოლოდ ერთ კაცს — ბიძინა ივანიშვილს ხელეწიფება!

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, „ქვეყნის ხერხემალი“ ვანო მერაბიშვილი ციხეშია და, როგორც ამბობენ. „ვერ გამოვა დიდხანს, დიდხანს, ხალხზე ზრუნვას თავს ანებებს, დამჯდარა და ფეხებს იფხანს!“...

ამასობაში კი საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია უნდა აღორძინდეს, ქართველ ხალხს „ღმერთთან მოლაპარაკე“ და ერის წინამძღოლი ახალი ილია ჭავჭავაძეები უნდა აღუზარდოს!

სულ რამდენიმე წელი და, ბაზალეთის ტბის ძირას აკვანში ის ყმა რომ წევს, „ვისიც არ ითქმის სახელი, ვისაც დღე და ღამ ნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართველი“ — ქართულ ეროვნულ აკადემიაში დაფრთიანდება და მომავალ საქართველოს წინ წარუძღვება!...

მანამდე კი უკვე მეათასედ ვამბობ, „ლიტერატურული საქართველო“ უნდა აღსდგეს!...

მანამდე კი ამასაც მეათასედ ვამბობ, საქართველოს უნდა აღსდგეს!...

საქართველოს აღმდგენელზე ზემოთ მოგახსენეთ — ის ბატონმა ივანიშვილმა უნდა აღადგინოს!..

„ლიტერატურული საქართველოს“ აღდგენაზე კი ქვემოთ მოგახსენებთ — ისიც ბატონმა ივანიშვილმა უნდა აღადგინოს!..“

**თამაზ წივწივაძე**

**„ლიტერატურული საქართველო“, 2013**

„ჭეშმარიტად ისტორიული მომენტია — დიდი დევნილობის შემდეგ „ლიტერატურული საქართველო“ ქართულ მწერლობასა და ქართველ მკითხველს უბრუნდება.

ამასთან ერთად ცხრა წლის განმავლობაში დევნილობაში მყოფი ქართული მწერლობაც ცდილობს კვლავ მოიკრიბოს მხნეობა და მწერალთა ეროვნული აკადემიის სახით იმ ძალად იქცეს, რომელიც საქართველოს ფარად აეფარებოდა.

თითქმის ცხრაწლიანი ომიდან ვბრუნდებით — დაღლილები, დაქანცულები, მრავალგანსაცდელგამოვლილნი, მაგრამ მაინც დაუმარცხებელნი.



გამარჯვებულებიო, არ ვამბობ, რადგან გამარჯვებამდე ჯერ კიდევ ბევრი ბრძოლაა გადასახდელი.

გამარჯვებულნი შეიძლება არა, მაგრამ არც დავმარცხებულვართ...

დამარცხდნენ ისინი, ვინც თავი დაუდრიკა სასტიკ და არაადამიანურ რეჟიმს, ზავით შეეკრა მოძალადეებს და მათი სისხლიანი ხელებით მორთმეულ ოცდაათ ვერცხლს დახარბდა.

კარგად მახსოვს, 2004 წელს როგორ ცდილობდნენ „ნაცმოძრაობის“ ლიდერების მიერ დაგეშილი მომწერლო-მოპოეტო ელემენტები მწერლების გადაბირებას — ახალმა ხელისუფლებამ შემოგვითვალა, ოღონდ წივწივაძე გააგდეთ მწერალთან კავშირიდან და ყველა სურვილს შეგისრულებთო.

სამწუხაროდ, ბევრნი წამოეგნენ მაშინ ამ ანკესს და შედეგმაც არ დააყოვნა — დაპირებული ოქროს კოშკების ნაცვლად მწერლები საკუთარი „კოშკიდანაც“ გამოყარეს, თუმცა ისინი, ვინც ამ დიდი ღალატის სათავეებთან იდგნენ, არ დაბნეულან — სულ მალე ხელისუფლებასთან მისასვლელი საიდუმლო ბილიკები გამონახეს და მის სავსე ჯიქანს ისე დაეწაფნენ, დღემდე პირიდან ვერ ვაგდებინებთ.

ამგვარი სიხარბე, ასეთი ცინიზმი და უტიფრობა, რაც მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში ძალით მოსულმა ადამიანთა ჯგუფმა ცხრა წლის განმავლობაში გამოიჩინა, არც მინახავს და არც მსმენია.

— სამართლიანობა უნდა აღდგეს! — ასეთია უსამართლობით გატანჯული საქართველოს მოქალაქეთა მთავარი მოთხოვნა.

სამართლიანობა მწერალთა კავშირში და მწერლობაშიც უნდა აღდგეს და მწერალმა ის ადგილი უნდა დაიბრუნოს, რაც მას ყოველთვის ჰქონდა ქვეყნის ცხოვრებაში.

დღეს ერთი კაცის, დიდი კაცის, მართლაც დიდი ქართველის, ბიძინა ივანიშვილის იმედზეა მთელი ქვეყანა, ამ ერთ კაცს კი შინაური და გარეული ტურების ისეთი ლაშქარი ახვევია გარს, თუ ყველა პატრიოტმა ქართველმა ხელი არ გამოიღო და ამ ტურებს დროზე არ მოსცხო წუწკ დრუნჩზე კეტი, საქმე შეიძლება ცუდად დამთავრდეს.

დღეს დიდი სიმართლის თქმის დროა, ამ სიმართლის მთქმელი კი მწერლობის გარდა არავინ მეგულება.“

**ვახტანგ ხარჩილავა**

**„ლიტერატურული საქართველო“, 2013**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# საქართველოს დემოკრატია საფრთხეშია

**The Washington Post**

**სარედაქციო საბჭოს წერილი, შაბათი, 1 ივნისი**

ბოლო ათწლეულის მანძილზე, ავტორიტარული მთავრობების წინაღმდეგ სახალხო აჯანყების შემდეგ, საქართველო და უკრაინა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს შორის გამოირჩეოდნენ ლიბერალური დემოკრატიისა და დასავლეთში ინტეგრაციისაკენ სწრაფვით. შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა მნიშვნელოვანი რესურსები და დიპლომატია მიუძღვნეს მათი, ზოგჯერ მერყევი, პროგრესის წახალისებას და რუსეთის ძირგამომთხრელი მცდელობებისგან დაცვას. სამწუხაროდ, მთელი ეს სამუშაო ახლა ლამისაა წყალში ჩაიყაროს. 2010 წლის დემოკრატიული არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი ზედამხედველობს მისი მთავარი ოპონენტის დევნასა და პატიმრობას, რითიც ევროკავშირი აიძულა შეეჩერებინა ასოცირების შეთანხმება.



ახლა საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი, რომელმაც 2003 წლის ვარდების რევოლუციის ლიდერები დაამარცხა, იმავე გზას დაადგა. წინა კვირას სახელმწიფო სახსრების არამიზნობრივი გამოყენების ბრალდებით გირაოზე უარი უთხრეს და დააპატიმრეს პოსტ-რევოლუციური მთავრობის პრემიერმინისტრი ვანო მერაბიშვილი, რომელიც დიდი ხნის მანძილზე შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. მასთან ერთად ბრალი წაუყენეს ყოფილი მთავრობის შრომის მინისტრს, რომელიც ამჟამად ერთ-ერთი რეგიონის გუბერნატორია. ბ-ნი იანუკოვიჩის მსგავსად, ახალი პრემიერ მინისტრი ბიძინა ივანიშვილი არწმუნებს თანამოქალაქეებს, რომ ეს პოლიტიკური დევნა დასავლეთთან ურთიერთობებს ზიანს არ მიაყენებს. სამწუხაროდ, არც ობამას ადმინისტრაციას და არც ბრიუსელს ამის ღია უარყოფა არ მოუხდენიათ.

სახელმწიფო დეპარტამენტისა და ორი ევროკომისრის მოზომილი განცხადებები არ აპროტესტებს ბ-ნი მერაბიშვილის დაპატიმრებას, მიუხედავად იმისა, რომ ის ოპოზიციური პარტიის ხელმძღვანელი და საპრეზიდენტო კანდიდატია არჩევნებში, რომელიც წელს მოგვიანებით უნდა გაიმართოს. ამის ნაცვლად დასავლურმა მთავრობებმა თქვეს რომ „ყურადღებით" აკვირდებიან პროცესს და იმედოვნებენ რომ კანონის უზენაესობა დაცული იქნება. სახელმწიფო დეპარტამენტმა ურჩია საქართველოს ხელისუფლებას თავიდან აიცილოს „პოლიტიკური ანგარიშსწორების შთაბეჭდილება ან რეალობა" - პირობა, რომელიც ბ-ნმა ივანიშვილმა უკვე დაარღვია. „სამწუხაროა, თუ ასეთი პრეზიდენტობის კანდიდატი დავკარგეთ" - იყო მისი სარკასტული და ცინიკური კომენტარი მეტოქის დაპატიმრებაზე.

საქართველოს წინა მთავრობა ბ-ნი მერაბიშვილისა და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით გვერდს უვლიდა კანონს და ზოგჯერ ოპონენტებსა და მედიაზე ზეწოლას ახდენდა. მაგრამ ამ წყვილმა უზრუნველყო საქართველოს ისტორიაში ყველაზე დემოკრატიული არჩევნები და სწრაფად აღიარა მარცხი იმ არჩევნებში, რომლებმაც ბ-ნი ივანიშვილი მოიყვანა ხელისუფლებაში. ლაპარაკი იმაზე, რომ ბ-ნ მერაბიშვილს პოლიტიკური მიზეზებით არ დევნიან ისევე სარწმუნოა, როგორც იმის მტკიცება, რომ უკრაინის ოპოზიციის ლიდერი იულია ტიმოშენკო ციხეშია პრემიერმინისტრის რანგში ჩადენილი სამსახურებრივი გადაცდომების გამო.

ბევრი ქართველი, რომელმაც ხმა მისცა ბ-ნი სააკაშვილის მმართველობის დასრულებას, გმობს ამგვარ ტაქტიკას. მიუხედავად ამისა, საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის ძლიერი სახალხო მხარდაჭერა ვარდების რევოლუციის მყარი მემკვიდრეობაა. დროა ევროკავშირის ლიდერებმა, ისვე როგორც ობამას ადმინისტრაციამ, ნათელი გახადოს, რომ ბ-ნი ივანიშვილის მიერ მთავარი პოლიტიკური ოპონენტების დევნის გაგრძელების შემთხვევაში ეს კარები დაიხურება.



# მარკ ადომანისი — „ვაშინგტონ პოსტი" ცდება, საქართველოს დემოკრატია საფრთხეში არ არის



**Forbes**

**12:39 03-06-2013**

„სწრაფ ეკონომიკურ ზრდას ავტორიტარული რეჟიმი აკონტროლებს. დემოკრატიული ხელისუფლება კი ეკონომიკურ სტაგნაციას ადევნებს თვალს. არ ვიცი, რატომ აერია ეს ორი განსხვავებული ცნება — პოლიტიკური ლიბერალიზმი და ეკონომიკური ზრდა - "ვაშინგტონ პოსტს", მაგრამ ეს ისეთი აშკარა და ფუნდამენტური შეცდომაა, რომ ამ არგუმენტის არაკეთილსინდისიერებაზე მეტყველებს".

"ადამიანთა უფლებადამცველი გავლენიანი ორგანიზაციების მოხსენებებით თუ ვიმსჯელებთ, სააკაშვილის დროინდელი ხელისუფლება ბევრ სერიოზულ დანაშაულსა და ძალადობაში იყო დამნაშავე. "ვაშინგტონ პოსტი" წერს, რომ "ნაციონალური მოძრაობის" მაღალჩინოსანთა სასამართლო წესით დევნის ნებისმიერი მცდელობა არალეგიტიმურია. სისულელეა! თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მოხსენებებს გადავხედავთ, აშკარაა, რომ სინამდვილეში ხელისუფლებაში ყოფნისას "ნაციონალური მოძრაობის" მაღალჩინოსნებს ბევრი სერიოზული დანაშაული აქვთ ჩადენილი. ხელისუფლება, რომელიც ერთგულია კანონის უზენაესობისა, ვალდებულია გამოიძიოს და სამართლებრივი დევნა აწარმოოს ნებისმიერი მაღალჩინოსნის მიმართ, რომელთაც უფლებამოსილებას გადააჭარბეს, რაც დამახასიათებელი იყო სააკაშვილის მთავრობისთვის. „კანონის უზენაესობა" კი იმას ნიშნავს, რომ ყველამ უნდა აგოს პასუხი ჩადენილი დანაშაულისთვის და გამონაკლისი არ არსებობს მხოლოდ იმ მიზეზით, რომ „ჩემმა პოლიტიკამ სწრაფი ეკონომიკური ზრდა მოიტანა".

"გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ საქართველოს შესწევს კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის ინსტიტუციონალიზაციის პროგრესის ძალა. ჩვენ იმას კი არ უნდა მივაქციოთ ყურადღება, წარდგებიან თუ არა "ნაციონალური მოძრაობის" მაღალჩინოსნები სასამართლოს წინაშე, არამედ იმას, როგორ წარიმართება ეს სასამართლო. შესაძლოა, ივანიშვილის მთავრობა კუდიანებზე ნადირობით არის დაკავებული, მაგრამ ამავე დროს, შესაძლოა, ის სამართლიანობის აღდგენით არის დაკავებული. ჩვენ უბრალოდ უნდა დაველოდოთ და ვნახოთ და არ უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც „ვაშინგტონ პოსტის" სარედაქციო კოლეგია მოიქცა - არ უნდა დავკავდეთ ცალმხრივი პოლიტიკური სურათის წარმოჩინებით და ცუდად ინფორმირებული სპეკულაციით."



„ნაციონალები იმსახურებენ მადლობას და არა დევნას„
მ.სააკაშვილი



# ჯერ საპრეზიდენტო არჩევნებმა ჩაიაროს და მერე გამოიკვეთება, საჭირო იქნება თუ არა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება

*გვესაუბრება პოლიტოლოგი* ***ხათუნა ლაგაზიძე:***

**— ქალბატონო ხათუნა, პოლიტიკური პროცესები საპრეზიდენტო არჩევნებისკენაა მიმართული. უკვე რამდენიმე კანდიდატი დასახელდა. როგორ ფიქრობთ, ვის აქვს ყველაზე მეტი შანსი ამ არჩევნებში?**

— დავიწყოთ იმით, რომ თუ ქვეყანაში რადიკალური ცვლილებები არ მოხდა, სხვა შემთხვევაში, საპრეზიდენტო არჩევნების ბედი, გადაწყვეტილია. გიორგი მარგველაშვილს, რეალურად, კონკურენტი არ ჰყავს. ამიტომ, ვფიქრობ, მთელი ინტრიგა თავს მეორე ადგილზე გასული კანდიდატის გარშემო მოიყრის. ანუ, რეალურად გაცილებით მნიშვნელოვანი იქნება — ვინ გავა მეორე ადგილზე, რადგან შემდგომში დანარჩენი პოლიტიკური სპექტრი მის გარშემო სტრუქტურირდება. ბურჯანაძის პრესკონფერენციაზე გაჟღერებულმა მესიჯებმა აჩვენა, რომ ეს არჩევნები საქართველოს საზოგადოების საგარეო პოლიტიკური ორიენტირების გემოვნების დადგენის ერთგვარი ტესტი იქნება. ძალიან საინტერესოა ბურჯანაძის მესიჯები. მან, ფაქტობრივად, მოკლედ მოხაზა ის ძირითადი გზავნილები, რაზეც საარჩევნო კამპანიას ააგებს და რაც მას სხვა კანდიდატებისგან განასხვავებს. თუმცა, როგორც წესი, ქართულ პოლიტიკაში არცთუ იშვიათია ერთმანეთისთვის მესიჯების მოპარვა, ამასაც უნდა ველოდოთ, მაგრამ, ამ ეტაპზე, ბურჯანაძის მესიჯები ძალიან კონკურენტუნარიანია. ორ ძირითად მესიჯს გამოვყოფ: იგი ამბობს — ჩვენ ევროპული სახელმწიფო უნდა ვიყოთ, მაგრამ ევროპამ ისეთი უნდა მიგვიღოს, როგორიც ვართ და მეორე — ევროპა ჩვენს ტრადიციებს, კულტურას, განსხვავებულობას, გაგებით უნდა მოეკიდოსო. მოკლედ თუ ჩამოვაყალიბებთ, ეს გზავნილი ნიშნავს — არა გეი-აღლუმებს, არა პედოფილიას, არა ნარკოტიკების ლეგალიზაციას და დიახ — ჩვენს ტრადიციებს და კულტურას. ეს ის ბაზისია, რომელზეც ბურჯანაძის საარჩევნო კამპანია აიგება და რაც მას ამომრჩევლის საკმაოდ დიდ ნაწილს შემოუკრებს. თუმცა ბურჯანაძემ იქვე აღნიშნა, რომ ყველა ადამიანის უფლება დაცული უნდა იყოს და მიუღებელია ადამიანების დაყოფა ეთნიკური და რელიგიური ნიშნით. აქ არ ჩანს ტრადიციული სექსუალური უმცირესობების თემა. ქალბატონ ნინოს საგარეო მიმართულებითაც საკმაოდ მკვეთრი მესიჯები ჰქონდა, მან თქვა — დასავლეთთან კეკლუცობას თავი უნდა დავანებოთ და რუსეთთან ორმხრივი მოლაპარაკებები დავიწყოთ. რეალისტები უნდა ვიყოთ, 30 წელი იმის ძახილი, რომ ნატოს კარი ღიაა, არაფერს მოგვიტანს, ნატოს კარი ღია ვერ იქნება, თუ ოკუპირებულ ტერიტორიებზე უარს არ ვიტყვით. ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემა მხოლოდ რუსეთთან ურთიერთობის დაბალანსებით მოგვარდებაო. ეს გამოწვევაა ყველა საპრეზიდენტო კანდიდატისთვის, რათა მათ საგარეო თუ შიდა პოლიტიკურ ორიენტაციებთან დაკავშირებით პოზიციები მკვეთრად დააფიქსირონ. ასევე იმასთან დაკავშირებით — შევინარჩუნოთ ტრადიციები თუ ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით ამ ტრადიციების ტრანსფორმირება მოვახდინოთ. ეს დილემა, ბურჯანაძემ უკვე დასვა. იგი, ალბათ საარჩევნო კამპანიის პროცესში სხვა კანდიდატებისგანაც პოზიციების მკვეთრ ფორმირებას მოითხოვს.

**— ანუ ბურჯანაძის გზავნილები, ფაქტობრივად, ქართველი ხალხის დიდი ნაწილის მოთხოვნის ადეკვატურია. წელან ახსენეთ, მარგველაშვილს ალტერნატივა არ ჰყავსო. რამდენად შესაძლებელია, რომ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ბურჯანაძის კურსს დაუჭიროს მხარი?**

— საპრეზიდენტო არჩევნებზე მთავარი ფალავანი ბიძინა ივანიშვილია. ამიტომ, უახლოეს მომავალში, საქართველოში არცერთი მესიჯი და ლოზუნგი არ მეგულება, რომელიც ივანიშვილის ფაქტორს გადაწონის. ამიტომ, პირველი ადგილის თემა საერთოდ არ განიხილება. სამაგიეროდ, მეორე ადგილზე გასასვლელად, ბურჯანაძემ, ამ მესიჯებით, ძალიან სერიოზული განაცხადი გააკეთა. კიდევ ერთ სერიოზულ კონკურენტს სალომე ზურაბიშვილს შევეხოთ. თუმცა იგი, ჯერ საზოგადოებიდან წამოსულ მესიჯებს ელოდება, რათა დარწმუნდეს უღირს თუ არა მას საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება. მან რამდენიმე დღის წინ განაცხადა — არ მინდა საქართველო დასავლეთის მარიონეტი ან რუსეთის მონა იყოსო. ასევე, საოკუპაციო ზოლის გადმოწევასთან დაკავშირებით თქვა — რუსეთთან დათმობა მოლაპარაკების დროსაც შეიძლება, ეს ორივე მხრიდან აუცილებელია, მაგრამ დათმობა მოლაპარაკებას წინ არ უნდა უსწრებდესო. ზურაბიშვილის აზრით — ჩვენ, დათმობის პოლიტიკას წინსწრებად ვაწარმოებთ, რაც დადებითი შედეგის მომტანი ვერ იქნება. ეს არ არის ისეთი მკაცრი ფორმულირება, როგორიც ბურჯანაძემ გააჟღერა, მაგრამ აქედანვე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის კუთხით ბურჯანაძის და ზურაბიშვილის ხედვები არსებითად განსხვავდება. ბურჯანაძემ ისეთი ნიშა დაიკავა, რომ მასთან ბრძოლა საკმაოდ რთული იქნება. საინტერესოა, რამდენად ფართო იქნება ზურაბიშვილის ელექტორატი. თუმცა, როცა მეორე ადგილზე ვსაუბრობთ, აქ მნიშვნელობა არამარტო იმას ექნება, თუ ვინ დაიკავებს მეორე ადგილს, არამედ რა პროცენტული მაჩვენებლით გავა. თუ პროცენტული სხვაობა პირველსა და მეორე ადგილს შორის ძალიან დიდი იქნა, ხოლო მეორესა და შემდგომს შორის მცირე, ამასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. თუმცა, ზურაბიშვილმა საუბრისას ერთი ტაქტიკური შეცდომა დაუშვა, როგორითაც არ უნდა იწყებდე საპრეზიდენტო მარათონს. კერძოდ, მან თქვა — თუ არჩევნებში მონაწილეობის მიღება გადავწყვიტე და პროცენტული მაჩვენებლით „ნაციონალებზე" მეტი ხმა მოვიპოვე, დამტკიცდება, რომ ქვეყანაში „ნაც. მოძრაობა" რეალურ ძალას აღარ წარმოადგენს და ეს ჩემთვის, გარკვეულწილად, გამარჯვება იქნებაო. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი შეცდომაა, რადგან ამით მან აჩვენა, რომ „ნაც. მოძრაობას" ფაქტობრივად, მეორე ძალად აღიარებს, რაც სრულიად არ შეესაბამება რეალობას. იგი მიიჩნევს, რომ „ნაც. მოძრაობა" ის კონკურენტია, რომელსაც იგი უნდა შეეჭიდოს. ამიტომ საპრეზიდენტო მარათონის წინ ეს მცდარი ნაბიჯია. გამოდის, იგი რეალისტურად ვერ აფასებს საკუთარ შესაძლებლობებსა და ძალებს. იმიტომ, რომ ყველა მონაცემით, დღეს „ნაც. მოძრაობის" რეიტინგი 5-6 პროცენტს არ აღემატება. თუ ზურაბიშვილი ამ არჩევნებში მიზნად „ნაც. მოძრაობის" დამარცხებას ისახავს, მაშინ გამოდის, რომ მისი პროცენტული მაჩვენებელიც ამ ფარგლებში მერყეობს. არადა, რეალურად სალომე ზურაბიშვილის რეიტინგი საზოგადოებაში, გაცილებით მაღალია, ვიდრე „ნაც. მოძრაობის".



**— რაც შეეხება რეიტინგებს, გიორგი მარგველაშვილს სალომე ზურაბიშვილი მხოლოდ 10 პროცენტით ჩამორჩება. მარგველაშვილმა ამას წინათ ზურაბიშვილის პოლიტიკოსობა პირდაპირ ეთერში დაიწუნა.**

— რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მნიშვნელობა მიენიჭება იმას, თუ ვის მოისურვებს მეორე ადგილზე გასასვლელად, მთავარ კონკურენტად თავად ხელისუფლება.

**— ვინ შეიძლება იყოს მისთვის სასურველი კონკურენტი?**

— ძნელი სათქმელია ვის მოისურვებს ხელისუფლება კონკურენტად. ამას გაუცნობიერებლად კი არა, არამედ ორი მიზნით გააკეთებს — ერთი მხრივ, წარმოაჩინოს თავისი განსხვავებულობა და იმ ელექტორატზე იმუშაოს, ვინც მისი ძირითადი კონკურენტი იქნება, რათა მკვეთრად გაავლოს ზღვარი ელექტორატს შორის. მეორე — კონკურენტი შეიძლება იმის მიხედვით აირჩიოს, თუ ვინ იქნება სამომავლოდ მისთვის სასურველი პარტნიორი.

**— წელან, თქვენ, ბურჯანაძის მესიჯები გადმოთარგმნეთ — არა გეი-აღლუმებს, არა პედოფილიას და არა ნარკოტიკებსო. ბურჯანაძემ არა კოაბიტაციასაც გამოუცხადა.**

— კი ესეც თქვა. მისთვის, ელექტორატზე სამუშაოდ, ესეც ძალიან მომგებიანი თემაა. ამით იგი შეეცდება ახალი ხელისუფლებით იმედგაცრუებული ელექტორატი მიიზიდოს. ხელისუფლებისთვის, ალბათ, ისიც მნიშვნელოვანი უნდა იყოს, როგორი საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის ძალა გავა მეორე ადგილზე.

**— რას შეცვლის ქვეყნისთვის კვლავ „ოცნების" კანდიდატის პრეზიდენტობა. თქვენ აღნიშნეთ, რომ დიდი ნაწილი იმედგაცრურებულია. იგივე კურსი ხალხში უკმაყოფილების ტალღას ხომ არ გაზრდის?**

— გიორგი მარგველაშვილი თავის გამონათქვამებში მაქსიმალურად ფრთხილია. მას, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელს გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა აკისრია. გარდა ამისა, ეს სიფრთხილე იმაზეც მიანიშნებს, რომ მას ჯერ საპრეზიდენტო პროგრამა და მესიჯები ჩამოყალიბებული არ აქვს. ამიტომაც მის ირგვლივ საპრეზიდენტო კანდიდატის შტრიხები მკვეთრი არაა და არ შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზე, თუ რას შეცვლის მისი გაპრეზიდენტება. ამაზე საუბარი ნაადრევია. განსხვავებით ნინო ბურჯანაძისგან, მარგველაშვილს საპრეზიდენტო კანდიდატის შტრიხები გამოკვეთილი არ აქვს. ბურჯანაძის გარკვეულ შეხედულებებზე უკვე ღიად შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუნდაც მის იმ შეხედულებებზე, რაც საზოგადოებისათვის ბოლო დროს განსაკუთრებით აქტუალური გახდეს. გარდა ამისა, ირიბად, შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ საგარეო პარტნიორებზე, ვისი მხარდაჭერის იმედიც ბურჯანაძეს აქვს. რაც უფრო გამძაფრდება საპრეზიდენტო მარათონი, მისგან მით უფრო მკვეთრ ფორმულირებებს უნდა ველოდოთ. ასევე, საინტერესოა, რამდენად მისაღები იქნება მისი განცხადებები ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსებისთვის.

ზოგადად, საინტერესოა რა ხდება საქართველოს გარშემო — ერთი მხრივ, ხომ არ იცვლება საქართველოს ინტერესები და მეორე მხრივ, ჩვენს მიმართ, დასავლეთის. საოკუპაციო ზოლის გადმოწევა კარგი ტესტი აღმოჩნდა. ამ საკითხზე ხელისუფლებას ძალიან მოზომილი რეაქცია ჰქონდა. მარგველაშვილმა ასეთი კომენტარი გააკეთა — თუ რას ვუკავშირებთ რუსეთის მხრივ, საოკუპაციო ზოლის გადმოწევას, ამაზე მყისიერ კომენტარს არ გავაკეთებთ, მიმდინარეობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან მოლაპარაკებაო. პრემიერმა აღნიშნა, რომ ის, რაც ხდება ძალიან არასასიამოვნო და გაუგებარიცაა, რამეთუ მეგონა ახალ ხელისუფლებასა და რუსეთს შორის სულ სხვა დამოკიდებულება ჩამოყალიბდებოდა. მძიმე დასკვნების გაკეთებას არ ვაპირებთ. გვაქვს დიპლომატიური, ნორმალური, ჯანსაღი რიტორიკა, რომელსაც გავაგრძელებთო. ჯერჯერობით, მეც, ვერ ვადგენ მოტივს, თუ რის გამო გადადგა რუსეთმა ეს ნაბიჯი. იმიტომ, რომ თითქოს ხელისუფლების მზაობა ურთიერთობების გასაჯანსაღებლად, აშკარა იყო. ასეთ დროს საპრეზიდენტო არჩევნებში ერთვებიან ძალები, რომლებიც პირდაპირ ამბობენ, რომ ნატო ფანტომია. ასეთ პირობებში, რუსეთი, ერთი მხრივ, კვანტს უდებს საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევას, მეორე მხრივ, იმ პოლიტიკოსების ძალისხმევას, რომლებიც გარკვეულწილად საქართველოს საგარეო პოლიტიკის რევიზიას ახდენენ, მესამე — ცივ წყალს ასხამენ ჩვენი მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც რუსეთისკენ ხელგაშლილი მიილტვოდა. ამიტომ ძნელია რუსეთის მოტივების ახსნა. ვფიქრობ, საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის სრულიად ახალ ფაზაში შევდივართ. მეორე მხრივ, დასავლეთის რეაქციაც საინტერესოა. მისი რეაქცია 17 მაისის მოვლენების შემდგომ, იმდენად სწრაფი, ერთიანი, მობილიზებული იყო, რისი მსგავსიც არ გვახსოვს.

**— თუმცა, ამით ქართველმა ერმა აჩვენა, რომ არასოდეს შეეგუება გეი-აღლუმებს. ქართველი, ტრადიციების მატარებელი ეროვნული კაცისთვის ეს მიუღებელია.**

— ვერ დაგეთანხმებით და გეტყვით, კონკრეტულად რაში — სექსუალური უმცირესობების არსებობა ხომ 21-ე საუკუნის მოვლენა არ არის? ეს კაცობრიობის არსებობიდან მოყოლებულია და ყველა ქვეყანაში და ეპოქაში იყო.

**— მაგრამ ასეთი პროპაგანდა, ფლეშ-მობები არასდროს ყოფილა.**

— დიახ, აბსოლუტურად გეთანხმებით, განსხვავება ზუსტად ეგაა. ეს ადამიანები ადრეც თანაარსებობდნენ ჩვენს გვერდით — მუშაობდნენ, სოციალურ კიბეზე საკმაოდ წარმატებულნიც იყვნენ და აგრესია მათ მიმართ არავის გამოუხეტავს სანამ ამან, მათი მხრიდან, აგრესიის სახე არ მიიღო. აქ, მაინცდამაინც თავში რაიმეს ჩარტყმას არ ვგულისხმობ. საინფორმაციო აგრესია 21-ე საუკუნის ყველაზე გავრცელებული და მძიმე ფორმაა. სცენარის ავტორებმა ამ თემით მანიპულირება, საინფორმაციო აგრესიის იარაღად გამოყენება დაიწყეს. აქამდე, საზოგადოებაში ეს თემა, როგორც პრობლემა არ გააქტიურებულა. სექსუალური უმცირე-

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

სობების პირით მოხდა ამ თემის გაჟღერება, გააქტიურება, მაგრამ დამკვეთი სულ სხვაა. საზოგადოებამ დაინახა, რომ იმ თემის პროპაგანდა ხდება, რაც მისთვის მიუღებელია და ამას მძაფრი რეაქციები მოჰყვა. ვინც ეს დაგეგმა, სწორედ ასეთ რეაქციებზე გათვალა. ეს აქცია რეკლამის გარეშე რომ ჩატარებულიყო, ჩვეულებრივად ჩაივლიდა და არც არაფერი მოჰყვებოდა. სხვათა შორის, ინტერნეტ-საშუალებებით ვრცელდება, რომ 5 ივნისს რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვის მოთხოვნით ახალი აქცია იგეგმება. ეს თემა ძალიან მავნებლურადაა შემოგდებული. საქართველოს არ შეიძლება რელიგიურ უმცირესობათა მიმართ აგრესია, მიუღებლობა ჰქონდეს. რელიგიური ნიშნით შეარჩიო მეზობელი და საგარეო პოლიტიკური პარტნიორი, ეს უბრალოდ როგორც სახელმწიფოს დაგვამთავრებს. ამ თემის ხელოვნურად გააქტიურება, არ შეიძლება. ასე ეს ქვეყანა, როგორც სახელმწიფო დამთავრდება. თვითგადარჩენის ინსტიქტი გვკარნახობს, რომ რელიგიურად შემწყნარებლები ვიყოთ. ხელისუფლებას მოვუწოდებ, ვინც ამ თემის პრობლემად ქცევას შეეცდება, ეს პირდაპირ სახელმწიფოს უსაფრთხოების ინტერესების წინააღმდეგ შეგნებულად მიმართული ქმედება იქნება. ეს სახუმარო თემა არაა, ეს ძალიან შორს მიმავალი სტრატეგიაა, რაც ქვეყნის ქაოსში ჩათრევას, საერთაშორისო იზოლაციას ემსახურება. თუ რა ძალები დგას ამის უკან, შესაბამისმა სამსახურებმა უნდა გამოიკვლიონ.

**— კიდევ ერთ საინტერესო თემას მინდა შევეხოთ. ბოლო დროს, რიგი პოლიტიკოსების მხრიდან გააქტიურდა ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე საუბარი. თქვენ თუ ხედავთ ამის აუცილებლობას და რა განმაპირობებელი ფაქტორები არსებობს?**

— ერთი არგუმენტი ისაა, რომ „ნაც. მოძრაობის“ 40 პროცენტი 1 ოქტომბერსვე არარეალური იყო, მაგრამ ეს საქართველოს მოსახლეობის, ამომრჩევლის მიერ გადახდილი ხარკი იყო იმისთვის, რომ არჩევნების გზით მშვიდობიანად შეცვლილიყო ხელისუფლება. თუმცა, მათი 40 პროცენტი რეალობას არ შეესაბამება. ანუ დღევანდელი პარლამენტი არ ასახავს იმ რეალურ განწყობას, რაც საზოგადოებაშია. თუმცა, ვფიქრობ, ჯერ საპრეზიდენტო არჩევნებმა ჩაიაროს და მერე გამოიკვეთება არის თუ არა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების აუცილებლობა. სააკაშვილისდროინდელი პარლამენტიც არ ასახავდა საზოგადოების განწყობას, მაგრამ ვადამდელი არჩევნები არავის გამოუცხადებია. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, თუ პარლამენტში ძალთა გადანაწილება ძალიან არაადეკვატური იქნა, ასეთ შემთხვევაში, შეიძლება დღის წესრიგში ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დადგეს კიდეც.



**— ფაქტობრივად, ახლა ორპარტიული პარლამენტია. კოალიცია ხელოვნურად შეკოწიწდა და ყველა, ერთ კაცს — ივანიშვილს შეჰყვა. ხომ არ არის მეტი მრავალფეროვნება საჭირო? მოსახლეობა უკმაყოფილოა იმითაც, რომ ნულოვანი რეიტინგის მქონე „რესპუბლიკური პარტია“ ქვეყნის სათავეში მოექცა. ეს ნორმალურია?**

— ზოგადად, პოლიტიკური სპექტრი სუსტია. წარმოვიდგინოთ, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ხვალ ტარდება და ივანიშვილი, როგორც პოლიტიკური ფაქტორი მონაწილეობას არ იღებს, ასეთ შემთხვევაში, ძალიან ბევრ პოლიტიკურ პარტიას — პარლამენტში მყოფსაც და გარეთ დარჩენილთაც, წელის შეთრევა გაუჭირდებათ. ვინც შევა, მისი საუკეთესო შედეგი 15 პროცენტი იქნება.

**— ივანიშვილმა „რესპუბლიკელები“ საკუთარი ზურგით შეიყვანა პარლამენტში, მის გარეშე შეძლებენ ბარიერის გადალახვას?**

— ივანიშვილმა, პარლამენტში არამარტო „რესპუბლიკელები“, არამედ ყველა, საკუთარი ზურგით შეიყვანა. ამიტომ, დღეს საპარლამენტო არჩევნები, ქვეყანაში ქაოსს უფრო მოიტანს, ვიდრე სიკეთეს. ძალიან ჭრელი იქნება პარლამენტი და ეს ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის სტაბილურობას. დაველოდოთ საპრეზიდენტო არჩევნებს. ეს ბევრ რამეს გამოკვეთს, დაალაგებს.

**— როგორ ფიქრობთ, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა ხომ არ იქნება იმის გარანტია, რომ პარლამენტი გათავისუფლდება რეალურად 5-6 პროცენტიანი რეიტინგის მქონე „ნაციონალებისა“ და ასევე ნულოვანი რეიტინგის მქონე „რესპუბლიკელებისგან“, რომელთა ქვეყნის სათავეში მოქცევა ნამდვილად არ იყო ქართველი ერის ოცნება.**

— მე არ ვთვლი, რომ „რესპუბლიკური“ პარტია პარლამენტიდან უნდა გამოვდევნოთ. ჩემი აზრით, დღეს პოლიტიკურ სპექტრში მოღვაწეთაგან „რესპუბლიკური პარტია“ ერთ-ერთი ყველაზე საღი ძალაა, მაგრამ მეორე საკითხია ის, რომ „რესპუბლიკური“ და სხვა პარტიების გავლენაც მისი რეიტინგის შესაბამისი უნდა იყოს. ამაზეა საუბარი, თორემ „რესპუბლიკური პარტიის“ პარლამენტიდან გამოშვების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. კიდევ ვიმეორებ, იგი ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე საღი ძალაა და მის გარეშე პარლამენტი, უბრალოდ დაირღვევა. დღეს, ზოგადად, დასავლური ორიენტაციის ძალები სერიოზულ უმცირესობაში არიან. ამ მხრივ, ძალიან მაინტერესებს კვლევის ჩატარება. სწორედ ამიტომ, „რესპუბლიკელები“ პარლამენტიდან კი არ უნდა გამოიდევნონ, პირიქით აუცილებლად უნდა იყოს პოლიტიკაში, როგორც ბალანსი. მაგრამ, ვიმეორებ, ნებისმიერ პარტიას, მათ შორის „რესპუბლიკელებს“, იმ დონის გავლენა უნდა ჰქონდეთ, რაც მათ რეიტინგს შეესაბამება.

**— ანუ გამოდის „რესპუბლიკელების“ რეიტინგი და გავლენა, თქვენი ლოგიკით, შეუსაბამობაშია. რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებში „ოცნების“ კანდიდატურის გასვლას, ეს ხომ არ გამორიცხავს შემდგომში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას. როგორც ამბობენ, ამის საშუალებას „რესპუბლიკელები“ არ მისცემენ, რადგან მათ შესანიშნავად უწყიან საკუთარი რეიტინგი.**

— არა, არა გამორიცხულია. არავის აქვს იმის მექანიზმი, რომ ბიძინა ივანიშვილზე ასეთი გავლენა მოიპოვოს. მეორე მხრივ, მიმაჩნია, რომ მომავალ არჩევნებზე „რესპუბლიკელებს“ პარლამენტში შესვლის საკმაოდ სერიოზული შანსი აქვთ. „რესპუბლიკელები“ პარლამენტში მარტო ვერასდროს შედიოდნენ, მაგრამ მომავალ არჩევნებზე, ეს იქნება ვადამდელი თუ კანონით გათვალისწინებელ ფარგლებში, „რესპუბლიკელებს“ პარლამენტში შესვლის აბსოლუტურად რეალური შანსი აქვთ.

**— თქვენ ალბათ, გულისხმობთ, რომ შანსი კოალიციასთან ერთად შესვლის შემთხვევაში აქვთ არა?**

— არა, ცალკეც. იმიტომ, რომ მკვეთრად დასავლური ორიენტაციის პარტიები იმდენად ცოტა იქნება, რომ დასავლური ორიენტაციის ამომრჩეველს შეიძლება არჩევანიც არ დარჩეს. და სწორედ ამიტომ „რესპუბლიკელებს“ მისცეს ხმა და არა „ნაციონალებს“. ამ პრინციპიდან გამომდინარე, „რესპუბლიკელების“ შანსები პრო-დასავლური ელექტორატისთვის იზრდება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი უმრავლესობას მოიპოვებს, ეს გამორიცხულია.

**— 1 ოქტომბერმა ვერ მოიტანა ის შედეგი, რასაც ხალხი ელოდა —„ნაცები“ მხოლოდ ნაწილობრივ ჩამოშორდნენ ძალაუფლებას, ახალ ხელისუფლებას კი კოაბიტაციით ხელები დაუმოკლეს.**

— ჩვენ უნდა მივაღწიოთ პოლიტიკურ განვითარებას, თუნდაც იმ მხრივ, რომ პრეზიდენტი იყოს ერთი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი, პარლამენტი და მთავრობა — მეორის და ამის გამო თავ-პირი არ დავამტვრიოთ ერთმანეთს. ეს არ ნიშნავს, რომ ერთი ან მეორე პოლიტიკური პარტია მავნებლობით იყვნენ დაკავებულნი და ქვეყანას ძირს უთხრიდნენ. დღეს ამასთან გვაქვს საქმე, ესაა უბედურება. გამოვრიცხავ, რომ „ნაციონალებს“, თუნდაც მეორე ადგილისთვის რაიმე შანსები ჰქონდეთ. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მათ იმ სახის პოლიტიკის გატარების შანსი ესპობათ, რასაც დღეს ატარებენ, ისინი ხელისუფლებიდან წასულნიც კი ქვეყნისთვის საშიშნი რჩებიან.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# საპრეზიდენტო არჩევნების დამთავრებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა დაინიშნოს ახალი საპარლამენტო არჩევნები

**რა სიტუაციაა ქვეყანაში, რა არის ამის მიზეზები, რაშია გამოსავალი და რა გზით უნდა წავიდეთ, ამ და სხვა საკითხებზე „საერთო გაზეთი“ ესაუბრა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, მსოფლიო იურისტთა ასოციაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტს, იურისტთა საერთაშორისო კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს, მსოფლიო იურისტთა ასოციაციის ოქროს ჯვრისა და არაერთი ჯილდოს მფლობელს, ბატონ პაატა ცნობილაძეს.**

— 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ რომ სერიოზული გარდატეხა მოხდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, ეს უდავოა. ის ხელისუფლება რომ დარჩენილიყო იმ შემადგენლობით და იმ უფლებებში, ალბათ, ძნელი წარმოსადგენია, დღეს რა ვითარება იქნებოდა საქართველოში. სამწუხაროა, მაგრამ ხალხის განწყობა ადასტურებს, რომ ის მოლოდინები, რაც იყო, მთლად არ გამართლდა. რა თქმა უნდა, ამას აქვს თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები, საგარეო და საშინაო ფაქტორები, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ მაინც შეიძლებოდა უფრო სერიოზული ნაბიჯების გადადგმა.



საქმეში იმაშია, რომ მთავარი ლოზუნგი, რომლითაც მოდიოდა „ქართული ოცნება“ სახელისუფლებო ბრძოლაში, ეს იყო სამართლიანობის აღდგენის პროცესის დაუყოვნებლივ დაწყება. მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, შენელებული პროცესებიდან გამომდინარე, სწორედ ამ ნაწილში არის ძალიან დიდი უკმარისობა და უკმაყოფილება — ეს ერთი;

მეორე — როდესაც „ქართული ოცნების პროგრამა“ მუშავდებოდა, უმთავრესი შემადგენელი ნაწილი იყო ის, რომ რადიკალურად უნდა შეცვლილიყო საკონსტიტუციო სივრცე. ერთხმად მივედით იმ დასკვნამდე, რომ ის კონსტიტუცია, რომელიც სახელმწიფო ცხოვრებისთვის იყო გათვალისწინებული, ფაქტობრივად, მთლიანად შესაცვლელი გახლდათ, ვინაიდან, მთლიანად მორგებული იყო ერთ ადამიანზე, ერთ რაღაც „ელიტაზე“ — ამ თვალსაზრისითაც საგრძნობი შეფერხება იგრძნობა. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაშიც იგივე განწყობაა, რომ ვიღაცებს კონსტიტუციის მორგება დღეს საკუთარ თავზე სურთ.

როგორი კარგი ადამიანიც უნდა იყოს ბატონი ივანიშვილი, ძალაუფლება ისეთი რამ არის, თუ არ შეიქმნა ჩამოყალიბებული სისტემა, ერთი კაცი მას ვერასოდეს დააბალანსებს, რაღაც პერიოდის შემდეგ აუცილებლად დაიწყება ჩამოშლა. გარდაუვალია, რაც უფრო გვიან მოხდება სისტემური ცვლილებები, მით უფრო მალე მივიღებთ იგივე შედეგებს და შეიძლება უარესსაც, რადგან გამოწვევები დღეს უფრო მეტია, გნებავთ, საერთაშორისო, გნებავთ, შიდა პროცესებიდან გამომდინარე.

ხალხი არის მაქსიმალისტი. შენ როდესაც ხალხი მხარს გიჭერს, ჰგონია, რომ წინამორბერდზე უკეთესი ხარ, მაგრამ როგორც კი იმედების გაცრუება იწყება, მაშინვე იწყება ნიჰილიზმი და ფაქტობრივად, უკვე შენ თვითონ აღარ შეგიძლია ამ პროცესების დემოკრატიულად მართვა. ეს თავისთავად იწვევს უკვე იძულების, ძალადობის და მსგავსი ფორმების გამოყენებას და ვბრუნდებით სააკაშვილისეულ მართვის მეთოდებთან.

ქართველ მეცნიერთა სადისკუსიო დარბაზის მიზანი სწორედ ის არის, რომ გაიმართოს ღია მსჯელობა იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება დღევანდელი პოლიტიკური განლაგება საზოგადოების მოთხოვნას და მის ინტერესებს.

ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა ამ ნაწილში გარდა იმისა, რომ ერთპოლუსიანი პოლიტიკური ისტებლიშმენტის ნაცვლად შეიქმნა ორპულისიანი, ერთ მხარეს არის „კოალიცია — ქართული ოცნება“, რომელსაც ხალხი ენდო, ხოლო მეორე მხარეს „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც აბსოლუტურად გაკოტრებულია, უარესი, — ხალხისთვის გაიგივებულია დანაშაულებრივ რეჟიმთან. დანაშაულებრივი რეჟიმი არ შეიძლება იყოს წარმოდგენილი საკანონმდებლო ორგანოში (და არც ერთ პოსტზე), ვიდრე არ გაირკვევა მათი „წვლილი“ ქვეყნის უბედურებაში, სანამ არ აგებენ პასუხს ამ ფაშისტურ-ბოლშევიკური ნაზავი იდეოლოგიის შემქმნელები.



1 ოქტომბრის მხოლოდ გამარჯვება არ არის საკმარისი, მით უმეტეს, ამ პირობებში, როდესაც მოქმედი კონსტიტუციით საქართველო ხდება საპარლამენტო რესპუბლიკა. ჩემთვის, პირადად, ყოვლად წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება საპარლამეტო რესპუბლიკის ქვეყანაში იყოს მხოლოდ ორი ცენტრი, მით უმეტეს, ერთი, ნდობის მაღალი ვოტუმით აღჭურვილი, მეორე, ხალხის მიერ მრავალ დანაშაულში ეჭვმიტანილი და თან იწოდებოდეს ოპოზიციად — ვისი ოპოზიციაა?

ოპოზიცია ყოველთვის არის ხალხის ინტერესების გამომხატველი, ანუ ხელისუფლებას ყოველ წუთს რომ უნდა შეახსენოს ხალხის პრობლემები — ესენი ხალხის ინტერესების გამომხატველები როგორ არიან, როდესაც ხალხის უპირველესი ინტერესი სწორედ ის არის, რომ ეს ჯგუფი კანონის საფუძველზე კანონისავე შესაბამისად იყვნენ დასჯილნი სწორედ იმიტომ, რომ ცხრა წლის განმავლობაში ტერორის ეპოქა მოუწყო საკუთარ ხალხს, გაალატაკა, დაკარგა ტერიტორიები, შექმნა მძიმე პოლიტიკური ვითარება, ქვეყანა აღმოჩნდა რაღაც, უაზრო ომებში და ა.შ

6 gv.

5 gv.

# საპრეზიდენტო არჩევნების დამთავრებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა დაინიშნოს ახალი საპარლამენტო არჩევნები

**— რა გზა მიგაჩნიათ მართებულად დარბაზში გაერთიანებულ მეცნიერებს, როგორ შეიძლება, რომ ეს გარდამავალი პერიოდი უმტკივნეულოდ გადავლახოთ და წინ, უკეთესობისკენ წავიდეთ?**

— არა მხოლოდ მეცნიერები, დარგის სპეციალისტები, ექსპერტები და რაც მთავარია, ხალხი, თვლის, რომ, უპირველესად, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა წავიდეთ მაინც დანაშაულებრივი რეჟიმის აღიარების გზით. რა თქმა უნდა, ამ გზას ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა და მათ შორის ბევრი უცხოელი, მაგრამ, მოდით, ყველამ ერთად მივადევნოთ ისტორიას თვალი.

ყველა მთავრობას შერჩა ყველა ის დანაშაული, რაც ჩაიდინა — არც ერთ ეტაპზე პასუხი არ უგია. ახალი ძალა მოდიოდა ყოველთვის იმის იმედით, რომ რადგან ძველს ეპატია, მასაც ეპატიება და ამგვარი განწყობა ყოველ ჯერზე გვაძლევდა უარეს და უარეს შედეგებს, უფრო და უფრო მეტ ცუდს უკეთებდა საკუთარ ხალხსაც და საკუთარ ქვეყანასაც. საქართველოს პროკურატურაში უამრავი საქმეა აღძრული, რომელთა ინდივიდუალურად განხილვა და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა ერთობ გაჭირდება, რადგან, რაც საქართველოში ხდებოდა, ეს იყო იდეოლოგიური ფონის ქვეშ მიმდინარე სისტემური დანაშაული, ანუ, იყო „ნაცელიტის“ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელიც თვითონ წყვეტდა ადამიანთა ბედს.

დღეს ის ძალა იწოდება „უმცირესობად“, უკავია საკმაოდ ბევრი ადგილი და თანაც, არაკუთვნილი — ხომ ყველამ ვიცით, რომ არჩევნების გაყალბებული შედეგებით სხედან იქ? აქედან გამომდინარე, ის ძალა, რომელი ახლა არის წარმოდგენილი, იქ არ უნდა იყოს!

**— ასეა თუ ისე, უკვე სხედან ეს ადამიანები იმ სკამებზე. რაში მდგომარეობს მათი იქიდან აბრძანების და კუთვნილ საკამებზე დაბრძანების მექანიზმი?**

— საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები — წარმოუდგენელია, დამნაშავე რეჟიმის შემქმნელები კიდევ ოთხი წელი ისხდნენ იქ და დესტრუქცია უწყონ უმრავლესობასაც, ქვეყანასაც და ხალხსაც. ხედავთ, რომ ქვეყნის გარეთ სიარულისა და ფეხის გამოკვრის გარდა, არაფრით არიან დაკავებულნი. ცხადია, იმიტომ, რომ საკუთარი ტყავი გადაირჩინონ და თან, რომ შეინარჩუნონ ხელისუფლებაში მობრუნების შესაძლებლობა, რაც ყოვლად დაუშვებელია.

არჩევნები — ეს არ არის მხოლოდ ის დღე, როცა ხმას აძლევ, ეს არის ხანგრძლივი პერიოდი, მთელი პროცესი არჩევნების დანიშვნიდან მის დამთავრებამდე. გადავავლოთ თვალი, რომელი დღე იყო დემოკრატიული პროცესი არჩევნების დღემდე?

სააკაშვილი და ზოგადად, „ნაცმოძრაობა“ არ ელოდა იმას, რაც მოხდა, მაგრამ მოხდა. უამრავი ბოროტება, ძალადობა, დანაშაული აქვთ ჩადენილი და ამიტომ, მათი დაუსჯელობა გამორიცხულია.

საუკეთესო გამოსავალი ის არის, რომ მომავალ წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან ერთად დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და ვინც რა ხმას მოიპოვებს, ღმერთმა შეარგოს! ეს აუცილებელია, რადგან დღეს ხალხის განწყობა კიდევ უფრო სხვანაირია, ვიდრე იყო ერთი წლის წინ.

„კოალიციაში“ შემავალი პარტიების მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ თურმე პარტიული სისტემა უნდა განვავითაროთ; რომ საპარლამენტო რესპუბლიკა არის ისეთი კულტურული და დახვეწილი მმართველობის ფორმა, რომელი გზითაც მთელი ევროპა წავიდა და ა.შ

მთელი ევროპა თუ წავიდა, მთელ ევროპაში არის ასე, — ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ პარტიული სისტემა განვითარდეს და საკანონმდებლო ორგანოში, რაც შეიძლება პლურალისტული იყოს წარმომადგენლობა. თქვენ იცით, რომ რამდენიმე სუბიექტმა შეგნებულად არ მიიღო მონაწილეობა 1 ოქტომბრის არჩევნებში, რათა ხელი არ შეშლოდა ბატონ ბიძინას. ასე იყო, მაგრამ ეს იმას ხომ არ



ნიშნავს, რომ ახლა კიდევ ოთხი წელი ვუყუროთ იმ მარაზმს, რაც ახლა იქ ხდება? იმიტომ კი არა, რომ ვინმეს წინააღმდეგი ვართ, არა, წინააღმდეგი ვართ ერთი რამის, დანაშაულებრივი ჯგუფის ხელისუფლებაში ყოფნის — ჯერ უნდა აღსდგეს სამართლიანობა და კი, ბატონო, მერე, უნდათ „ნაციონალური მოძრაობის“ სახელით იმოძრაონ, უნდათ, სხვა სახელი დაირქვან.

თანამედროვე ისტორიაში გვაქვს მაგალითები, იმისა რომ ძალიან კარგად იქნა დანაშაულებრივი რეჟიმები აღიარებული. როცა ყველაფერს არქმევ თავის სახელს, გაცილებით ადვილია სახელმწიფოს შენება, რადგან, მომავლისთვის, ყველასთვის დგინდება თამაშის წესები, რომლის ხაზს ვერავინ გადაცდება, მაგრამ თუ მაინც გადაცდა, მაშინვე ხდება მისი აღკვეთა. ასე რომ, თუ ჩვენ ახლა ეს ნაბიჯი არ გადავდგით, თამაშის წესებს ვერასდროს დავადგენთ.

მარტივად გეტყვით, ბიძინა ივანიშვილი მუდმივად არ იქნება პოლიტიკაში, სხვა მოვა, ვიღაც. ქართველი მეფეები ავიღოთ, ყველა არ იყო იდეალური, შესაბამისად, გვქონდა აღმავლობის და დაღმავლობის პერიოდები. აღმავლობის პერიოდი როდის იყო? როცა სისტემა მუშაობდა და არა ერთი კაცი, დავით აღმაშენებელი, თამარ-მეფე... თამარ-მეფემ დარბაზი რომ შექმნა, ის იყო ფაქტობრივად, პირველი ჩანასახი პარლამენტისა საქართველოში და ცუდი შედეგი მოიტანა? ეს იყო სწორედ მექანიზმის შემუშავება-ჩამოყალიბება, რომელმაც გაქაჩა და სწორ გზაზე დააყენა ქვეყანა მონარქიის პერიოდშიც კი, რაც ახლა ფაქტობრივად, ბრიტანეთში გვაქვს — მაგიდას რომ აკეთებ, უნდა გაუკეთო ის დეტალები, რაც ადასტურებს, რომ მაგიდაა, თორემ ფორმა როგორი ექნება, მრგვალი, ოვალური თუ ოთხკუთხედი, გემოვნების საკითხია. იგივეა სახელმწიფოს შემთხვევაში, მმართველობის ფორმა იქნება, პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი სისტემა, სწორედ იმდაგვარად უნდა მოარგო, რაც მას ეკუთვნის. ახლა ჩვენ თუ საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადავდივართ და შევინარჩუნეთ საპრეზიდენტო მმართველობის ელემენტები, ვერ იმუშავებს — ტრაქტორს ველოსიპედის საბურავებით ან პირიქით, წავიყვანთ? — მარტივია, რაღაც გაუგებარ ფილოსოფიას არ ვლაპარაკობ. ახლის მოგონება არ გვჭირდება, ის, რაც არის კაცობრიობის მიერ შემუშავებული, მეცნიერების მიერ დადგენილი, უკვე აპროპირებული, ავიღოთ ის, მაგრამ არა ავტომატურად, ჰომოფობიისა არ იყოს.

როდის იყო საქართველოში ჰომოფობიის ისეთი შეგრძნება, რომ ვინმე შეწუხებულიყო, რა ჰომოფობიაზეა საუბარი?

აქ ერთი რამ არის მთავარი, როცა ამ საკითხზე მსჯელობენ, აკრიტიკებენ ეკლესიას — იცით, როგორი ღვარძლიცაა ეკლესიის წინააღმდეგ, არადა, მე გეუბნებით, 17 მაისს რომ მართლა არ ევაჟკაცათ პოლიციელებს და ეკლესიის მსახურებს, იქ მართლაც შეიძლებოდა მომხდარიყო უბედურება, რომელიც გამოწვეული იყო პროვოკაციით.

ძალიან მნიშვნელოვანია ერთი რამ და მინდა ყველას ვუთხრა: ლიბერალიზმი მხოლოდ ჰომოფობია არ გახლავთ. ლიბერალიზმის პრინციპი უპირველესად ხელისუფლების მოწყობას ეხება, რომ რაც შეიძლება დეცენტრალიზებული იყოს, რათა ხალხმა მაქსიმალურად მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში, თვითმმართველობის განვითრებაა ლიბერალიზმი და ა.შ რაც გადადის ადამიანის უფლებებში. რასაკვირველია, გამოხატვის უფლება ყველას აქვს და არანაირი ძალობის მეთოდების გამოყენება არ არის გამართლებული, მაგრამ თვით სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებებშიც კი, რომელიც არის ყველაზე ჰუმანური ორგანო, გამოთქმულია, რომ ევოლუცია მიმდინარე პროცესია და არ შეიძლება ხელოვნურად დააჩქარო რაღაცები. ვერც სახელმწიფოს აიძულებ შიდასახელმწიფოებრივი ნორმებით დაარეგულიროს რაიმე, გინდა თუ არა, ეს ასე უნდა იყოსო — ისინი სახელმწიფოს შიდა კომპეტენციაში არ ერევიან. ამიტომ, სახელმწიფოს იძულებით ვერავინ ვერაფერს მოახვევს თავს, თუ ხელისუფლება თავისი მოწოდების სიმაღლეზე დგას, რა თქმა უნდა, ხალხთან ერთად. რა წერია იცით, „გათვალისწინებული უნდა იქნას სახელმწიფოში არსებული ტრადიციების, ზნეობრივი და მორალური ნორმებისადმი საზოგადოების განწყობა და დამოკიდებულება.“ ანუ, არ არის ასე, ნაჯახით მიადგე, დაადებინო თავი და მეორე დღეს შენ როგორც გინდა, ისე იყოს.

**— რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს მივუბრუნდეთ, რისი აუცილებლობაც დღითიდღე უფრო იკვეთება და რომლის დაყენების საკითხიც პრეზიდენტის პრეროგატივაა, მაგრამ მთელი რიგი ნიუანსებია...**

— რა თქმა უნდა, პრეზიდენტი ნიშნავს, მაგრამ ასე მარტივად არ არის, „მოდი, ახლა უნდა დაგითხოვთო“, მიზეზი უნდა არსებობდეს, რაც ასახულია კონსტიტუციაში. ვთქვათ, ერთ ჩარჩოში რომ მოვათავსოთ, კრიზისი უნდა შეიქმნას მთავრობასა და პარლამენტს შორის...

**— რაღაც ფორმით კრიზისი ისედაც არსებობს...**

— ის კრიზისი, რაც არსებობს, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პარლამენტი იქნას დათხოვილი, მაგრამ როდესაც ხდება დანაშაულებრივი რეჟიმის აღიარება, ჩნდება საფუძველი. გარდა ამისა, არის სხვა მექანიზმები. საქართველოს მოსახლეობას, ქართველ ხალხს ერთხელ და სამუდამოდ, ხომ აქვს უფლება აირჩიოს ის შემადგენლობა, რომელიც მას მიაჩნია ქვეყნის მიმხედავად? ადამიანები, რომელთაც აღარავინ ენდობა, სხედან პარლამენტში. ვის ინტერესებს წარმოადგენენ ისინი? — არსად არ ხდება, რომ ნდობადაკარგული რაღაც უაზრო გუნდი ამხელა რაოდენობით იყოს წარმოდგენილი პარლამენტში.

რა თქმა უნდა, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის საკითხის წამოწევა ბევრს არ მოეწონება არც უმცირესობიდან, არც უმრავლესობიდან, მაგრამ ვინმეს მოწონება-არმოწონებაზე არაა საუბარი, პარლამენტი უნდა იყოს ხალხის მიერ არჩეული!

აუცილებლად უნდა აღვნიშნო — ყველა ხელისუფლების დროს მეტნაკლებად მჟღავნდება, რომ დახშულია პირველი პირების კარები და არათუ შეხვედრა, წერილობითი ინფორმაციებიც კი, თითქმის არ აღწევს. სამწუხაროდ, მეტსაც გეტყვით, მსოფლიო იურისტთა ასოციაციის (რომლის წევრი მეც გახლავართ) პრეზიდენტმა, აშშ-ის ჩვენი ოფისიდან გამოაგზავნა წერილი და პასუხს ველოდებით. დარწმუნებული ვარ, ეს წერილი ვერ მივიდა პრემიერ ივანიშვილამდე, თუმცა, იგივე წერილები მივიდა ერთ მინისტრთან, მეორე მინისტრთან, მაგრამ უკვე მესამე თვე ხდება და ფაქტობრივად, არანაირი რეაგირება არ ხდება. მინდა გითხრათ, რომ არათუ ჩვენს პრემიერთან, ჩემს მიერ სხვადასხვა პრეზიდენტებისთვის გაგზავნილ ყველა წერილზე მივიღეთ პასუხი. უბრალოდ, ეს ეთიკური მხარეც არის და ურთიერთობის ცივილიზებული ფორმაც, ამდენად, ასეთი უგულებელყოფა და იგნორირება გაუგებარია. კონკრეტულად ვერავის დავადებ ხელს, მაგრამ ეს ეხება იმ ჯგუფს, რომელსაც ევალება ამ სახის ინფორმაციის ადრესატამდე მიტანა.

ყოველთვის არის ხოლმე რაღაც ნაწილი გარემოცვისა, რომელიც ცდილობს კონკრეტულ პირთან დაკავშირებით წრე შეკრას და ხელოვნური ბარიერი შექმნას, ამდენად, არ გამოვრიცხავ, რომ ბატონ ბიძინასთან დაკავშირებითაც ასე იყოს, თუმცა, სიმართლე გითხრათ, ამგვარი ქცევის მიზანი არ მესმის. მინდა დავარწმუნო ყველა, ისინი, რომლებიც ასეთ ვაკუუმს ქმნიან, რომ არავინ ეცილება მათ თავიანთ ადგილებში და ყველამ თავისი მოვალება შეასრულოს პირნათლად, ნუ ჩაკეტავენ ხელოვნურად გზებს, მისცენ საშუალება ადამიანებს ერთმანეთთან კონტაქტისა, ზოგჯერ მათზე გამოცდილებსაც და ჭკვიანებსაც. ბოლოს და ბოლოს, თვითონ მაინც მიაწოდონ ინფორმაცია იმ პირველ პირს, რომელმაც რაღაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. ეს არის ძალიან ცუდი ტენდენცია, რომელიც ჩვენ ვერასდროს და ვერაფრით მოვიცილეთ...

ძალიან ბევრ სიკეთეს აკეთებდა, მაგრამ მისი საქმიანობიდან გამომდინარე, ბატონი ბიძინა არ იცნობდა ქართულ საზოგადოებას. უბრალოდ, მაგალითს გეტყვით, ინფორმაცია, რომელიც მას მიაწოდეს და გაიმეორა — გამოვიდა ბატონი ბიძინა და ბრძანა, საქართველოში არის კადრების შიმშილიო. ასეთ გამონათქვამებთან მორიდებული მიდგომა უნდა ჰქონდეს ყველას და იცით, რატომ, თუ სააკაშვილმა ინტელიგენცია „ჩარეცხა“, დამერწმუნეთ, არანაკლები სიმძიმის გამონათქვამია ესეც. რას ნიშნავს „კადრების შიმშილი“, ვინც „ნაცმოძრაობამ“ დაასაქმა, ის ყოფილა „რჩეულთა ნაკრები“ და მეტი აღარავინ არის? — სწორედ გარეთ არის დარჩენილი საუკეთესო კადრები.

სწორი ინფორმაციები მაინც მიიტანონ ამ კაცთან და ის მაინც არ ათქმევინონ, რომ თურმე კადრების შიმშილია. მე ჩემს თავს არ ვგულისხმობ, იმ ადამიანებს ვგულისხმობს, ვისაც თუნდაც მარტო მე ვიცნობ. ბატონმა ბიძინამ რომ მითხრას, ახლავე დამისახელე ოცი კაცის ვინაობაო, ასს დავუსახელებ ვინც იმათზე უკეთ შეასრულებს, ყველა სამუშაოს ვინც ახლა არიან, მათზე მეტად სუფთებს, არანაირ სიბინძურეში რომ არ მიუღიათ მონაწილეობა და მზად არიან ქვეყანას ერთგულად ემსახურონ!

**თამარ მჟავია**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

მსოფლიო პრესის მიხედვით

# სტრატეგიული ინტერესების ცვლა სამხრეთ კავკასიაში

*ეთნიკური კონფლიქტებითა და მანკიერი სახელმწიფო მართვით დასუსტებული სამხრეთ კავკასიის ქვეყნები (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი) საერთაშორისო არენაზე თავიანთ მნიშვნელობას კარგავენ. დასავლეთის ქვეყნებს კი ეკონომიკური პრობლემები და ახლო და შორეული აღმოსავლეთის კრიზისები აწუხებთ და ეს რეგიონი სულ მიავიწყდათ. დასავლეთის მხარდასაჭერად, სამივე სახელმწიფომ უნდა განახორციელოს რეფორმები და შეამციროს რეგიონული დაძაბულობა, რასაც ასე მოელიან დასავლეთში — ასეთია დენის კორბოის, უილიამ კორტნის, რიჩარდ კოზლარიჩის და კენეტ იალოვიცის ერთობლივი წერილის მთავარი გზავნილი, რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში გამომავალი The American Interest აქვეყნებს.*



20 წლის წინ, მთიან ყარაბაღში (სომხებით დასახლებული ეს რაიონი აზერბაიჯანშია) გაჩაღებული სომხეთ-აზერბაიჯანის ომის შედეგად, ასობით ათასი ადამიანი ლტოლვილად იქცა, ხოლო მთიანი ყარაბაღის გარშემო შვიდი რაიონია ოკუპირებული. 1994 წელს მიღწეული შეთანხმებით, ცეცხლი შეწყდა, მაგრამ ხანდახან სროლის ხმა მაინც ისმის. საერთაშორისო შუამავლების ძალისხმევას ხშირად არ მოაქვს შედეგი, ხოლო ენერგორესურსებით მდიდარი აზერბაიჯანი სამხედრო თვალსაზრისით ძლიერდება, ძირითადად — უცხოური შეიარაღების ხარჯზე, შესაბამისად, ხანდახან მოჭარბებული წარმოდგენა ექმნება თავის შესაძლებლობებზე. სომხეთს შეუძლია თავი მოიწონოს რუსეთთან ხელმოწერილი ურთიერთუსაფრთხოების შეთანხმებითა და თავის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ბაზის არსებობით. მიუხედავად ამისა, სომხეთი იზოლაციაშია მოქცეული და საკუთარ შესაძლებლობებს გადაჭარბებულად აფასებს. რუსეთის მიერ აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და მისი მიმდებარე რამდენიმე რაიონის სამხედრო ოკუპაცია დროებითი მშვიდობის რეჟიმშია. გარდა ამისა, რეგიონულ უსაფრთხოებას ხელს უშლის კორუმპირებული ხელისუფლება და უწესრიგობანი აზერბაიჯანში, აგრეთვე სომხეთისა და საქართველოს სახელმწიფო მართვის ორგანოების არასტაბილურობა.

დადებითი მომენტებიც შეინიშნება. სამხრეთ კავკასია ძირითადი საექსპორტო მარშრუტია კასპიისპირეთის ნავთობისა და გაზის მსოფლიო ბაზარზე ტრანსპორტირებისთვის. ეს არის სახმელეთო-სატრანსპორტო კვანძი, რომელიც ევროპას, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს, ცენტრალურ აზიასა და ჩინეთს ერთმანეთთან აკავშირებს. აზერბაიჯანი ენერგოშემცველების მსხვილი მწარმოებელი და ექსპორტიორია, კასპიის რესურსი კი მნიშვნელოვანი საშუალებაა იმისა, რომ ევროპა სულ უფრო ნაკლებად დამოკიდებული იყოს რუსეთზე.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ზოგიერთი ტენდენცია იმაზე მიგვანიშნებს, რომ სამხრეთ კავკასიის მნიშვნელობა სუსტდება. დროთა განმავლობაში, აზერბაიჯანის წილი მსოფლიო ვაჭრობაში შემცირდება და აი, რატომ: მსოფლიოს სხვა რეგიონებში აქტიურად ვითარდება ახალი რევოლუციური ტექნოლოგია, რომლითაც ენერგოწიაღისეულის მოპოვება გაიზრდება. კიდევ ერთი მომენტი — ეს უძველესი აბრეშუმის გზა, ჯერჯერობით, ინარჩუნებს ავღანეთში ნატო-ს ჯარების ზურგის ფუნქციას, მაგრამ ჯარების გამოყვანის შემდეგ რეგიონით დაინტერესება მოიკლებს.

თებერვალში სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარგსიანი მეორე ვადით პრეზიდენტად აირჩიეს, რასაც საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა, პოლიტიკური ვითარება დაიძაბა და კორუფციამ კიდევ უფრო დიდი მასშტაბი შეიძინა. აზერბაიჯანისა და თურქეთის მხრიდან ბლოკადის პირობებში, სომხეთი ირანთან კავშირს ესწრაფვის. ქვეყნის განათლებული ნაწილი მათი კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმისთვის შეუფერებელ ხელფასს ღებულობს. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, სომხეთში საშუალო შემოსავალი, მყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით, 6 100 დოლარს შეადგენს.

პრეზიდენტ ილჰამ ალიევის ავტორიტარული რეჟიმით უკმაყოფილება სულ უფრო და უფრო მატულობს. ორიოდე თვის წინ, ხელისუფლებამ წყლის ჭავლითა და რეზინის ტყვიების დახმარებით დაშალა არასანქცირებული დემონსტრაცია. ალიევი უწესრიგობის შეჩერებას მმართველი ელიტისთვის მატერიალური კეთილდღეობის შექმნითა და შეურიგებელთა თანამდებობიდან გათავისუფლებით ცდილობს. ნავთობისა და გაზის ექსპორტის წყალობით, ქვეყანაში საშუალო შემოსავალი დაახლოებით 9 000 დოლარია, მაგრამ წიაღისეულის მოპოვება და მისი ექსპორტის მოცულობა — შესამჩნევად შემცირებული. საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც წლეულს უნდა გაიმართოს, ალიევის „მორიგი“ გამარჯვებით დასრულდება, რადგან ხელისუფლება საარჩევნო კამპანიას სრულად აკონტროლებს.

საქართველოში 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შედეგად, ხელისუფლებაში მოვიდნენ პროდასავლურად განწყობილი ახალგაზრდა ხელმძღვანელები, რომლებმაც რეფორმების გატარება დაიწყეს. თუმცა მიხეილ სააკაშვილმა, საკუთარი ძალაუფლების განმტკიცების კვალდაკვალ, არჩევანი ავტორტარიზმის სასარგებლოდ გააკეთა. შარშან ოქტომბერში გამართულ, საქართველოს ისტორიაში პირველ თავისუფალ და სამართლიან, არჩევნებში ოპოზიციურმა კოალიციამ გაიმარჯვა. მიუხედავად ამისა, დაძაბულობა არ იკლებს, რადგან სახელმწიფო მმართველობაში უნდობლობა და დაპირისპირებაა პრემიერ-მინისტრ ივანიშვილსა და პრეზიდენტ სააკაშვილს შორის, რომლის პრეზიდენტობის ვადა ოქტომბერში იწურება.



დემოკრატიის პრინციპების დასამკვიდრებლად საქართველოს მაგალითი უნიკალურია სამხრეთ კავკასიითვის, მაგრამ სააკაშვილის მოწინააღმდეგენი ამ მიღწევებს სათუოს ხდიან და სახელმწიფოს მეთაურისა და მისი გუნდის სისხლისსამართლებრივ დევნას ეწევიან. გარდა ამისა, გეებისა და ლესბოსელების ამასწინანდელ დემონსტრაციას დაუპირისპირდნენ აგრესიული ჯგუფები, რომლებსაც მართლმადიდებელი მღვდლები წინამძღოლობდნენ. მომხდარი ამბები ახალი მთავრობისგან ითხოვს, აჩვენონ, რომ ისინი ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლების დაცვის ერთგულნი არიან.

ივანიშვილი დასავლეთისკენ ყურებითა და უსაფრთხოებისა და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით მასთან ინტეგრაციას ესწრაფვის; იმავდროულად, დაძაბულობის შენელებას ცდილობს რუსეთთან, რომელმაც ქართული ღვინის, მინერალური წყლისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტზე კვლავ თანხმობა განაცხადა. ეს პროცესი, სავარაუდოდ, უკიდურესად გაჭიანურდება, რადგან რუსეთმა აღიარა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, როგორც „დამოუკიდებელი სახელმწიფოები“.

საქართველოს ხელისუფლების წარუმატებელმა ეკონომიკურმა რეფორმებმა ქვეყანა დაასუსტა. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი კვლავაც დაბალია და იგი 5 350 დოლარს შეადგენს, უმუშევრობის მაჩვენებლი 30 პროცენტია.

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ცდილობს, საბჭოთა კავშირის დროინდელი მეზობლები საბაჟო კავშირში გააერთიანოს, მაგრამ საქართველო და სომხეთი უფრო მდიდარ ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავებას ცდილობენ. აზერბაიჯანიც უპირატესობას ანიჭებს ევროპელებთან ურთიერთობას, რომლებიც მის ენერგორესურსებს მოიხმარენ და იმავდროულად, ადამიანის უფლებების დარღვევის გამო ბაქოს აკრიტიკებენ.

რას აკეთებენ სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკები იმისათვის, რომ თავს უშველონ? თუნდაც შემთხვევით, მთიან ყარაბაღში საბრძოლო მოქმედებების განახლებას ადამიანური ტრაგედია და დიდი მსხვერპლი მოჰყვება. დაძაბულობა მანამდე შენარჩუნდება, ვიდრე არსებული ხელისუფალნი, ძალაუფლების შესანარჩუნებლად, ნაციონალური კარტების გათამაშებას არ შეწყვეტენ. ასეთი თამაშის წამოწყება დემოკრატ მმართველებსაც შეუძლიათ. საერთაშორისო შუამავლობა, სავარაუდოდ, გაგრძელდება, მაგრამ დასავლეთი ამ ნაბიჯს მანამდე არ გადადგამს, ვიდრე მხარეები დათმობებს არ დათანხმდებიან.

დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმები განსაკუთრებით სჭირდება სომხეთსა და აზერბაიჯანს და ამას საკვანძო მნიშვნელობა გააჩნია. მთლიანად რეგიონში იზრდება სიღარიბისა და კორუფციის მაჩვენებელი, ღრმავდება არსებული პრობლემები. ეს აზერბაიჯანსაც ეხება, რომელსაც მართალია, გააჩნია ნავთობის მარაგი, მაგრამ შემოსავლის არაპროპორციული განაწილებით გამოირჩევა.

ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის სულ უფრო მცირდება, ხოლო ევროკავშირს თავისი ფინანსური პრობლემებიც ჰყოფნის. ამ პრობლემების დასაძლევად, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს დამატებითი ძალისხმევის გამოჩენა მართებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დასავლეთის დახმარება და მათი ინტერესი, მიუხედავად რისკებისა, მეტისმეტად შემცირდება.

2008 წელს საქართველოში რუსეთის შეჭრამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რამდენად აუცილებელია დასავლეთის აქტიური და დაჟინებითი დახმარება იძულებითი ზომების უკუქმედებისთვის. აზერბაიჯანის, როგორც ენერგოშემცველების მიმწოდებლის მნიშვნელობის კლებასთან ერთად, დასავლეთისთვის დემოკრატიის მიღწევების საკითხი საკვანძო გახდება. სომხური დიასპორა დიდ დახმარებას უწევს ქვეყანას, მაგრამ იზოლაციისგან თავდასაღწევად მას ფართო საერთაშორისო მხარდაჭერა ესაჭიროება. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა გაუმჯობესდეს სომხეთის საშინაო პირობები.

მართალია, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ნელა გადაადგილდებიან პროგრესის გზაზე, მაგრამ დასავლეთმა არ უნდა დაიშუროს ძალა რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებისთვის. ევროკავშირმა უნდა დადოს შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ საქართველოსთან და სომხეთთან, აგრეთვე აზერბაიჯანთანაც, ოღონდ მას შემდეგ, რაც იგი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდება. ზუსტად ასევე უნდა მოიქცეს ამერიკის შეერთებული შტატებიც. დასავლეთის მხრიდან სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

თუკი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს არ სურთ, განზე დარჩნენ, მათ უნდა აჩვენონ სახელმწიფოებში მიმდინარე დადებითი ცვლილებები და უარი თქვან ახალ კონფლიქტებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძნელია იწინასწარმეტყველო, როგორ განვითარდება ვითარება.

**მიმოხილვა მოამზადა**
**გ. ჭავჭავაძემ.**

# რუსეთზე რომ გაიძახით, ოკუპანტიო, ვერ ხვდებით, რომ მთავარი ოკუპანტი უკვე თბილისში გყავთ და ყველა კაბინეტში ამერიკელი მრჩევლები გიზით?



*„რუსი და ქართველი ხალხის ერთიანობის ფონდის“ პრეზიდენტი, პროფესორი **ვლადიმერ ხომერიკი** უკვე თერთმეტი წელია სამშობლოში არ ყოფილა. თუმცა იგი საქართველოში ხელდამშვენებული დაბრუნდა — ქართველ მკითხველებს რუსი მწერლების მიერ თარგმნილი ქართველი პოეტების კრებული ჩამოუტანა. „საერთო გაზეთმა“ ბატონ ვლადიმერთან ინტერვიუ ჩაწერა, სადაც მან საინტერესო მოსაზრებები გაგვიზიარა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე, საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე და საქართველოში ჩამოსვლის მიზეზებზეც ისაუბრა:*

**— ბატონო ვლადიმერ, უპირველესად, მინდა მადლობა მოგახსენოთ იმ დიდი საქმისთვის, რასაც რუსი და ქართველი ხალხის ერთიანობისთვის აკეთებთ. საუბარი დავიწყოთ წიგნით, რომელიც ქართველ ერს ჩამოუტანეთ.**

— საერთოდ, ბევრ კარგ საქმეს ვაკეთებთ, ჩვენს საქართველოს კულტურის მიმართულებით ვემსახურებით. წიგნის გამოცემის იდეა ახალი არაა, მასში 350 ქართული ლექსია შესული. ამის დანიშნულება ისიცაა, რომ რუსეთში ხალხს ქართული პოეზია გააცნოს, რაც მთავარია წიგნი ახალგაზრდობამ უნდა წაიკითხოს. ვფიქრობ, ამ წიგნის წაკითხვა საქართველოშიც ბევრ ახალგაზრდას დააინტერესებს, თანაც რუსულ ენასაც ისწავლიან. ქართული დიდი პოეზია, კულტურა, მგონი ახალგაზრდობაში თანდათან იკარგება იმიტომ, რომ იგი სხვა, ახალ მოდას, კულტურას მისდევს. ქართული ტრადიციები კი, სამწუხაროდ, თანდათან იკარგება. ჩვენ საკმაოდ ბევრს ვაკეთებთ საქართველოსთვის და კიდევ ბევრი გეგმები გვაქვს. მალე გამოვა რუსი პოეტების კრებული, სადაც შევა ლექსები საქართველოზე, რაც ადასტურებს, რომ საუკუნეების მანძილზე ქართველ და რუს ხალხს ერთმანეთთან დიდი სიყვარული აკავშირებდათ. გარდა ამისა, გამოუშვებთ ზღაპრებს, სადაც შევა ქართული, იმერული, სვანური, აფხაზური, ოსური, მეგრული ზღაპრები, ასევე რუსული, ებრაული. ანუ ყველა იმ ხალხის, ვინც საქართველოში ცხოვრობს, რათა ბავშვებმა ისწავლონ, რომ არსებობენ ესა თუ ის ერები, რომელთაც თავიანთი კულტურა, ისტორია აქვთ. ვფიქრობ, რუსულ ინტელიგენციას, ჩვენთან ერთად, მოუსმენს პუტინიც და საქართველოს ინტელიგენციასაც მოუსმენს ბიძინა ივანიშვილი.

**— ამ ყველაფერს ქვეტექსტად მაინც პოლიტიკა უდევს...**

— პოლიტიკა ყველაფერს უდევს ქვეტექსტად. ჩვენ ვცდილობთ, რასაც პოლიტიკოსები აშავებენ, ის გავასწოროთ. ჩვენი ღონისძიებებით შევეცადეთ გადაგვერჩინა საუკუნოვანი ურთიერთობები. ჩვენი ხალხი ერთმანეთს აფასებს, რაც გარკვეულ იმედს გვაძლევს. საქართველოში სიტუაცია შეიცვალა, ახალი მთავრობა მოვიდა, მას ბევრი თავისი პრობლემა აქვს, მაგრამ მივესალმებით, რომ უდანაშაულო ხალხი ციხიდან გამოუშვეს. დაიწყო პროცესი საგარეო პოლიტიკის კუთხით, რომელსაც მართალია გლობალური სახე არ აქვს, ანუ საქართველოს საგარეო პოლიტიკა დიდად არ შეცვლილა, მაგრამ რიტორიკა ცოტა შეიცვალა. გაჩნდა, რუსეთთან საუბრის სურვილიც. მაგრამ მარტო ლოზუნგით —„რუსეთი ოკუპანტია“, ხოლო დიპლომატიური ურთიერთობების მოუგვარებლობით, ვერაფერს გავაწყობთ. თუ გინდა შენი საკითხი გადაწყვიტო, რუსეთთან დიალოგი უნდა დაიწყო. რუსეთის მხარე დიალოგისთვის მზადაა. სამწუხაროდ, საქართველოს მხარე დიალოგისთვის ჯერ მზად არაა. ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ჯერ მზად არ არის პუტინთან შესახვედრად. არადა ეს შეხვედრა, პირველ რიგში, ჩვენს ხალხს სჭირდება. იმედია ეს დროც მოვა. ბევრი პროცესებია, რაც ახალ მთავრობას რუსეთთან ურთიერთობაში ხელს უშლის. ინერციით მიდის ყველაფერი. სამწუხაროა, რომ საგარეო პოლიტიკის კურსი არ შეიცვალა, რასაც სააკაშვილი ატარებდა, იგივე ტარდება დღესაც. ახალ მთავრობასაც დასავლური კურსი აქვს აღებული. რუსეთზე რომ გაიძახით, ოკუპანტიო, ვერ ხვდებით, რომ მთავარი ოკუპანტი უკვე თბილისში გყავთ და ყველა კაბინეტში ამერიკელი მრჩევლები გიზით, რომლებიც ჩვენს კულტურასაც ამარცხებენ, ხალხსაც და ყველაფერს, მთლიანად გვანადგურებენ. მათ მიერ ჩვენი სულიერი ოკუპაცია ხდება, სწორედ ესაა მთავარი უბედურება. პრობლემები, რაც დღეს აფხაზეთში, ოსეთშია, ვფიქრობ, ამ საკითხს მალე გადავწყვეტთ აფხაზ და ოს ხალხთან დიალოგით ეკონომიკის განვითარებით და რუსეთის დახმარებითაც. როდესაც რუსეთი დაინახავს, რომ საქართველოს პოლიტიკა სწორ გზას დაადგა და იგი რუსეთს არაფრით ემუქრება — საქართველოს არ მოჰყავს ნატოს ჯარები და არ უყენებს რუსეთს კარზე, მაშინ მეგობრული ურთიერთობები აღდგება. მაშინ რუსეთს თავად ექნება ინტერესი, საქართველოს მთლიანობა შედგეს. იმიტომ, რომ რეალურად თუ ვიტყვით, რუსეთს სულაც არ აინტერესებს აფხაზეთი ან ოსეთი თავის სივრცეში იყოს. რუსეთს უნდა მთლიანი, მეგობრული საქართველო ჰყავდეს გვერდში. და არა ის საქართველო, რომელიც ნატო, ნატოს გაიძახის და თავში გირტყამს. ჩვენ უნდა გავიგოთ, რომ რუსეთს თავის გეოპოლიტიკური ინტერესები აქვს. ჩვენ გავიძახით — რუსეთმა ეს რატომ გაგვიკეთაო. რუსმა კი არ უნდა გაგიკეთოს, თავად უნდა იფიქრო საკუთარ თავზე. უნდა ვიცოდეთ, ჩვენ რა გვჭირდება. პატარა სახელმწიფო ვართ და ორჯერ მეტი ჭკუა უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ არ დაგვჩაგრონ.

**— როცა ორი მხარე რაღაცაზე თანხმდება, ამ დროს, ბუნებრივია, საერთო ინტერესი უნდა არსებობდეს.**

— სწორედ რუსეთს და საქართველოს აქვთ საერთო ინტერესები, რაც ერთმანეთს არგებს. ჯერ ერთი, რუსებიც და ქართველებიც ქრისტიანები ვართ, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

**— გეთანხმებით, როცა რელიგიას ინარჩუნებ, ამით სხვა ბევრ რამესაც ინარჩუნებ. დღეს, რეალურად რომ გადავხედოთ ჩვენი ქვეყანა მუსულმანურ რკალშია ჩაჭედილი.**

— დიახ, ასეა. მეორეც, ჩვენ საუკუნეების მანძილზე ერთად ვიყავით. როგორც ვიცი, ისტორია, უმადურ ხალხს ცუდად მოიხსენიებსხოლმე. უნდა გვახსოვდეს, რომ თავის დროზე გიორგიევსკის ტრაქტატმა გადაარჩინა საქართველო, ქართველი ერი, მას სახელმწიფოებრიობა შეუნარჩუნა. რუსეთი მაშინაც ბევრ შეცდომას უშვებდა, მაგრამ ჩვენ საკუთარ შეცდომებზე უნდა დავფიქრდეთ. ბეწვი სხვის თვალში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ ისეთი ნაბიჯები უნდა გადავდგათ, რომ რუსეთი არ გავალიზიანოთ.

**— ზოგჯერ, დღევანდელობაზე წარსულის მაგალითებით ვმსჯელობთ...**

— რეალობას უნდა შევხედოთ. საქართველო პატარა ქვეყანაა, მეტი ჭკუა უნდა ვიხმაროთ და მრავალვექტორიანი საგარეო პოლიტიკა განვახორციელოთ. ყველამ გვაჯობა ჭკუით. სომხეთი ამერიკასთან ბევრად უფრო ახლოსაა, ვიდრე საქართველო, მაგრამ იგი რუსეთთან კავშირს კი არ წყვეტს, არამედ სარგებლობს იმით, რაც დიდ რუსეთს აქვს. საერთო ინტერესების თემას გავაგრძელებ — როგორც ვახსენე, ესაა ეკონომიკა. ჯერ ერთი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მეზობლები ვართ, ერთი საზღვარი გვაქვს. საქართველოს, რუსეთის გარდა არსად აქვს ბაზარი, თავის საქონელი რომ გაყიდოს. საქართველოს, ასევე, სხვაგან არსად აქვს შრომის ბაზარი. ჩვენ არავის ვჭირდებით. დიდი რუსეთი ღებულობს ემიგრანტებს და უზრუნველყოფს მათ სამუშაოთი. ეს სუფთა ეკონომიკური ინტერესია, რაც სხვას არ აქვს, სულიერების, რელიგიის, ისტორიის, ჩვენი კულტურების გაერთიანების ჩათვლით. ასე, რომ ჩვენ შეხების მილიონობით წერტილი გვაქვს, რაც შეეხება ამერიკას, მასთან აბსოლუტურად არანაირი ღირებულებების თანხვედრა ჩვენ არ გვაქვს.

**— ძალიან ხშირად ვსაუბრობთ ევროინტეგრაციაზე. არადა საქართველო ხომ თავადაა ევროპა.**

— საქართველოს არ სჭირდება ევროპის კულტურა, საქართველოს თავისი კულტურა აქვს. ევროპულ ღირებულებებს როცა ახსენებენ, მე ვკითხულობ — რა არის ეს, რა შედის ევროპულ ღირებულებებში — დემოკრატია? — ჩვენ ვხედავთ, იქ რა დემოკრატიაცაა. ეს არაა დემოკრატია. ასევე, ვხედავთ რა პროცესები მიდის ევროგაერთიანებაში და ისიც იშლება. რა კულტურაზეა საუბარი — ცისფერებს რომ უჭერენ მხარს და ჩვენც მოგვიწოდებენ ასე მოვიქცეთ? რა კულტურა აქვთ, რას ეძებენ ევროპაში, გამაგებინეთ ერთი?! მერე, ვინ უშლით თუ კარგი ღირებულებები აქვს ევროპას, მიითვისონ კი, ბატონო. მაგრამ, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ამის გამო რუსეთთან იჩხუბო, ომზე ისაუბრო. იმეგობრეთ ევროპასთან, ამერიკასთან, მაგრამ რატომ ემდური, აღიზიანებ მეზობელს, სადაც შენი ცხოვრების ინტერესები წყდება? ხომ უნდა დაფიქრდე, რა მდგომარეობაში აყენებ ამით რუსეთში მცხოვრებ ქართველებს. კიდევ კარგი რუსი ხალხი რეალურად ისეთია არ გაწყენინებს, მაგრამ ეს სხვა ერს რომ გაეკეთებინა, ის მილიონი ადამიანი, ვინც რუსეთში ცხოვრობს, ნამდვილად დაიჩაგრებოდა. ესენი ამაზეც არ ფიქრობენ, არც რუსეთში მცხოვრებ ქართველებზე და არც აქ მაცხოვრებლებზე. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ამერიკასთან ჩვენ არაფერი გვაერთიანებს. ამერიკას არ უნდა არც ჩვენი საქონელი — ბაზრის გახსნა, არც ქართველების სამუშაოდ მიღება, არც კულტურა და სულიერება. ამერიკას საერთოდ არ აქვს კულტურა, მას არ აქვს ის ისტორია და ფესვები, რაც საქართველოს. ამერიკა ის სახელმწიფოა, რომელიც სულ რაღაც 250 წლის წინ შეიქმნა. ხოლო რუსეთისა და საქართველოს მეგობრობა უკვე 400 წელს ითვლის. რუსი მეფეების ძარღვებში ქართული სისხლი ჩქეფდა. უნდა გავიგოთ, რომ რუსეთთან ბევრი რამ გვაკავშირებს, ამერიკასთან კი რა ინტერესი უნდა გვქონდეს, რით უნდა გადაგვარჩინოს ამერიკამ?! მას თავისი პრობლემები არ მოუგვარებია, ჩვენ რად უნდივართ? მას უნდა ისარგებლოს ჩვენი ტერიტორიით თავისი გეოპოლიტიკური მიზნებისთვის და მეორეც, ჩვენი ხალხი, სახელმწიფო სპეციალურად ექცევა ამერიკის და რუსეთის ქვეშ, როგორც გამღიზიანებელი. მერე ამერიკა რუსეთს შეევაჭრება, შედეგად ჩვენი სახელმწიფო, ხალხი გაიჭყლიტება.

**— საქართველო ჯერ კიდევ მე-10, მე-11 საუკუნეებიდან იწყებს სვლას რუსეთისკენ, რადგან იცის, რომ ამაშია მისი ხსნა. ჩვენი მეფეები განა რუსეთის აგენტები იყვნენ, როცა ხსნას რუსეთში ეძებდნენ?**



— ერეკლე მეფე ერის გადარჩენაზე ფიქრობდა. ამიტომ იყო მზად ყველაფრისთვის.

**— სამწუხაროდ, ჩვენს რუს მეგობრებთან კავშირები გაწყდა. ამიტომ მათი აღდგენის მიზნით, რასაც თქვენ აკეთებთ, ეს ძალიან დიდი საქმეა. ამას შესაბამისი პროპაგანდა სჭირდება. თუნდაც, ღიად უნდა ითქვას, რომ ნატოში შესვლა, ბლეფია.**

— ჯერ ერთი, ვის რა გაუკეთა ნატომ? — პირიქით, ვინც მისი მეგობარი იყო, ის სახელმწიფოები დაშალა.

**— ჩვენ კი გავიძახით ნატოში უნდა შევიდეთ, რუსეთისგან დაცვა გვჭირდებაო, მაგრამ არავის უჩნდება კითხვა — თავად ნატოსგან ვინ დაგვიცავს?**

— დიახ, გეთანხმებით, უბედურება კიდევ ისაა, რომ რუსეთს სულ ტყუილად აბრალებენ, რომ იგი ბევრ ფულს ხარჯავს და საქართველოში რაღაც პოლიტიკას ატარებს. რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ არავითარ პოლიტიკას არ ატარებს. უფრო მეტიც, ჩვენდა სამწუხაროდ,

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

საერთოდ, საქართველოზე არც ფიქრობს. იმიტომაც, დაგვტოვა ამერიკასთან პირისპირ – ერთი-ერთზე და ჩვენ ვწვალობთ. რუსი კაპიკს არ ხარჯავს ამ პოლიტიკაზე. სამწუხაროდ, დიდი შეცდომაა ის, რომ არც რუსეთს აქვს თავისი საგარეო პოლიტიკა. რეალურად, ეს ფონდები, არასამთავრობოები მილიონობით თანხებს ხარჯავენ და თავის პოლიტიკას ატარებენ. რუსი კი ზის და უყურებს, როგორ დამთავრდება ეს ყველაფერი. ჩვენი ბრალია, რუსეთმა საქართველოზე ხელი რომ ჩაიქნია.

ჯერ ხალხში იგივე განწყობაა, რაც ბოლო ერთი წლის მანძილზე გაჩნდა, ამიტომ „ოცნების“ კანდიდატის გამარჯვება გარდაუვალია. სხვა ვერავინ გავა იმიტომ, რომ ხალხს იმედი ჯერ ბოლომდე არ დაუკარგავს. მაგრამ ბიჭებო, უკვე დროა, ეს ოცნება ჯერ მოლოდინებში და მერე უკვე რეალურ პრაქტიკაში გადავიდეს. იმიტომ, რომ ხალხი მარტო ოცნებით ვერ იცხოვრებს. ბოლო ათი წელი ხალხის ოცნება იყო, 9 წლიანი რეჟიმი დასრულებულიყო. ახლა, უკვე ხალხს ოცნება კი არა, რეალური




**– მაგრამ ეს ქართველი ხალხის, საზოგადოების კი არა ხელისუფლების ბრალია. სამწუხაროდ, წინა ხელისუფლება მთლიანად აგენტურა იყო – იგი რეალურად, არ ყოფილა საქართველოს ხელისუფლება. იმ აგენტის აგენტურა ახლა ახალმა ძალამ ჩაანაცვლა, რომლებიც ხელისუფლებაში არიან, მაგრამ ეს ხომ საქართველოს ხელისუფლება არაა?**

– ვფიქრობ, კოალიცია, სწორედ ამერიკის კარნახით შეიქმნა. „რესპუბლიკელები“, რომელთაც საქართველოში ნული რეიტინგიც კი არ ჰქონდათ, ახლა მათი წევრი პირველი კაცი, პარლამენტის თავმჯდომარეა. ხალხისთვის არ იყო მისაღები ეს პარტია. მათ ისარგებლეს ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტით. ასე არ უნდა მომხდარიყო. „რესპუბლიკელები“, ალასანიაც პრო-ამერიკული ძალებია, რომლებიც ბიძინასაც არ გაახარებენ.

**– ძალები, რომლებიც რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის მომხრე არიან, პარლამენტში საერთოდ ვერ მოხვდნენ.**

– დიახ, ვერცერთი ვერ მოხვდა. სამწუხაროდ, იგივე ტენდენცია გრძელდება, ახალ ხელისუფლებასაც ეშინია რუსეთის და საერთოდ რუსეთზე ლაპარაკის. აბა, მაშინ რა შეიცვალა? კი, ბატონო ახლა მეტი თავისუფლებაა, მაგრამ ამის გარდა, ხალხს სხვა რამეც ხომ უნდა – ჭამა, ურთიერთობა, განვითარება და ა.შ. შევხვდი სხვადასხვა ორგანიზაციებს, პატრიოტულ ძალებს, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენი ხალხის გაერთიანება ძალიან ძნელია. ყოველი ქართველი მზა პრეზიდენტია. ყოველ ორგანიზაციაში, პარტიაში თავიანთი შეხედულება აქვთ. ის დემოკრატიული ძალები, რომლებიც, წესით, საქართველოს უნდა ემსახურებოდნენ, ერთმანეთთან არ ერთიანდებიან. პრობლემები ბევრია – ფინანსები, ამბიციები და ა.შ. გაერთიანება აუცილებელია.

**– ბოლოს შიდა პოლიტიკაზეც მინდა გკითხოთ. წელან ახსენეთ, რუსეთი მზადაა დიალოგისთვის, მაგრამ ივანიშვილის მხრიდან იგივე მზაობა არ ჩანსო. ჩვენ მალე საპრეზიდენტო არჩევნები გვიახლოვდება. როგორც ვარაუდობენ, არჩევნებში „ოცნების“ კანდიდატურა გავა. როგორ ფიქრობთ, ეს კიდევ უფრო ხომ არ გადაწევს დიალოგს, რომელიც რუსულ და ქართულ მხარეს შორის უნდა შედგეს?**

– ერთი რამ ვიცი – ამ არჩევნებში, გვინდა თუ არა, „ქართული ოცნების“ კანდიდატი გაიმარჯვებს. სამუშაო ადგილები, საჭმელი, სულიერი თავისუფლება სჭირდება, რაც სამწუხაროდ, ჯერ არ ჩანს. ხალხი ამას ელოდება. ბევრი თვლის, რომ ამის რეალიზებას პარლამენტში დარჩენილი „ნაციონალები“ და სააკაშვილის პრეზიდენტობა უშლის ხელს. ამიტომ, ხალხი ამბობს ოქტომბერი მოვა და ვნახოთ რას გააკეთებენ, მანამდე ხელისუფლებას ხელები აქვს შეკრულიო, მაგრამ მარტო ეს არაა. ხელები, როგორც აქამდე იყო, ამერიკისგან აქვთ შეკრული. ამერიკის ელჩი ისევ ყველგან დადის, ალბათ ბიძინასთანაც კვირაში რამდენჯერმე, იგივე გრძელდება და ასე არაფერი შეიცვლება. ჯერჯერობით ასპარეზზე არ ჩანს ფიგურა, რომელიც ქართველი ერის კონსოლიდირებას შეძლებს. სამწუხაროდ, ასეთი ფიგურა არ ჩანს. შეიძლება სწორი ყოფილიყო მისი გამოჩენა. ასევე ვფიქრობ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დასრულების შემდეგ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები უნდა გაიმართოს. როგორც ივანიშვილი დაგვპირდა კოალიცია უნდა დაიშალოს, უნდა დარჩეს პარტია „ქართული ოცნება“, რომელსაც რეალურად აქვს ნდობა რომ რაღაცას გააკეთებს. ის ბალასტი, რაც სხვა პარტიების სახეებით შევიდა ამ კოალიციაში, დაე, ცალკე გავიდნენ და სცადონ არჩევნებში თუნდაც 2 პროცენტის აღება. მაშინ მართლაც იქნება დემოკრატია და ხალხი პროგრამების, ინტერესების, სიმპატიების მიხედვით აირჩევს. თუ ეს პროცესი არ დაიწყო, მაშინ განსაკუთრებულს არაფერს უნდა ველოდოთ. თუ უახლოეს ხანში რუსეთთან ურთიერთობებს არ დავალაგებთ, საქართველოში, დიდი პოზიტიური ცვლილებები, სავარაუდოდ, არ იქნება. ბოლოსკენ, ისევ ხაზგასმით ვიტყვი – საქართველოს ყველა ინტერესი რუსეთში დევს. ყველა გასაღები დაწყებული ეკონომიკიდან ტერიტორიული მთლიანობით დამთავრებული, რუსეთშია. თუ ჩვენ არ დავალაგებთ ამ ურთიერთობებს, კვლავ ასეთ რთულ სიტუაციაში ვიცხოვრებთ. ამერიკა ჩვენ არაფერს არ მოგვცემს, არამედ მხოლოდ წაიღებს იმიტომ, რომ იგი დაინტერესებული არაა, რომ ჩვენ ძლიერი სახელმწიფო, ჯანმრთელი ერი ვიყოთ. მას საქართველო თავისი ინტერესების პოლიგონისთვის სჭირდება.

**– დიდი მადლობა საინტერესო საუბრისათვის.**

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



**ნინო ბურჯანაძე**: „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა არგუმენტები, რომ მე დამარცხებული ქვეყნის ხილვა მსურდა, აბსოლუტურად ხელოვნურია. არც 2009 წელს ჩატარებულა აღლუმი, შარშანაც ქუთაისში ჩატარდა და არა რუსთაველის გამზირზე, და ამით ქვეყანა კიდევ უფრო გაძლიერდა, როგორც თავად „ნაციონალურმა მოძრაობამ“ განაცხადა. ასე რომ თავისუფლად შეიძლებოდა 2011 წლის 26 მაისს აღლუმის ან საერთოდ არჩატარება ან სადმე გადატანა, ამით ქვეყანა არ დაიქცეოდა. ქვეყანა დაიქცა სწორედ იმით, რომ აღლუმის ჩაბარების პრეტენზია ჰქონდა იმ პრეზიდენტს, იმ ხელისუფლებას და იმ ნაციონალურ მოძრაობას, რომელმაც ქვეყანა კი არ დაასუსტა, არამედ დააქცია! განსაკუთრებით, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ.

არ მინდა პოლემიკაში შევიდე ქ-ნ სევდია უგრეხელიძესთან, მაგრამ აშკარაა ის ორმაგი სტანდარტებით თამაშობს, როცა საუბრობს ვანო მერაბიშვილის დაპატიმრებასა და პოლიციელის ე.წ. მკვლელობაზე. ქ-ნი სევდია აცხადებს, რომ თურმე მტკიცებულები არ მოუსმენია ვანო მერაბიშვილის დაკავებასთან დაკავშირებით, თუმცა ის, რაც ვნახეთ, 26 მაისი ღამეს სრულაიდ საკმარისი იყო ნებისმიერი ქვეყნისათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ კოდორზე, რომელიც ისე ჩააბარეს რუსეთს, რომლის აგენტობასაც მე მაბრალებს სააკაშვილი და მერაბიშვილი, რომ ერთი გასროლაც არ მომხდარა. ხეობა, რომელიც საქართველოს ისტორიის მანძილზე არასოდეს ყოფილა მოწინააღმდეგის ხელში, სწორედ ნაციონალურმა მოძრაობამ ჩააბარა რუსეთს, აჩუქა და რის ფასად, ალბათ, ამას ოდესმე გავარკვევთ.

ქ-ნ სევდიას აზრად არ მოსვლია, მტკიცებულებები მოეთხოვა, როდესაც ასევე პოლიტიკური ფიგურა ბადრი ბიწაძეს ვანო მერაბიშვილის უწყებამ და პროკურატურამ მოგონილი ბრალდებებით მიუსაჯა 5,5 წელი. სტრასბურგის სასამართლოში დღესაც თვალებს არ უჯერებენ იურისტები ამ ბრალდებების წაკითხვისას, რომელიც შეკერილიც კი არ არის. ამაზეც კი არ შეიწუხეს თავი პროკურატურამ. ერთი არგუმენტიც არ მოუტანიათ, რატომ უნდა მჯდარიყვნენ ციხეში ადამიანები ჩაუდენილი დანაშაულის გამო.

ძალიან მიკვირს, რატომ უგულვებელყოფენ ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს დასკვნას, რომლიც სხვათა შორის, ადეიშვილის დაქვემდებარებაში იყო მაშინ. დასკვნაში წერია, რომ ბურჯანაძის ესკორტს არ გაუტანია ის პოლიციელი. მაშინ, როცა ადამიანები ნამდვილად დახოცეს ცემით ციხეში, მაგალითად, შაქრო ზურაშვილი, რომელსაც ჰპირდებოდნენ ცხოვრების სრულად აწყობას, თუკი იტყოდა, რომ ანზორ ბიწაძე იჯდა საჭესთან ან ის მაინც ეთქვა, რომ ბურჯანაძემ დაავალა, გადაუარე პოლიციელსო. მაგრამ ვერ ათქმევინეს ამ ღირსეულ ადამიანს ის, რაც სიმართლეს არ შეეფერებოდა. და ქ-ნი სევდია რატომ უგულებელყოფს ამ დასკვნას, სადაც წერია, რომ არც ზურაშვილს, არც ბურჯანაძეს ის პოლიციელი არ გაუტანია?!

რადაც არ უნდა დამიჯდეს, ყველაფერს ვიღონებ და იმედია, დღევანდელი ხელისუფლებაც თანახმა იქნება, 26 მაისი იქნეს გამოძიებული სათანადოდ. მათ შორის პოლიციელის და იქ დაღუპული ორი ადამიანის გარდაცვალების საკითხი. სხვათა შორის, ახლა აღმოჩნდა, რომ რუსთავი 2-ს აქვს კადრები, რაც საზოგადოებას აქამდე არ უნახავს და მე კიდევ ერთხელ მოვითხოვ ოფიციალურად, გამოქვეყნდეს კადრები, რაც მათ არქივში აქვთ. მთელი მსოფლიო შეძრწუნებული დარცება, როდესაც გაიგებენ, რა დგას პოლიციელის გარდაცვალების უკან.

რაც შეეხება გიგი უგულავას წამოყენებულ ბრალდებას, რომ თითქოს მე და ჩემი შვილი, გრუ-ს აგენტები, არც კი დავკითხულვართ, თავის დროზე მე ვიყავი პროკურატურაში და ყველა საკითხზე გავეცი პასუხი, რაც პროკურატურას აინტერესებდა. ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი და ჩემი თანამებრძოლების პასუხების, თანამშრომლობის, კატეგორიული მოთხოვნის სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით დამსახურებაა, რომ მერაბიშვილი დღეს ციხეში ზის. და იმედია, რომ მას ბევრი მიუჯდება კიდევ გვერდით. ძალიან ბევრი ინფორმაცია მაქვს, რომელსაც მივაწოდებ ობიექტურ გამოძიებას, არა მარტო 26 მაისთან დაკავშირებით, არამედ 7 ნოემბერთან, იგივე კოდორთან, 2008 წლის აგვისტოსთან და ბევრ სხვა მოვლენასთან დაკავშირებით. მე ყოველთვის მზად ვიყავი, მეთანამშრომლა გამოძიებასთან.

ხოლო რაც შეეხება უგულავას, ის მალე მიუჯდება მერაბიშვილს გვერდით და ბევრ რამეზე მოუწევს პასუხის გაცემა. იგივე უგულავა, მერაბიშვილი, ბოკერია, სააკაშვილი, ადეიშვილი, წელიწადნახევარი იყვნენ ხელისუფლებაში იმის შემდეგ, რაც ვითომ მე და ჩემს შვილს გრუ შემოგვყავდა და ამ გრუმ, როგორც ჩანს, რუსთაველს ვერ მოაგნო ან სააკაშვილის ზონდერების შეეშინდა! თუ შემოგვყავდა, სად დაიკარგა, გზაში აორთქლდა თუ რა მოუვიდა?! წელიწადნახევარი რა უშლიდა ხელს ნაციონალურ მოძრაობას, გამოეძიებინა ეს საკითხი და თუ სამშობლოს მოღალატე ვიყავი, ქვეყნის დაქცევა მინდოდა, გრუ-სთან ვიყავი შეკრული მთელი ჩემი ოჯახით, რატომ არ დამაპატიმრეთ, ბატონებო?!




რაც შეეხება ბარამიძის განცხადებას, მის გონებრივ შესაძლებლობაზე სააკაშილიც გულიანად იცინოდა და სთხოვდა ხოლმე, ნაკლები ილაპარაკე ევროპაში, ნაკლები სისულელე რომ თქვაო, მაგრამ დღეს ისეთები ილაპარაკა „რუსთავი-2“-ზე, უკვე მის შესაძლებლობასაც სცილდება. თითქოს ჩემთვის, როგორც პოლიტიკური ფიგურისთვის, ბრალის წაყენება არაპოპულარული იქნებოდა დასავლეთში და ქვეყნის იმიჯს შელახავდა. ხოლო გამოძიების გარეშე ყოფილ პარლამენტის თავმჯდომარეს, ორჯერ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს რომ მოღალატეს და აგენტს ეძახი, ეს თურმე დასავლური ფასეულობა ყოფილა. ამ გამოძიებით წინა ხელისუფლების იმიჯი დაზარალდებოდა და ახლა თუ ახალი ხელისუფლება გამოიძიებს, მისი იმიჯი ნაციონალურ მოძრაობას არ აწუხებს.

მე თავის დროზე ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა წარვადგინე სასამართლოში, მაგრამ მათ არ მიიღეს როგორც მტკიცებულება, რათა ადვილად დაებრალებინათ ჩვენთვის დანაშაული. მერაბიშვილი და სააკაშვილი მარტო იმიტომ უნდა ისხდნენ ციხეში, რადგან მათ პოლიციელი გამოიყენეს საზარბაზნე ხორცად.

რაც შეეხება 7 ნოემბრის აქციის დაშლას და პასუხისმგებლობას, სწორედ მე ვიყავი ის ადამინი, რომელმაც ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ მსხვერპლი არ ყოფილიყო; გავაღე პარლამენტის კარი, მაშინ როცა მართლა არსებობდა რეალური საფრთხე არეულობა მომხდარიყო და პარლამენტი შტურმით აეღო შოკში მყოფ საზოგადოებას, რომლიც მართლა შოკში იყო იმ ძალის გამო, რომელიც უსამართლოდ გამოიყენა ჩვენმა ხელისუფლებამ. ამიტომ ნამდვილად დაინტერესებული ვარ, გამოძიებული იქნეს 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენები, რათა ერთხელ და სამუდამოდ, ელემენტარული ობიექტუობის პრეტენზიის მქონე ადამიანმა ჩემსკენ ხელი აღარ გამოიშვიროს. პოლიტიკურ პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, ყველაფერზე ვგრძნობ, მით უფრო იმ პერიოდზე, როცა მე ვიყავი ხელისუფლებაში. სწორედ ამიტომ გადავდე ჩემი თავი და ჩემი ოჯახი, რომ რაც კი ვერ გავაკეთე ხელისუფლებაში ყოფნის დროს, რაც გაფუჭდა ნაციონალების მიერ, როგორმე გამომესწორებინა. ამიტომაც ვარ სერიოზული წნეხის ქვეშ, ამიტომ ავიღე ოპოზიციონერი პოლიტიკოსის ტვირთი ფაქტიურად, დიქტატორული რეჟიმის დროს, რომ ძალიან კარგად ვიცი, რას ნიშნავს პოლიტიკური პასუხისმგებლობა. ოღონდ ერთი რამაა საინტერესო, რატომღაც 2007 წლის მოვლენების დროსაც მე ვიყავი პასუხისმგებელი, რადგან ხელისუფლებაში ვიყავი და 2011 წელსაც ჩემი პასუხისმგებლობის საკითხს სვამენ, როცა ოპოზიციაში იყავი, მაშინ როცა არასოდეს დასმულა საკითხი თუნდაც 2007 წლის აქციის ორგანიზატორთა მიმართ. 26 მაისს ადამიანები დაიღუპნენ, არ იმის გამო, რომ ჩვენ ვიდექით იქ, არამედ იმიტომ, რომ ხელისუფლებაში აღარ იყო ნინო ბურჯანაძე, რომელიც არ დაუშვებდა ასე დაეგეგმა ხელისუფლებას აქციის დაშლა. ხელისუფლებაში აღარ იყო ნინო ბურჯანაძე, რომელიც გააღებდა პარლამენტის კარებს და ადამიანებს თავის შეფარების უფლებას მისცემდა. ამიტომ დაიღუპა 2011 წელს ადამიანები და კიდევ იმიტომ, რომ სააკაშვილს და მის ხელისუფლებას აფრები ჰქონდა აშვებული, რადგან მას ბურჯანაძისნაირი ადამიანები აღარ ჰყავდათ გვერდით. იცით, რაზე ვიღებ პასუხისმგებლობას?! იმაზე, რომ დღეს სააკაშვილის რეჟიმი აღარ მართავს ხელისუფლებას! ის, რომ 1 ოქტომბერი მოხდა, ეს, არის, დიახაც, 26 მაისის დამსახურება! და მე ამაყი ვარ ამით, რომ სწორედ 26 მაისმა გატეხა სააკაშვილის რეჟიმი წელში!

# მცხეთაში კვლავ ჩოჩელი და მისი ბანდა დათარეშობს!

## აორთქლებული მილიონები და ჩოჩელის მიერ ჩაჩოჩებული „ქართული ოცნება“

ცოტა ხნის წინ ფინანსური პოლიციის საგამოძიებო სამსახურმა დევნილთა განსახლებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების მითვისებისთვის, მცხეთის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი ვახტანგ ყიფშიძე და საქართველოს „ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ ყოფილი გენდირექტორი ნიკოლოზ ჯანჯღავა დააკავა. გამოძიების ინფორმაციით, ვახტანგ ყიფშიძის დახმარებით ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა, მცხეთა-მთიანეთის ყოფილმა გუბერნატორმა ცეზარ ჩოჩელმა, ლუხუმ კაპანაძემ, მერაბ ყუფუნიამ და შპს „ნიუ ენერჯის“ დამფუძნებელმა ნიკოლოზ შაქარიშვილმა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს იძულებით


ვაჟა თათარაშვილი

დევნილთა განსახლებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი 76.140.000 ლარიდან ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობის ხელოვნურად გაზრდის გზით, 7.551.657 ლარი მიითვისეს. გამოძიებით ასევე დადგენილია, რომ საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის სისტემის ასპინძა-ახალქალაქის 30-მეტრიან მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების შესრულებისთვის „ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ ხელშეკრულება გააფორმა შპს „ნიუ ენერჯისთან“. მიუხედავად იმისა, რომ პროექტის ღირებულება 10 მილიონ ლარს შეადგენდა, სამუშაოების მოცულობის ხელოვნურად გაზრდის გზით, კორპორაციამ „ნიუ ენერჯის“ 17.700.000 ლარი გადაურიცხა, რის შემდეგაც აღნიშნულმა პირებმა 6.038.847 ლარი მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისეს. სასამართლომ დაკავებულები გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა, თუმცა გამოძიება გრძელდება. ხსენებული ბრალდება 7-დან 11-წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

დაკავებულების გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლება მცხეთელებს არც გაკვირვებიათ. ყიფშიძე ამ საქმეებში მხოლოდ „პეშკა“ იყო, ის ცეზარ ჩოჩელისა და ვანო მერაბიშვილის გარეშე ვერაფერს გაბედავდაო. შპს „ნიუ ენერჯის“ რეალურ მფლობელებად სწორედ ამ ორ პიროვნებას მოიაზრებენ. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ყიფშიძეს მცხეთის გამგებლის პოსტი ეკავა. ამ არჩევნების დროს, ნაცხელისუფლებამ მცხეთაში 400-კაციანი სპეცდანიშნულების რაზმი შეიყვანა. გაერთიანებული ოპოზიციის მაშინდელი მაჟორიტარობის კანდიდატის ვაჟა თათარაშვილის განცხადებით, სპეცრაზმელები მცხეთის რაიონის სოფლებში ჯიპებით მოძრაობდნენ, ყიფშიძე პირველ ჯიპში იჯდა, რომ კარგად გამოჩენილიყო და სწორედ მისი მითითებით ხდებოდა საარჩევნო უბნებზე დარბევები. მოგვიანებით ყიფშიძეს გამგებლის პოსტი დაატოვებინეს, ამის მიზეზად ადგილობრივები მცხეთის რეკონსტრუქცია-რესტავრაციისთვის გამოყოფილი თანხების მითვისებას ასახელებენ (ამის შესახებ პრესა ადრე წერდა). ყიფშიძეს ორი თუ სამი მილიონის მითვისებას ედავებოდნენ, თუმცა მაშინ არ დაუჭერიათ, ჩოჩელმა მხოლოდ სამსახურიდან დაითხოვა, ეტყობა ყიფშიძეს ნაციონალების წინაშე დიდი „დამსახურება“ ჰქონდა და საციხედ არ გაწირესო.

ვაჟა თათარაშვილის თქმით, ვერც ამ თანხის მითვისება მოხდებოდა ჩოჩელის გარეშე, გამორიცხულია, რომ წილი მასთან არ მისულიყო. ამხელა სამუშაოების ჩატარება კი არა, დამლაგებელიც ვერ ინიშნებოდა მის გარეშე, ჩოჩელი რეგიონში მეფის „სტატუსით“ სარგებლობდაო.

**ვაჟა თათარაშვილი:** „ჩოჩელი თვითონვე ამბობდა, მცხეთაში ქვაც კი ჩემიაო. მე ამის შესახებ 2011 წელსაც ვისაუბრე საგაზეთო ინტერვიუში. ვიღაც მისულა მასთან, იქნებ რაიმე ობიექტი შემასყიდოთ, ბიზნესი რომ წამოვიწყოო. ჩოჩელის პასუხი არ გაინტერესებთ? მერე ჩემი ინტერესი გაითვალისწინე, რა გააჭირეთ საქმე, მე საავაშვილისთვის იმდენი მაქვს მიტანილი, მცხეთაში ყველაფერი მე მეკუთვნისო. მოგეხსენებათ, ჩოჩელი ნაცმოძრაობის ხაზინადარის სახელით იყო ცნობილი. ყიფშიძე მის გარეშე ვერაფერს გაბედავდა. ზუსტად ვერ გეტყვით მას რაზე გაუნაწყენდნენ, მაგრამ მცხეთაში ხმები დადიოდა, მილიონების მითვისებას ედავებიანო. შეიძლება „შეფობის“ გარეშე რაღაც „მოტეხა“ და ეს არ აპატიეს, თანამდებობიდან მოისროლეს. ალბათ იმ ფულსაც მიატანინებდნენ, აბა, ეს მგლები ვინმეს რამეს შეარჩენდნენ. რაც შეეხება მისთვის წაყენებულ ბრალდებას, რამდენადაც ვიცი, წეროვანის გეტოების მშენებლობას უკავშირდება. იმასაც ამბობდნენ, გადანაწილებული ჰქონდათ, ვის რამდენი კოტეჯი უნდა აეშენებინა (ყიფშიძეს 30 კოტეჯის აშენება ჰქონია „შეკვეთილი“ - მ.ს.), თითო კოტეჯი ოფიციალურად 35.000 ლარად ყოფილა შეფასებული, არადა სინამდვილეში 10.000 ლარიც არ იქნება დამჯდარი. თანაც დაჩქარებულ რეჟიმში, თურქეთიდან შემოტანილი მდარე ხარისხის სამშენებლო მასალებით გააკეთეს და საცხოვრებლად რომ გამოუსადეგარია, ეს საჯაროდ არაერთხელ ითქვა. ასე რომ, მართლაც სერიოზული თანხებია „მოტეხილი“.

არ სჯობდა ეს ფული დევნილებისთვის მიეცათ? 35 ათას ლარად ეს ხალხი სოფლებში კაპიტალურ სახლებსა და მიწის ნაკვეთებს იყიდდა და თავის რჩენა არ გაუჭირდებოდათ, არ იქნებოდნენ მათხოვრული შემწეობის შემყურე. არა, ჩვენ უნდა აგიშენოთო და ამ მოტიტვლებულ ადგილზე აუშენეს ეს სოროები, სადაც დევნილებს საკარმიდამო ნაკვეთებიც კი არ აქვთ. მანამდე ამ მიწებზეც დიდი ფული გააკეთეს, ომის წინა პერიოდში კაპიკებში იყიდა ვიღაცამ და მერე სახელმწიფოს მილიონებად მიყიდეს. ბუნებრივია, ვერც ეს მოხდებოდა ჩოჩელ-მერაბიშვილის ტანდემის გარეშე. ვინ გააკეთა კონკრეტულად ეს ფული და როგორ განაწილდა, გამოძიება ალბათ, ამასაც გაარკვევს. ყიფშიძე გირაოთი რომ გამოუშვეს, იქნებ დაინტერესდეთ საიდან იშოვა ეს ფული. მასთან ერთად დაკავებულ მეორე პიროვნებაზე ვერაფერს გეტყვით, რაც შეეხება ლუხუმ კაპანაძეს, მასზე ამბობდნენ, რომ ვანო მერაბიშვილის „თვალია“ ჩოჩელის ბიზნესებში. რეალურად ყველა ამ ბიზნესში ჰქონდა მერაბიშვილს წილი და კაპანაძე „მაყურებელი“ იყო ვანო რომ არ დაზარალებულიყოო. ზემო ხსენებულ სს-ის საქმეში „ნავთობისა და გაზის კორპორაციაც“ ფიგურირებს, რაღაც გაბერილ თანხებზეა საუბარი. მე არ ვიცი ეს რამდენად უკავშირდება მცხეთის რაიონს, მაგრამ იმას კი გეტყვით, რომ რაიონის მთლიანი გაზიფიცირება არ მომხდარა. იმ გაბერილი თანხის სხვაობა როგორ გაიყვეს, ვერ გეტყვით, მაგრამ ბუნებრივია, ეს ყველაფერი ჩოჩელის და შესაბამისად მერაბიშვილის გარეშე ვერ მოხდებოდა. ყიფშიძის ქვეყნის ამომგდებად გამოყვანა სასაცილოა, ის ჩოჩელის გარეშე ხელს ვერ გაანძრევდა, ჩოჩელი კი მერაბიშვილის გარეშე.

როგორც გითხარით, რეგიონში ჩოჩელის გარეშე არაფერი ხდებოდა, ყველაფერი მისთვის უნდა შეეთანხმებინათ. სხვათა შორის, ახლაც იგივე გრძელდება, თითქმის ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ჩოჩელის ხალხია. გასული წლის ივლისში 15 წილკნელი დააჯარიმეს, რომ თითქოს თავიანთი მიწის ფართობები მორწყეს და ფული არ გადაიხადეს. ჯერ ერთი, ერთი ჰექტრის ერთჯერად მორწყვაში 75 ლარს ითხოვენ, საიდან უნდა მოიტანოს გლეხმა ამხელა ფული? თანაც იმ პერიოდში საერთოდ არ მოდიოდა არხში წყალი. მოგეხსენებათ, მცხეთაში თავიდან მე ვიყავი „ქართული ოცნების“ შტაბის უფროსი და სწორედ ის ხალხი დააჯარიმეს, ვინც პირველი გაწევრინდა „ქართულ ოცნებაში“. ეს „ჭკუის სწავლების“ მიზნით მოხდა. ამ ხალხისთვის არც უთქვამთ, მიწა რატომ მორწყითო, პირდაპირ მიუვიდათ აღსრულების ფურცლები 300 ლარი უნდა გადაიხადოთ თითო ოჯახმაო. ყველაზე გასაოცარი კი ის არის, რომ ეს საჯარიმო ფურცლები ახალი ხელისუფლების მმართველობისას მიიღეს. ამ ხალხის „დამჯარიმებლები“ დღეს მცხეთის გამგეობაში „ქართული ოცნების“ სახელით, მაღალ თანამდებობებს იკავებენ. მცხეთის რაიონში დიდი ხანია სარწყავი წყლის პრობლემაა. ახალი მთავრობის დროს სარწყავი არხები თითქოს გაწმინდეს, რაც, როგორც ამბობენ, 300.000 ლარი დაჯდა. არხები ისე გააღრმავეს, რომ წყალი მილებამდე ვერ სწვდება, ასე რომ, გლეხი ვერ სარგებლობს. თანაც წყალს ძალზე იშვიათად უშვებენ და ამ ზაფხულსაც მოურწყავი დარჩება მიწები. იქნებ მთავრობა ამ საკითხითაც დაინტერესდეს“.

საჯარო სამსახურებში, რომ თითქმის ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობები „ფერნაცვალ“ ნაციონალებს უკავიათ, ეს დიდ საიდუმლოებას არ წარმოადგენს, მაგრამ ჩოჩელის ყოფილ „სამფლობელოში“ უფრო შორს წასულან. როგორც „საერთო გაზეთს“ კარგად ინფორმირებულმა, სანდო წყარომ აცნობა, ახალგორის გამგებლის მოადგილედ ჩოჩელის ერთ-ერთი ზონდერი დანიშნეს, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა 26 მაისის აქციის დარბევაში, საკუთარი თვალით გვაქვს ნანახი, როგორ ურტყამდა ხელკეტს მომიტინგეებსო.

ვაჟა თათარაშვილი თავის ადრინდელ საგაზეთო ინტერვიუში საუბრობდა თუ როგორ აბინძურებდა ჩოჩელის კუთვნილი ლუდსახარში „ნატახტარიდან“ ჩამდინარე წყალი მდინარე ნარეკვავს. დავინტერესდით თუ მოყვა რაიმე



დადებითი შედეგი ამ ინფორმაციის გახმაურებას

**ვაჟა თათარაშვილი:** „ქარხნის ხელმძღვანელობამ გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა სამი წლის წინ დაიწყო, ახალი ხელისუფლების დროს გახსნეს, მოწვეული ჰყავდათ ტელევიზიები და ხმამაღალი განცხადებები გააკეთეს უმაღლესი დონის გამწმენდი ნაგებობები დავამონტაჟეთო. მოგეხსენებათ, კატასტროფულად ბინძურდებოდა ნარეკვავი და მილხინა, არაგვიც იწამლებოდა. რა მივიღეთ ამ გამწმენდი ნაგებობებისგან ვერ გეტყვით, ფაქტია, რომ ეს მდინარეები ისევ მკვდარია, ცოცხალ ორგანიზმს ვერ ნახავთ. სპეციალურად მივედი შესამოწმებლად და ისევ დაბინძურებული წყალი ჩაედინება,

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ისევ ისე ყარს იქაურობა, მდინარეში ცოცხალი ორგანიზმს ვერ ნახავთ. მერე თქვეს „ბარამბოს“ არ აქვს გამწმენდი ნაგებობები და ამ ქარხნიდან ჩამდინარე წყალი აბინძურებსო. ესეც ჩოჩელის კუთვნილი საწარმოა. ვის აქვს უფლება, რომ თავისი ბიზნესინტერესების გამო მდინარე მოკლას? ახლა თურმე სამი წელი მიუციათ ვადა „ბარამბოსთვის“, გამწმენდები რომ ააშენონ. კიდევ სამი წელი ამათ უნდა ველოდოთ?

**- გამოდის მოსახლეობის სიცოცხლე არაფრად უღირთ, თბილისი ხომ სასმელი წყლით არაგვიდან მარაგდება?**

- მდინარეები ფაქტობრივად მკვდარია, არაგვი საშინლადაა დაბინძურებული. აქ მეორე უბედურებაა, გადაღებული მაქვს როგორ ამოჩქეფს ერთ ადგილზე შადრევანივით ჟინვალის კანალიზაცია, მიყვება გზას და არაგვში ჩაედინება. ამ ადგილიდან კილომეტრნახევარშია ბულაჩაურის სასმელი წყლის აუზები, ასე რომ, ყველა შემთხვევაში ბინძურდება სასმელი წყალი.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ იქაურობა ეპიდემიის ზონაა. ეს ყველაფერი გადაღებული მაქვს. ეტყობა ვინც მაშინ თან მახლდა, ყველაფერი მოახსენა ჩოჩელს და სანამ პრესით გავაჟღერებდი ამ ინფორმაცას, თავისი ჭკუით, დამასწრეს ჩოჩელმა და ნიკოლაიშვილმა, ბრიფინგი მოაწყვეს და განაცხადეს, ქსანში ევროპული დონის გამწმენდი ნაგებობა ავაშენეთ, მტკვარში გაფილტრული წყალი ჩაედინებაო. გამიკვირდა, გადასამოწმებლად ქსანში დავრეკე ჩემს ახლობლებთან, მათ სიცილად არ ეყოთ, სამი დღის წინ არ იყავი აქ, ასე უცებ რას ააშენებდნენ, კაცი არ მოსულა, რომ ინტერესის გულისთვის მაინც დაეთვალიერებინა აქაურობაო. ეს ბრიფინგი აორთქლებული 32 მილიონის „გასაპრავებლად“ მოაწყვეს, ერთი ჟურნალისტიც კი არ დაინტერესებულა გაერკვია, სინამდვილეში რა ხდებოდა.

ნაციონალები რომ არ აინტერესებდნენ ეს ყველაფერი გასაგებია, რადგან ერთად ჭამდნენ ბიუჯეტის ფულებს, მე ის მიკვირს სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგით მოსული ახალი ხელისუფლება რატომ არ ინტერესდება. მცხეთის ტყეპარკის ტერიტორია „თეატრონთან“, ბავშვების დასასვენებელი ადგილი ნაგავსაყრელადაა ქცეული. რამდენიმე წლის წინ თქვენც წერდით ამის შესახებ, იმის შემდეგ არაფერი შეცვლილა, უფრო უარესი სიტუაციაა. საჩვენებლად წინა მხარე სუფთადაა, მაგრამ დანარჩენ ტერიტორიაზე ვერ გაივლი. მცხეთაშიც ვითომ შეიცვალა ხელისუფლება, მაგრამ იგივე გრძელდება. ან რა უნდა შეიცვალოს, როცა, როგორც გითხარით, ყველგან ისევ ნაციონალები არიან. პირიქით, სიტუაცია მგონი გაუარესდა კიდეც. სასტუმროებსა და რესტორნებს ისევ ნაციონალების დროინდელი მაღალჩინოსნები იშენებენ, მათ უბატონოდ ხმას არავინ სცემს. ის ხალხი, რომელიც ამ ცხრა წლის განმავლობაში ებრძოდა სააკაშვილის რეჟიმს, ისევ მშიერი დაჩაგრულია“.

როგორც „საერთო გაზეთს“ სანდო წყარომ უთხრა, სვეტიცხოვლის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხეთის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე და ნაციონალების მაჟორიტარობის კანდიდატი ანდრო კალანდაძე ორ სასტუმროს იშენებს. სადაც კალანდაძეა, იქ ჩოჩელიც უნდა ვიგულისხმოთ. ახალი მთავრობა კი რატომღაც არ ინტერესდება საიდან იშოვა კალანდაძემ ამდენი ფული. ამის მიზეზი ის არის, რომ ამ უკანასკნელს გავლენიანი მფარველები ჰყავს „ქართულ ოცნებაშიო“. ასეთ სავარაუდო მფარველებად, ვაჟა თათარაშვილი შს მინისტრის ექსმოადგილეს, ბრალდებულ გელა ხვედელიძეს და ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებულ პირს, მირიან მჭედლიშვილს ასახელებს. კალანდაძე და მჭედლიშვილი თანაკლასელები და ნათელმირონნები ყოფილან, თუმცა მცხეთაში ისიც გვითხრეს, რომ მიუხედავად ახლობლობისა, მჭედლიშვილი და კალანდაძე დიდი ხანია დაპირისპირებული არიან და ერთმანეთს არც კი ელაპარაკებიან.

მრავლად არიან მთავრობაში. როგორც შევიტყვე, თუმცა ამ ინფორმაციის სიზუსტეზე თავს ვერ დავდებ ხვედელიძე-მჭედლიშვილმა დიდი თანხები აიღეს ჩემი გაშვების სანაცვლოდ ჩოჩელ-კალანდაძის წყვილისგან. თურმე მე არჩევნების დროს ნაციონალებისთვის მითქვამს (მალე იმათ ვინაობასაც დავასახელებ ეს ინფორმაცია ვინც მომაწოდა და იმ პიროვნებასაც, ვისგანაც მათ ეს გაიგეს, დღეს ეს უკანასკნელი მაღალ თანამდებობაზეა), თქვენს სასარგებლოდ ვიმუშავებ, თუ 16 მილიონს გადამიხდით, ოღონდ ფული არ მინდა 8 ჰექტარი მიწა მომეცით-თქო. მოკლედ, მთელი მცხეთის მფლობელობაში გადმოცემა მომითხოვია. უფრო მე-




**ვაჟა თათარაშვილი:** „შეიძლება ვინმემ პირად დაინტერესებად ჩამითვალოს, მაგრამ მაინც უნდა მოგიყვეთ, როგორ ყიდულობდნენ მიზერულ ფასად ყველაფერს ჩოჩელი და კალანდაძე. მცხეთაში ერთ-ერთი ობიექტის შესყიდვა მინდოდა, სადაც ვგეგმავდით ძველი საბურავების იტალიური ტექნოლოგიებით აღსადგენი საწარმოს მოწყობას. მუნიციპალიტეტში მითხრეს, 80.000 დოლარად გაიყიდება ეგ შენობა-ნაგებობაო. ჩემი პარტნიორები დათანხმდნენ, მაგრამ ადგილობრივმა მთავრობამ ფასი უცებ შეცვალა და 180.000 დოლარი მოგვთხოვა. ამხელა თანხას ნამდვილად ვერ გადავიხდიდით. მერე როგორც გავიგე ეს ობიექტი ანდრო კალანდაძემ იყიდა, (რა თქმა უნდა სხვისი სახელით) 13.000 ლარად. აუქციონის წესით მოხდა ეს შესყიდვა თუ სხვა გზით, ვერ გეტყვით. ყოველ შემთხვევაში აუქციონის გამოცხადების შესახებ არაფერი გამიგია. საკუთარი ინტერესების გამო, ბიუჯეტს სერიოზული თანხები დააკარგვინეს. ეს ყველაფერი ნაციონალების მმართველობის დროს მოხდა, მაგრამ ფაქტობრივად ახლაც იგივე გრძელდება. ერთ ქალბატონს, რომელიც ნათესავად მერგება, სოფელ მისაქციელში 5000 კვ.მეტრი მიწა არაფრით არ დაუკანონეს. მან ეს მიწა 1990 წელს იჯარით აიღო. 1993 წელს იჯარა-შესყიდვა გაუფორმეს, რაშიც უამრავი თანხა გადაახდევინეს, მაგრამ მოგვიანებით ამ ყველაფრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია გაქრა. თურმე ვიღაც ნაციონალს მოსწონებია ეს მიწა (ცენტრალური ავტომაგისტრალის მიმდებარედაა), იმასაც ამბობდნენ აქაც ვანო მერაბიშვილის ინტერესი იყოო და საბუთების გაქრობის მიზეზიც ეს ყოფილა.

მე „ქართული ოცნების“ შტაბის უფროსობიდან ჩემს გაშვებასაც ხვედელიძე-მჭედლიშვილის „დუეტს“ ვუკავშირებ, მაშინ ჩემთან ერთად ჩემი გუნდიც გამოუშვეს და კალანდაძე-ჩოჩელის ხალხით ჩაანაცვლეს. მართალია, ხვედელიძე აღარ არის შს მინისტრის მოადგილე, დაიჭირეს კიდეც, მაგრამ მისი კადრები დღესაც ტიც, თურმე ამის ჩანაწერიც არსებობს. „ეროვნული ფორუმის“ ხელმძღვანელობამ ეს ყველაფერი უაპელაციოდ დაიჯერა და მომიშორა. დიდი სიბინძურე იყო, რაც გუბაზ სანიკიძესთან დაკავშირებით გამოაქვეყნეს, მილიონერი უნდა გავხდე, ალბინოსები რატომ იბადებიანო და ა.შ. რომ ამბობენ დღევანდელი ტექნოლოგიების პირობებში ყველაფრის დამონტაჟება შეიძლებაო, თუ სანიკიძეს ეხება დამონტაჟებულია და თუ თათარაშვილს ნამდვილი? იქნებ მე ეს ყველაფერი ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი და იქ ითქვა, სადაც გელა ხვედელიძეც იჯდა და გულიანად ხარხარებდა იმ ლომებსა და ვეფხვებზე.

გული მწყდება ამდენი წელი რომ მჯეროდა „ეროვნული ფორუმის“. გელა ხვედელიძე ვინც იყო, არ იცოდნენ? ყველას ხომ კარგად მოეხსენება, რომ ყოფილი „კაგებეშნიკი“ არ არსებობს. საბჭოთა კავშირის დროინდელ გამონათქვამს გავიხსენებ, „კაგებეში“ შეიძლება შენი ნებით დაიწყო მუშაობა, მაგრამ იქიდან თავისუფლად მხოლოდ კრემატორიუმის მილიდან გამოხვალო. მეგობრობას როგორ აფასებენ ჩემი ყოფილი თანაპარტიელები ესეც კარგად ვიცი. პარტიის ერთ-ერთ ლიდერთან (მისი ვინაობის გამხელისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებ) მისი გარდაცვლილი მეგობრის შვილი მისულა, ძალიან მიჭირს, მეწყერმა სახლი დამინგრია, იქნებ რამით დამეხმაროთ, ბანკიდან მაინც რომ გამომატანინოთ სესხი, თორემ ისეთ დღეში ვარ, ლამის თავი ჩამოვიხრჩოო. არ დაგავიწყდეთ ეს ახალი ხელისუფლების დროს ხდება. ამ ლიდერისგან ასეთი პასუხი მიუღია, ჩემთან რას მოდიოდი, წადი და ჩამოიხრჩეო. ეს ვინმესგან კი არ გავიგე, ან ფარული ჩანაწერი კი არ მომისმენია, თვითონ მოყვა ის ლიდერი, იმ სუფრასთან სადაც 15 კაცი ვისხედით. მოკლედ, თავი მოიწონა. იქ მყოფები გაოგნებულები იყვნენ, ამის თქმა რაში დაჭირდა, ეტყობა გაგვაგებინა, თქვენც არაფერი მთხოვოთო.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24




# xa l xis az r iT

რა ვიცი, სიგარეტის მოწევას აგიკრძალავთო და ... დავჯდები აწი, მოვწევ ლეგალურად “პლანს” და ვივლი გაღიმებული... იქნებ, დამავიწყდეს რა ჭირიც გვჭირს. სიგარეტი, რაღაცნაირად, ვერ მავიწყებს, “პლანი” ჯობია:)))

300 მეტრით საზღვრის გადმოწევისთვის რუსეთთან ომს ხო არ დავიწყებთო, განსხვავებული ორიენტაციის პროპაგანდისთვის ჩვენ თანამემამულეზე ხელს ხო არ ავწევთ, ნახეთ, რა საყვარლები, უწყინარები და ფერადები არიანო, 100-მდე ახალგაზრდის მკვლელობისთვის სახელმწიფო გადატრიალებას ხო არ მოვაწყობთ – რას იტყვის ევროპა, უხერხულიაო, 21-ე საუკუნეში შიმშილით რო ბავშვი კვდება რა ხელისუფლების ბრალიაო, მკვლელები რო ისევ კაბინეტებში რბილ სკამებზე ზიან და არა ციხეში კოჰაბიტაციის ლოგიკური შედეგიაო, თუ ჯერჯერობით ვერაფერს ვუკეთებთ ხალხს – ხომ არც ვუშავებთო?!... თქვე კაიადამიანებო, თუ არაფერი არ გეხებათ, უძლურები ხართ და ყველანაირ პასუხისმგებლობას იხსნით ხალხის წინაშე რაში იღებთ ამოდენა ხელფას–პრემიებს? გამოვდივარ ინიციატივით გასამრჯელო მიიღოთ გაკეთებული საქმის და გაწეული შრომის შესაბამისად, რასაც გამოიმუშავებთ – იმას შეჭამთ, აღარც ჩვენ გვექნება პრეტენზია და თქვენც ცოტა გაანძრევთ ერთ ადგილებს!

საგანელიძეს უნდა დაურეკო და ვკითხო, მაგან თავი ბორტ-გამცილებელს ხომ არ მიარტყა ))) ვინ მოიფიქრა, ნეტა, თვითმფრინავის გამოყოფა, ცოცხებს არ დასჯერდებიან რომ რამე იყოს! გადაასხდნენ და იფრინონ!

ონიშენკომ ოცნებები ჩაგვიფუშა.... კიდევ დიდხანს დაიჯერებთ, რომ მზე ჩრდილოეთიდან ამოვა..... სოჭის ოლიმპიადაზე მოპოვებული მედლები გია სურამელაშვილს დაკიდეთ....

სააკაშვილის გაცილების მატჩი მატროსოვზე გაიმართება. მსაჯი, ალბათ, კბილა იქნება....

დემეტრაძე - სტადიონზე, ვანო და ბაჩო - ციხეში! ურემი ეძახე, შენ, და!

ესენი ვერ არიან ხაჩირში აი... შეღავათიანი ფასებიო ტოოო... ოე-ოეეეეე, იცით თუ არა რომ, ბელგიის პარლამენტარი იმაზე ნაკლებ ხელფასს იღებს, ვიდრე საშუალო ბელგიელი და არანაირი შეღავათი პარლამენტარს არ გააჩნია, გარდა სენატის სასადილოში სადილისა?.

ვაიმე, არ შეუკიკინეს ამ თურქეთს?... ცრემლსადენი გაზი გამოიყენა დემონსტრანტების წინააღმდეგო და ორი დღეა ევროკავშირი ევროსაბჭო და ასე შემდეგ უსაქმურთა გუნდი მაყვალას ოდილასავით ხიხინებს... თქვე ჩემის მრავალფერდიანებო... 26 მაისს ცრემლსადენი გაზი კი არა მიტინგი დახვრიტეს თბილისში და რაცხა თქვენი წკმუტუნი არ გამიგია?... პადუმაეშ ცრემლსადენი გაზი გაუშვა თურქეთის პოლიციამ

მაღალოოო, შენ არ ხარ საერთაშორისო არენაზე საქართველოს გარანტიი?... მიდი მერე შე ჩემის ორას ოც ვოლტიანო, გაუკეთე მობილიზება საერთაშორისო საზოგადოებას დიცის ამბებთან დაკავშირებით, თუუუ ჩიორას ცხვირი და ვანოიე გალლეტილის უკანნალი უფრო პრიორიტეტია შენთვის.. ის ევრო დეპუტატები ამათზე რო ახავხავებ ერთი კვირაა საქართველოს გულისთვის ააყვირე... თუუ, მაგი არაა შენი პრეროგატივა?

პეტუხების გასალახად მილიონიანი მარში მოვაწყვეთ ქართველებმა და რუსები რო საზღვარს გადმოვიდნენ, თხუთმეტი კაცი ვერ მოვგროვდიით? მალადეც თქვენ... მალადეც...

ჯერ საზღვრები, ეხლა ღორის გრიპი. მესიჯი ვლადიმეროვიჩისგან - ჩემი მიშა დააბრუნეთო.

# ლევან ვასაძე — ლექსები



## უსაზღვრო ნისლებს

უსაზღვრო ნისლებს, უფალო,
მიწამდე დახრის ქარები,
ოქტომბერს ისე, უბრალოდ,
ვეღარსად დავემალები.

რა ვქნა, ამ გზაზე მაცხოვარს,
მითხარი, რისთვის გჭირდები,
გულით ვგრძნობ, მუდამ გახსოვარ
და შებრალებას მპირდები.

ზღმარტლები დამწიფებულა,
შემოძარცვულა ტყეები,
მზე სიხარულად კლებულა,
ვერ გაუთბია კლდეები.

ლაჟვარდსაც შემოჰპარვია,
ნატვრის ცრემლების ბროლია,
ბავშვივით შემოსჩაგვრია
სიზმრები მონაქროლია.

რამსიგრძე გზაა, უფალო,
ნისლში არ მესმის ეჟვნები,
თავბრუს როგორღა ვუთვალო,
ჩონჩხლანდიანი ვერხვები.

ფოთლების ოქროს ტალახში
ჩაკლავს დეკემბრის ჭაღარა
და ცეცხლი ამდენ ვარამში,
აღარ შემრჩება, აღარა.

გავისუსები ძილისთვის,
ჩავეფუთნები სიკვდილსა,
აღარ ვინატრებ დილისთვის,
ყაყაჩოებში სირბილსა,

დამაფიქრს ზანტი ფიქრები,
დაბარდნად ბარდზე ვარდისა,
აღარაფერი ვიქნები,
გარნა სევდის და დარდისა.

მცივა და მტკივა, უფალო,
რომ ვერაფერში გადგები,
ვუსმენ, ვუხმობ და უთვალო,
ვერ გპოულობ და ვვარდები.

გათოშილ ხელებს ჰგონიათ,
თოვლიც მაგათზე თბილია
და მუზებს მოუგონიათ,
შეშლილთა მზის იდილია.

იქნებ, ვეაჯო ბალღივით,
ზამთრის ულმობელ ზმანებას,
სანამ იმედით დაღლილი,
გული ძილს მიეტანება.

მაგრამ რას მომცემს ვედრება,
განა ამცდება სიკვდილი?!
თოვლში სამარედ ყვედრება
ჭინკების ჩემზე სიცილი.

ასეთი დროა, ვინა ვარ,
არ ვაღიარო წუხილი
დინების ზღვაში ვინა ვარ,
გაუმთბარი და უვსილი.

ჯობს, აღარ ვსდიო აგვისტოს,
დამდუღროს თეთრმა საფარმა
ცხვირ-პირი თოვლმა ამივსოს
და მიმაძინოს ზამთარმა.

სამშობლო სევდას ნებდება, —
მეც მასთან ერთად ვიქნები;
ვგრძნობ გულში სისხლი ჩერდება,
ცრემლიან სტალაგმიტებით.

მაგრამ იმასაც ვხვდები რომ
მომაგნებს თოვლში მძინარეს,
ახლა რომ მთებში ჯებირობს
მაისის წრფელი მდინარე —

დამეჯახება მომკვდარსა,
ამწვანებული კორდებით,
სიცოცხლედ მიქცევს მომხდარსა,
ავიშოლტ-ავიყლორტები,

ჩამოლექს ბარად ფერებსა,
დაუმსხვრევს თვალ-წარბს ყინვასა,
გამალღობს, მომაფერებსა
და მომაწყურებს ფრინვასა.



გავშლი მხრებს, მტრების ჯინაზე,
გადავევლები მთა-ბარსა,
სამშობლოს ხილვით ვილაღებ,
სამშობლოც ცოცხალს მნახავსა.

ამიტომ მიტკბის ზამთარი,
და ვერ მაშინებს სიკვდილი,
დარდი მოწყენით მზაკვარი
და ავსულების სიცილი.

უსაზღვრო ნისლებს მაცხოვარ
ჩამორეკს ციდან ქარები,
ნოემბერს ისევ ვახსოვარ
და ნუღარც შევებრალები.

ვივლი ამ გზაზე, უფალო,
იქნებ რამეში გჭირდები,
გულით ვგრძნობ, რაღაც უბრალო
და გასაოცარს მპირდები.

# ბედნიერებამ მითხრა — ნუ მეძებ!

ბედნიერებამ მითხრა — ნუ მეძებ!
შენი შვილების თვალებში მნახე...
ნაზი სამშობლოს უხლებ ველებზე
ნაწვიმარ სიოდ გამომიძახე.
შემხვდი შავი ზღვის ნაჩურჩულებთან
სადაც კოლხეთი შეხვდა დიაოხს,
სადაც შორს წასულს ლოდინს ურეკდა
ტალღებს მომდგარი მთების ფრიალო.
მნახე კახეთის უდრეკ დგომაში,
მთვარისფერ ვაზის ფოფინა ჩრდილში,
თრიალეთს მომწყდარ შემოდგომაში
და ჭირნახულის ჟივილ-ხივილში.
დაზამთრებული გურიის მთებში,
ხელიხელ ნაკრეფ ჩხავერის ტკბილში,
საგაზაფხულედ მზა ნადურებში
და კრიმანჭულის ჭირზე სიცილში.

ბედნიერებამ მითხრა — რად მეძებ?!
მე ხომ მეგრული ნანები მქვია,
ლაზური ქვისფერის დაბლობებზე
გაზრდილ ქალ-ვაჟებს რომ ზნედ ატყვია...
მე ამ ჰერეთის, ან იმერეთის
სიზმრების ცა ვარ დაუსაბამო,
სტუმრის გულიან მოსაფერებ(თ)ის
უარყოფა ვარ სოფლის საამო...
ის ქალაქი ვარ ქარის მცნობელი,
გულის ბაგრატის გუმბათის ხელა,
ზემო-იმერეთს დინჯად მომსვლელი
ზრდლობიანი ვარ საპოვნელა...
მე მთების ზღვა ვარ თეთრად გაშლილი,
სვანური ზარის ცრემლში ნაჟური,
უშბის კალთა ვარ მეწყრად დაშლილი,
და აქაფებულ ენგურს ნაწური.
დარიალს მჯდომი ქირიკაშვილის
შეცოდებული ჯიხვი ვარ ნორჩი,
გერგეტის მზე ვარ მყინვრად აშლილი
და განძის გადამმალავი ომში.
ჭიუხში ხევსურთან შემთხვეული
ფშავში მისული ნისლის უბე ვარ,
დინჯი თუშის და ფიცხი მთიულის
თვალში დამდგარი ფიქრის გუბე ვარ.
ქართული სულის მგელვარე რაშის
შმაგი, ამაყი და მორცხვი მთა ვარ,
ჭოროხის თავშიც და გურჯის კარშიც
ჩაუქრობელი ქრისტეს ნატვრა ვარ.
კუპრად და ჭირად მოზღვავებულით
ვერმოწამლული ხულოელი ვარ,
განდაგან თრევას არგუებული
შენი ერთგული აჭარელი ვარ.

ბედნიერებამ მითხრა — თუ მეძებ
ალესანდროულს ნუ მოსწევ გვიან...
რაც კი რაჭველმა სწრაფად ვაკეთე
იმას ნამდვილი ხვანჭკარა ჰქვიან.
ჭელიშის ოთხთავთან შეწირული
სანთელ-ბერების არგანაგონი..
სჯულის მსხვერპლი ვარ თავგანწირული,
სიდარბაისლე ვარ ბარაკონის.
ტაოს ცრემლი ვარ ბანად შთენილი,
სახლის დაცვა ვარ ლომგულ-ფხოველის,
კლარჯეთის ხმა ვარ ვერმოწვდენილი
გალავნებამდე სვეტიცხოველის...
მამა გრიგოლის შეწყნარებული
არაუდები ხანძთის შვილი ვარ,
ფარავანი ვარ ნინოს ხლებული,
იოთამ ზედგენიძის ძილი ვარ.

თუ არ დაგღალე — აფხაზეთი ვარ...
სურნელი სოჭის მთუთქავს, მაციებს,
მე ყოველ ღამე კვლავ იქ შევდივარ
სანამ უფალი არ მაპატიებს—
ქართულის ზერელედ მივიწყებას,
სტუმარ-ქალების მალულად დევნას,
სიმდიდრისათვის გაფაციცებას,
მიწას მოწყვეტას, საფლიდო ლხენას.
სანამ უძღები შვილი მამასთან
თავჩაქინდრული ცრემლით არ მივალ...
სამოსელს პირველს მამა ჩამაცვამს
და სიხარულით გული წამივა...
სანამ ილორში წმინდა გიორგის
არ მივენდობი მწირველ-მღვდელივით
და არ ვიტირებ რაც არ ვიცოდი
ზურმუხტ-ბიჭვინთის ღვთისმშობელივით...
მაშინ დასცხრება აბელის ცრემლად
სამაჩბლოში დაბა ბრწყინვალე,
აღარ ვიქნები კერპების მძევლად,
აღარ შემარცხვენს ჩემი სიმხდალე.

ბედნიერებამ მითხრა — სად მეძებ...
მზე დასავლეთში როდის ასულა,
რეებს აგროვებ, დარდობ საგნებზე
და ველარ იცლი იდგე კაცურად!
სადმე, სულ ახლოს, აქ, ვარძიასთნ
სარგის თმოგველის ნაკამარალზე,
მტრის გაოგნებულ ელეგიასთან,
მის მოღალატე ცოლის დანკალზე...
ქორებრ ხედვიდე მღელვარე ზეგანს
ლურჯ-ბალახიან ჯავახეთისა,
მესხთა სამკვიდროს, აბულის წყებას,
კუმურდოს ლოდინს ძღვენთა კვეთისა.
ნაათაბაგარ, ნამოღალატარ
ოდესღაც ტყიან განვლიდე გორებს,
დაუდევარი ფიქრის კვალდაკვალ
მიადგებოდე მოპარულ ლორეს...

ბედნიერებამ მითხრა — რა ვიცი...
კახში ინგილოს რა ეშველება...
თუ გეშორება უკვე დმანისი
და მარნეული არ გეშენება..
ისე მოკვდები — გარეთ არ გახვალ
რისთვის-ღა ცხოვრობ? საერთოდ ვინ ხარ?
შენ ძმაო ქართველს სულ აღარ გავხარ...
რას ადღეგრძელებ, რაებს იხსენებ,...
ვის რად არგია სად რა მოგსვლია?!..
დასთვრები, ისტორიას იჩემებ
ხალიბებს, ჭანებს, კაბადოკიას...
არაფერს არ ქმნი... რით-ღა შოულობ
მაგ საგროვებელს - და არა სარჩოს?
მოფხანვის მაგვარ შვებას პოულობ
როცა იყიდი და აღარც
გახსოვს რისთვის იყიდე?
რის გეშინოდა? — როცა მოხვეჭის
გზაზე დგებოდი...
რით მიგაძინეს და რა გინდოდა
როცა ნამუსთან დაბრუნდებოდი..

ბედნიერებამ მითხრა — არ მეძებ...
თორემ სამშობლოს ცვარიან ბგერას
იავარქმნილი გულის ნადებზე
იმყოფინებდი მალამოდ ძგერას...
მელექსეობის ამპარტავნებას
მდუმარე ჭვრეტის ლხინში გასცვლიდი...
დამანებებდი დევნას თავნებას
და შენთან მოსვლას თითონ მაცლიდი..
ნაღდი თბილისის საღმოებად
არდანაბიჯებ ხატების გრილში
ვიწრო-ქუჩების ჭა-ეზოებად
ნატანჯი ხალხის დაღლილ ღიმილში...
დაბრუნდებოდი მშობლების სახლში
რაც ღმერთმა მოგცა — იმით ძლიერი,
დათმენის სიბრძნეს ჩაჰხედდი თვალში
მოიქცეოდი როგორც ივერი.
ჩაგიხუტებდი.. რაც წლები დაგრჩა
ჩემს სამკვიდროში კვლავ იქნებოდი
და შენნაირი გარეთ ვინ დაგრჩა
აწი იმაზე დაფიქრდებოდი...
წარდგომის ჟამი დამშვიდებულზე
უეცარ ხმობად დაგიდგებოდა
ნაალსარებზე აწი შენ გულზე
ძებნა და შფოთი არ იქნებოდა..

ამიტომ ნურსად.. გესმის.. ნუ მეძებ..
ყველა ასახდენ ზღაპარში მნახე..
და სიხარულის უხლებ ველებზე
იმედის სიოდ გამომიძახე...

2010 წ.



# „ჩვენ ჩვენი ქართული ჰომოსექსუალიზმი გვინდა!“

## ვის სულს ითხოვენ საქართველოში?

18 მაისს მიუხედავად ასიათასობით საფრანგეთის მოქალაქის პროტესტისა, პრეზიდენტმა ოლანდმა ხელი მოაწერა კანონს ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზების შესახებ.

21 მაისს პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში, ათას ხუთასი ადამიანის, ძირითადად უცხოელი ტურისტების თვალწინ, საკურთხევლთან, იქ, სადაც ჯვარს იწერენ წყვილები, პირში ჩაიდო ძველი წარმოების იარაღის ლულა და თავი მოიკლა ფრანგმა ისტორიკოსმა, მწერალმა და პუბლიცისტმა **დომენიკ ვერნერმა**. (თავის დროზე იგი ალჟირის დამოუკიდებლობისთვის (საფრანგეთისგან) ბრძოლაში მოხალისედ იყო ნამყოფი.) თვითმკვლელობამდე ვერნერმა თავის ვებ-გვერდზე გააკეთა ემოციური ჩანაწერი, რომელშიც გმობდა ჰომოსექსუალების მიერ ბავშვის შვილად აყვანას. „აუცილებელია ახალი ეფექტური სიმბოლური აქციები, რათა გამოვაფხიზლოთ მთვარეულები, შევაჯანჯღაროთ ნარკოზით გაბრუებული ცნობიერება და შევახსენოთ ჩვენი წარმომავლობა. დგება დრო, როცა სიტყვას საქმე უნდა მოჰყვეს“... და მოაყოლა...





* * *

„ჩვენ, კაცო, ჩვენი ტრადიცია გვაქვს, კინტოების, ჰომოსექსუალობის საკუთარი ტრადიცია გვაქვს. მე ასე მგონია, რომ ერთ-ერთი პირველი ლესბოსელი ერი ჩვენ ვართ, მაგრამ ეს დასავლური ტიპის ჭრით არ ხდებოდა ჩვენთან — ყველამ ისე არ უნდა გაიმეოროს. ჩვენ ჩვენი ტრადიციები გვაქვს ამისიც და იმისიც, ყველა ერს აქვს ეს. ახლა გვიმტკიცოს ამერიკელმა ერმა, რომელიც 200 წლისაა, რომ ჩვენ ეს არ ვიცოდით რა არის — ჩვენ ბევრად ადრე ვიცოდით, ვიდრე მათ იცოდნენ. აქ ლაპარაკია რაზე — ალჟირელმა ქალებმა გაიხადეს, ჩაიცვეს მოკლე კაბები, შევიდნენ ბარებში და აუფეთქეს ის ბარები ფრანგ იმპერიალისტებს. ანუ მას ის შინაგანი პრობლემა კი არ ჰქონდა, იმას ჰქონდა პრობლემა იმპერიალიზმთან...



რა თქმა უნდა, ყველა კულტურა ვითარდება, ჩვენს კულტურასაც სჭირდება განახლება და ამაზე იყო „თერგდალეულების“ მთელი ამბავი, მაგრამ ილია ჭავჭავაძე ჩემი იყო. ახლა რომ მოდის ვიღაც ფრენსის მაკდონალდი და მეუბნება — ჯერ ერთი, ჭამე მაკდონალდის იმ საშინელ რესტორანში, საშინელი ნაგავი, როცა მაქვს ბევრად უკეთესი საჭმელი; მერე მეუბნება, იმუშავე ამერიკულ კორპორაციაში და მე შენ, როგორც მონას, 3 დოლარს გადაგიხდი დღეში და ჩემსას 300-ს; და მესამე, რაც მთავარია, ჩვენ გვაქვს ყველაფერი ამის ტრადიცია.

ძაან ჩვეულებრივი ხალხი მუშაობს „იდენტობაში“, მე მაქვს ურთიერთობა, ვიცნობ და ჩემი ცოლი ერთ-ერთი დამაარსებელია მაგ ორგანიზაციის და ა.შ მაგრამ ჩვენ ჩვენი ქართული ჰომოსექსუალიზმი გვინდა, ჩვენ გვინდა აგრეთვე ჩვენი ქართული ტრადიციები — ჩვენთან იყო ეს... სხვა ფორმით იყო, ეს ისე არ იყო — მე ვიცი ბევრი ხალხი, ვინც ამას იკვლევს — ჩვენ ჩვენებური გვაქვს. ჩვენ რაღაც უცხო სხეულს როცა გვაწვდიან, გვეუბნებიან, გააკეთე ისე, როგორც ამას აკეთებს თომას ერიქსონი, ეს არის ჩემთვის უცხო და მე არ ვიღებ ამას. თომას ერიქსონივით რატომ უნდა გავაკეთო, როცა მე მყავდა სერგო ფარაჯანოვი, არა? გენიალური ადამიანი მყავდა, რომლის ხელშიც გავიზარდე — ბევრად მესიმპათიურება, ვიდრე, ვთქვათ, ერიქსონი, არა? — ის ჩემიანი იყო, მთაწმინდაზე გავიზარდე და ვიცნობდი ძალიან ახლოს... — ეს ერთი მომენტია.

მე ვფიქრობ, ამაში, ნაწილობრივ, იყო აგრესია კულტურული იმპერიალიზმის წინააღმდეგ და არა მაინც და მაინც სექსუალური უმცირესობების მიმართ. მმე არ მომხრე — ქსენოფობია, ჰომოფობია და ა.შ ცუდი რამეა, მაგრამ ის, რომ უცხოს არ იღებს ქართველი და თავისით უნდა, თავისი მსოფშეგნებით... არ მინდა მამაჩემზე ვილაპარაკო, მაგრამ ერთ-ერთი ბოლო წერილი „მწვანე მოძრაობის“ წერილი, სწორედ მაგაზე ლაპარაკობს. საშინელებაა, უცხო კონცეპტებით გავუტენოთ ადამიანს თავი, ეს არის კულტურული იმპერიალიზმი — მას თავისი აქვს. ვაჟა-ფშაველას ფილოსოფია არსებობს საქართველოში, გრიგოლ ხანძთელის და ა. შ ამ ფილოსოფიებში კმარად (საკმარისად — თ.მ.) არის აღქმული თვითონ ქართული, არ სჭირდება მას თავსმოხვევა. არ არის ისე, რომ მინდოდეს, რადგან ის იმპერიაა და მთელ მსოფლიოში ჯარები ჰყავს...

17 მაისს ჩვენ გვქონდა საქმე პირველ რიგში ძალადობასთან, რომელიც უნდა დავგმოთ, მაგრამ უნდა გავაანალიზოთ. ჩვენ გვაქვს პრეტენზია, რომ განათლებული, ცივილიზებული საზოგადოება ვართ — არის სტრუქტურული ძალადობა, ეკონომიკურიც და არის კულტურული ძალადობაც და არის პირდაპირი ძალადობაც, რომელიც უნდა დავგმოთ“, — განაცხადა **ირაკლი კაკაბაძემ**.

„ეროვნულების“ ლიდერმა სანდრო ბრეგაძემ წუხილი გამოთქვა, რომ ქართული ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში ბევრი პატივსაცემი სახე ჩაერთო, რადგან, 17 მაისს განვითარებული მოვლენები, ეს იყო გიგა ბოკერიას დაგეგმილი პროვოკაცია და ემსახურებოდა ეკლესიიის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას. ბატონმა სანდრომ გაიხსენა 90-იან წლებში, გერმანიაში მომხდარი ისტორია, სადაც ირაკლი კაკაბაძესთან ერთად იყო: — „ჩემს თვალწინ პანჩურის კვრით და ცემით ჩაყარა (ირაკლიმ) ავტობუსიდან სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები, იმიტომ რომ ისინი ერთმანეთს ეხვეოდნენ. ეს მაგალითია იმისა, რომ ადამიანების განწყობები ძალიან შეიცვალა წლების განმავლობაში.



## რატომ არის ფარაჯანოვი და კინტო „ჩვენი“ — ქართველი ჰომოსექსუალი?

როგორც ამბობენ, კატამ რომ კნუტები ბუხარში დაყაროს, ბისკვიტები არ იქნებიან, ანუ თბილისში დაბადების გამო კინტოები და სერგო ფარაჯანოვი ქართველებად ვერ იქცევიან. კულტურულ იმპერიალიზმზე რომ ესაუბრა ირაკლი კაკაბაძეს, ცამდე მართალი იქნებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, რატომღაც ვალდებულად ჩათვალა თავი, ჰომოსექსუალიზმს გადაწვდენოდა — სიტყვა გასროლილ ქვასავითაა, უკან ვეღარ დააბრუნებ...

თუ ირაკლი კაკაბაძე შინაგანად მართლა პედერასტიის მხარდამჭერია საქართველოში, საიქიოს მიბარებულ სომხებს კი არ უნდა გამოჰკიდებოდა, ცოცხალი და წარმატებული, ე.წ ელიტარული ქართველი პედერასტები უნდა მოეყვანა მაგალითად. რატომ არ დაასახელა, რატომ არის დასამალი, ანუ სამარცხვინო მათი უკანალების გასხვისების ამბავი, რატომ ვერ იმეტებს? თუ მათთვის რაღაც ფასეულს წარმოადგენს სექსუალური ორინტაცია და ამიტომ მალავენ, რატომღა აქეზებენ უბირ ლგბტ-ებს გამომზეურებისკენ? — აინტერესებს ხალხს, მაგრამ ამაზე არავინ საუბრობს. (საინტერესოა, რატომ არ დაებადა ეს კითხვა გადაცემის წამყვანს და გადაცემაში მიწვეულ დანარჩენ სტუმრებს და თუ დაებადათ, რატომ არ ჰკითხეს?)

რაც შეეხება — **სარქის (სერგო) ფარაჯანოვს,** იგი დაიბადა თბილისში, იოსებ ფარაჯანოვისა და სირანუშ ბეჟანოვის (ბეჟანიანი) სომხურ ოჯახში 1924 წელს. 1973 წელს ფარაჯანოვი ჰომოსექსუალიზმის ბრალდებით დააპატიმრეს და ხუთი წელი მიუსაჯეს შრომა-გასწორების კოლონიაში, საიდანაც ოთხი წლის შემდეგ გათავისუფლდა, ისიც, ფრანგი სიურრეალისტი ლუი არაგონის დიდი დახმარებით. გარდაიცვალა 1990 წელს ერევანში.

**იოსებ გრიშაშვილი**: — „კინტო“ წვრილ მოვაჭრეს კი არ ნიშნავდა, უბრალოდ, კინტოები ხშირად ირჩევდნენ ხელობად მსუბუქ საქმიანობას, რაც ხალხის თავშეყრის ადგილებში ტრიალის საშუალებას აძლევდა, თორემ ისინი, ძირითადად ჯიბგირობით, ქურდბაცაცობით, ყომარბაზობით, სათამაშო და საროსკიპო ბუნაგების ორგანიზებით, სუტენიორობით, თაღლითობით და სხვა წვრილმანი ქალაქური კრიმინალით ირჩენდნენ თავს.

ძველი ტფილისის პოლიციის არქივების მასალები აშკარად მეტყველებენ იმაზე, რომ კინტოურ სუბკულტურაში ჰომოსექსუალიზმის პრაქტიკა სავალდებულო თუ არა, ჩვეულებრივ, მიღებული, ხოლო აქტიური მამათმავლობა პრესტიჟული და წახალისებადი მომენტი იყო.

ქართველ მოღვაწეთა ნაწილი კინტოების უზნეობას პუბლიცისტურ წერილებში აპროტესტებდა. განსაკუთრებით იაკობ გოგებაშვილს აწუხებდა მათი თავაშვებულობა. როგორც პედაგოგი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ახალგაზრდობის აღზრდას და მაგალითს, ამიტომაც, ხელისუფლებისგან კინტოების ინსტიტუტის გაუქმებას მოითხოვდა.“

სხვათა შორის, კინტოები, განსხვავებით დღევანდელი „მეკურტუმეებისგან“, უფრო „ვაჟკაცები“ ყოფილან, არ მალავდნენ საკუთარ სექსუალურ ორიენტაციას, დამალვა კი არა, სიმღერითაც გამოთქვამდნენ (ცნობილი „სიმღერა, თქმული გენო გევორქოვის მიერ ტფილისში, თათრის მოედანზე, დუქან „არტოში“, ქრისტეშობითგან 1876 წელს, მკათათვეს“, ან „ლექსი ტფილისელი კინტო, ვინმე ენაბლუ არტურასი“, რომელიც აშუღურ მოტივებზე იმღერებოდა დუდუკის თანხლებით და ა.შ.)...




ძველ ქართულ ლექსიკონებში „კინტოს“ სემანტიკური ახსნა არ არის, (სპარსულში კუნტე ან კუნდეჰ დაცინვის გამოხატვის ფორმაა) მაგრამ როსტომ მეფის პერიოდის ქრონიკებში არის ინფორმაცია, რომ პირველი კინტოები სპარსეთიდან ჩამოყვანილი სომხები იყვნენ. (ცნობისათვის, „კინტოური“ ირანელი ქალების ცეკვა იყო, რომელიც მეკურტუმე სომეხმა კაცებმა გაითავისეს და ასე შემოვიდა საქართველოში)

როსტომ მეფე შაჰ აბას I-ის კარზე იყო გაზრდილი ხოლო „ბაჩაბოზებით“ (მოცეკვავე ბოზი ბიჭი) გატაცება ჩვეულებრივი ამბავი იყო სპარსეთში. არის ვარაუდი, რომ კინტოები სპარსეთიდან კულტურული ინტერვენციის რანგში ჩამოიყვნეს, მაგრამ როსტომ მეფის მმართველობის შემდეგ კინტოები უსაქმოდ დარჩნენ, ამას თან დაერთო ისიც, რომ სპარსეთის გავლენა საქართველოზე შესუსტდა, მართლმადიდებლური ეკლესია მოძლიერდა, საზოგადოება ფეხზე დადგა და კინტოების პირდაპირმა დანიშნულებამ (მათ შორის სექსუალურმა გართობამ) ტრანსფორმაცია განიცადა და ქალაქის ცხოვრების უწყინარ ნაწილად გადაიქცა, დამთავრდა ჭრელ აბანოებში ღამეული ორგიების ხანა...

რაც შეეხება ფრაზას, „მგონი ერთ-ერთი პირველი ლესბოსელი ერი ჩვენ ვართო“ – არც ამაზე ჩაძიებია ირაკლი კაკაბაძეს ვინმე, რატომ ამბობო, არადა, ბევრისთვის ირაკლი ავტორიტეტია და ამ ფრაზას ხელზე დაიხვევენ. საქმე რაშია – ხელნაწერთა ინსტიტუტში აღმოჩნდა ინფორმაცია ლესბოსელობის შესახებ, რომ საქართველოში მათ საერთო სახელით „ნინჩო“ მოიხსენიებდნენ, მაგრამ ჰომოსექსუალი ქალების რამე გაერთიანებაზე ან სუბკულტურაზე არანაირი ფაქტი არ მოიძევება.

არავინ დაობს იმაზე, რომ საქართველოშიც იყო სექსუალური გაუკუღმართებულობის შემთხვევები, მაგრამ რაც ჩვენი არ არის – არ არის, წინააღმდეგ შემთხვევაში, სალაპარაკოც არაფერი იქნებოდა...

## არა – თეოკრატიას!

საინტერესოა, რას ნიშნავს სიტყვა „თეოკრატია“ თუ იცოდნენ იმ ადამიანებმა, ვინც „დედა ენის“ ბაღში „არა – თეოკრატიას!“ ლოზუნგის ქვეშ გაერთიანდა, ვთქვათ, იმ გოგონამ, რომელსაც ხელში ეკავა ე.წ „ტრასფარანტი“ (ფურცელი) „თეოკრატია მტ...ნავს“ – მეეჭვება. ასევე მეეჭვება, ამ სიტყვის განმარტება სცოდნოდა იქ მყოფ ე.წ „ცნობილ სახეებს“ სილიკონით გამობურ-



ცული ტუჩებით რომ ბოდავდნენ გაზეპირებულ ფრაზებს. ბუნებრივია, ისმის კითხვა, აბა, ვინ იცოდა? – მათ, ვინც ხსენებული აქცია დადგა (იგივენი, 17 მაისის ლგბტ პროვოკაციის ავტორები) და მხოლოდ ერთი მიზანი აქვთ, მართლმადიდებლური რელიგიის, როგორც ქართველობის უკანასკნელი ბასტიონის დანგრევა-გაცამტვერება.

სად ნახეს თეოკრატია?

ამ ლოზუნგის ავტორი და მისი ყველა მხარდამჭერი არც ლგბტ-ს დამცველია, არც არავისი, ის მხოლოდ მართლმადიდებლობის მტერია და სხვა არაფერი.

მართლმადიდებელი ქრისტიანი მამებისა და მორწმუნე მრევლისთვის (თუნდაც მეტნაკლებად მორწმუნე იყოს) გასაგებია რაც ხდება; ათეისტი, მაგრამ გონებაგახსნილი ადამიასთვისაც, ამდენად, არც ფარისევლების არსებობა უკვირთ.

ერთ დღეს – პოლიტიკოსები, მთავრობის წარმომადგენლები, უბრალოდ „ცნობილები,“ ქალები – მანდილდახურულები, მამაკაცები მორჩილის პოზაში სანთლებით (აუცილებლად ყველაზე დიდი უნდა იყოს) ხელში არ გამოაკლდებიან დიდ საეკლესიო დღესასწაულებს და დგანან უფლის სახლში, შესციცინებენ (ვითომ) უფლის მოციქულებს დედამიწაზე;

მეორე დღეს იგივენი, ზოგნი ლგბტ-ს დამცველები აღმოჩნდებიან და ყველა შემთხვევაში აუცილებლად სასულიერო პირების დასჯას ითხოვენ, ზოგნი – „არა – თეოკრატიაზე“ მიიჩქარიან და იმ გოგონებს და ბიჭუნებს იცავენ თეოკრატია რომ „ტყ...ვთ“.

გახვალ ქუჩაში და იბრძოლებ ზოგადი და პიროვნული შეურაცხყოფისთვის, აბა, რას იზამ? – მერე დაგიჭერენ, დამნაშავედ გამოგიყვანენ და იმავე საკანში ჩაგსვამენ, სადაც შენზე ადრე შენი მოძღვარი იქნება მიბრძანებული...

**მალხაზ თოფურია**: – „მიმართვა არატრადიციული ორიენტაციის საზოგადოებას!

ღრმად პატივცემულო გეებო, ლესბიანკებო, ტრანსვესტისტებო, ბიებო... და სხვანო მრავალნო, მოგმართავთ თქვენი ჰეტერო თანამოქალაქე. მერე რა, რომ სხვადასხვა შეხედულებები გვაქვს ჩვენი გენიტალიების გამოყენება-დანიშნულებაზე, სამშობლო ხომ ყველას ერთი გვაქვს. მრავალი ცნობილი ადამიანი იყო არატრადიციული, მაგრამ სამშობლოს დიდი პატრიოტი. ვიცი, რომ ქართველი არატრადიციულები არავისზე ნაკლები არ ხართ. შეიძლება, იულიუს კეისარივით მახვილს ვერ იქნევთ, ვერც ლეონარდო და ვინჩივით ხატავთ და ფრედი მერკურივით მღერით, მაგრამ დედა-სამშობლო, შეიძლება, მათზე არანაკლებად გიყვართ. ჩვენს შორის ჩატეხილი ხიდი, რომელიც ბოლო დღეებია აპოგეას აღწევს, არც თქვენი ბრალია და არც ჩვენი, დამნაშავე ის „არასამთავრობოებია“, ვინც თქვენს გენიტალიებზე ხელს ითბობს და გრანტებს ხაპავს...

მაშ, შეიკრიბეთ სადმე ჭეშმარიტი ეროვნული არატრადიციულები და დაგმეთ ეს ვითომ თქვენი უფლებადამცველები, რომლებიც ასე უხეშად შემოიჭრნენ ჩვენს იდილიურ თანაარსებობაში, დაუმტკიცეთ მსოფლიოს, რომ ქართველი არატრადიციული ყველაზე პატრიოტი არატრადიციულია მსოფლიოში!

პატივისცემით თქვენი ჰეტერო თანამოქალაქე!“

ხუმრობითაა დაწერილი, მაგრამ მთავარი სიტყვაა, რომელიც უმთავრესია...

**თამარ მჟავია**

# არ ენდოთ – თვითმარქვიაა!

**რკინიგზელთა პროფესიული კავშირი სოციალური ქსელში საკუთარ ოფიციალურ მისამართს ავრცელებს: საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირი“**

საქართველოს რკინიგზის ყოფილი ხელმძღვანელობა სრულიად უსამართლოდ აპირებდა მუშაკების დატოვებას უფლებების ოფიციალურ დამცველის – რკინიგზელთა პროფკავშირის გარეშე და, თითქმის 9 წელი პირდაპირ თუ ირიბად ცდილობდნენ დაეშალათ. სწორედ მაშინ ჩაუდგა სათავეში ამ ორგანიზაციას ჰამლეტ ლომიძე - საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირის ამჟამინდელი თავმჯდომარე - პროფესიონალი გამოცდილი რკინიგზელი, „მოძრაობაში“ 25 წლიანი სტაჟით, „საპატიო რკინიგზელი“, რომელსაც სურვილის შემთხვევაში, შეეძლო ემუშავა საკუთარი პროფილით, მაგრამ დასაქმებული რკინიგზელების ინტერესების დაცვას ანაცვალა საკუთარი კარიერა და ფაქტობრივად, მის მხრებზე გადაიარა პროფკავშირზე საქართველოს რკინიგზის ყოფილი ხელმძღვანელობის ნეგატიური დამოკიდებულების მთელმა სიმძიმემ და შეძლო არა მხოლოდ რკინიგზელთა პროფესიული კავშირის შენარჩუნება, არამედ აქტიურად აღუდგა წინ მის დასაშლელად მიმართულ კამპანიას მაშინ, როცა ხელმძღვანელობის მიერ დასჯის შიშით ადამიანები სიმართლის თქმას გაურბოდნენ, ამის არაერთი პრეცენდენტი იციან რკინიგზელებმა.

„ომებისგან“ დასუსტებული ორგანიზაციის ხელახლა „მწყობრში ჩასადგომად“ მუშაობა კარგა ხანია დაწყებულია, მაგრამ, ცნობილია, რომ დანგრევაა იოლი, შენება კი... მართლაც ძალიან ბევრი სამუშაო აქვთ საქართველოს რკინიგზელთა პროფესიულ კავშირში, რომელიც გვერდში უდგას საქართველოს ამჟამინდელ ხელმძღვანელობას დანგრევის პირამდე მიყვანილი სისტემის ხელახლა გამართვაში, ასეთია დასაქმებული რკინიგზელების ნება.

და ამ დროს სოციალურ ქსელებში საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირის არაოფიციალურ გვერდებზე მოხშირდა უხამსობების და რკინიგზელთა იმიჯის შემლახავი სურათების გამოქვეყნება:

**ფაქტი 1:** მიმდინარე წელს - 15 მაისს გაზეთი „სოლიდარობაში“ (საქართველოს პროფკავშირები ინტერნეტში) რუბრიკით „საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება“ დაბეჭდილია წერილი სათაურით **„რკინიგზის პროფკავშირები ახალ რელსებზე გადადის“** და ავტორად მითითებულია ვიტალი გიორგაძე - „საქართველოს რკინიგზის პროფკავშირის თავმჯდომარის მოადგილე, ავტორი წერს (სტილი დაცულია: „როდესაც ჩემი პროფკავშირული აქტივობების (ალბათ, აქტიურობა აქვს მხედველობაში ქ.ჩ.) შესახებ გახდა ცნობილი, დამიბარა უფროსმა (გვარი მითითებული არ არის ქ.ჩ) და მითხრა, რომ, ან მე უნდა წავსულიყავი სამსახურიდან, ან ის გადადგებოდა, რა თქმა უნდა (რატომ, **„რა თქმა უნდა“? - ქ.ჩ)** მე მომიწია სამსახურიდან წასვლა და დავრჩი უმუშევარი, ამის შემდეგ ხალხთან ყოველდღიურად მიწევდა და დღესაც მიწევს **(სტატუსი? - ქ.ჩ.)** შეხვედრები და იმის ახსნა, თუ რა არის პროფკავშირი და რატომაა ეს ინსტიტუტი მნიშვნელოვანი დამსაქმებლისთვის („სტატუსით“ **ავტორი „დასაქმებულების“ ინტერესების დამცველი უნდა იყოს და არა დამსაქმებლების - ქ.ჩ)**.

აღნიშნულ წერილში გიორგაძე რატომღაც არც საქართველოს რკინიგზაზე მისი ყოფილი სამსახურის, არც უფროსის, არც საკუთარი თანამდებობის დასახელებას აწვდის სწორად მკითხველებს და აცხადებს: „ჩვენი იარაღი არის კანონი“, კერძოდ რომელი, არ მიუთითებს, არადა, აშკარად, სამართლიანობაზე აქვს პრეტენზია.

ფაქტი 2: საქართველოს რკინიგზელთა პროფესიულმა კავშირმა, თავის დროზე საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების სახელზე გაგზავნა მოთხოვნა პროექტის ფარგლებში პროფკავშირული აქტივისტებისთვის სწავლება-სემინარების ჩასატარებლად. ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციით, პროექტის განხორციელება დამთავრებული უნდა იყოს, მაგრამ რკინიგზელებისთვის ნაცვლად ოცდათოთხმეტისა მხოლოდ ოცდასამჯერ ჩასატარებელი ლექცია-სემინარის შესახებ არსებობს „ცნობა“, დანარჩენის ჩატარების გრაფიკს და ამომწურავ „ინფორმაციას“ სხვა ორგანოების მიერ ამ საკითხით დაინტერესებამდე ელოდებიან რკინიგზელთა პროფკავშირში. **ფაქტი 3:** სოციალურ ქსელებში ვრცელდება ინფორმაცია (სტილი დაცულია): „რკინიგზის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით, ორშაბათიდან (15 აპრილი) ამოქმედდება ადმინისტრაციული სასჯელი და გატარდება მკაცრი კონტროლი ყველა სამსახურის ხელმძღვანელებისა და თანამდებობის პირების მიმართ, ვინც რაიმე სახით ჩაერევა, ხელს შეუშლის, შეაფერხებს, ან განახორციელებს ზეწოლას ახლადარჩეულ პროფკავშირების თავმჯდომარეებისა და კომიტეტის წევრებზე. ასევე მკაცრად დაისჯება ხელმძღვანელი, რომელიც პროფესიული კავშირის დისკრედიტაციაში, ან ანტიპროპაგანდისტულ ქმედებებში იქნება შემჩნეული“.

ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება, მსგავსი გადაწყვეტილება არც ზეპირი, არც წერილობითი სახით რკინიგზის ხელმძღვანელობას არ მიუღია, რადგან პროფესიული კავშირის საქმეებში არ ერევიან, მით უმეტეს, არ არის ამის საჭიროება, დასაქმებულების უფლებები საიმედოდ არის დაცულია.



ვინ არის **ვიტალი გიორგაძე,** რომელიც ინტერნეტგამოცემებსა და სრულიად უცნობი ორგანიზაციის „საქართველოს რკინიგზის პროფკავშრების“ („საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული“ ასეა დარეგისტრირებული – ქ.ჩ.) თავმჯდომარის მოადგილეობას „იბრალებს“ და თავს ნებას აძლევს ისაუბროს მათი სახელით, მეტიც, გაურკვეველი უფლებამოსილებით აღჭურვილი საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირის ადგილობრივ არჩევებშიც კი საკუთარი საარჩევნო გამჭვირვალე (ეტყობა, მეტი სანდოობისთვის – ქ.ჩ.) ყუთით დადის (?) და პროფკავშირული ადგილობრივი ხელმძღვანელების არჩევნებში აქტიურად მონაწილეობს: როგორც ირკვევა, ვიტალი გიორგაძემ 2009 წლის 21 ივნისს სადგურ - მახარისხებელში „პარკის მორიგედ“ დაიწყო მუშაობა და 2011 წლის დეკემბერში შტატების შემცირების მიზეზით გათავისუფლებულიქნა დაკავებული თანამდებობიდან, მაგრამ ჯერ კიდევ იქ მუშაობის დროს არჩეულიქნა საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირის გამგეობის წევრად და არარკინიგზელი უკვე მერამდენე წელია, მომავალ არჩევნებამდე, რჩება გამგეობის წევრად.

**ვიტალი გიორგაძემ ჩვენთან საუბრისას დაადასტურა, რომ საქართველოს რკინიგზელთა პროფესიულ კავშირში ოფიციალურად არანაირ თანამდებობას არ ფლობს და საკუთარი ნებით მიიჩნევს თავს საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ – საზოგადოებრივ საწყისებზე (?), რასაც ქართულად** „თვითმარქვიობა“ ჰქვია და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით მასზე სასჯელია დაწესებული.

**გთხოვთ არ ენდოთ „საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირის“ არაოფიციალურ არც ერთ სხვა გვერდს ინტერნეტსივრცეში, მით უმეტეს, მას, ვისაც გულზე აწერია, რომ უყვარს ღვინო და ამ სურათს აქვეყნებს სოციალურ ქსელებში.**

**ქეთევან ჩემია**
5 99 57 12 90




**კახა კუკავა:** 1 ოქტომბრამდე ქართული ოცნების დაპირება იყო, რომ გაუქმდებოდა ელექტროენერგიაზე მიბმული დასუფთავების გადასახადი. თინა ხიდაშელმა კანონპროექტი შეიტანა პარლამენტში, რომლის მიხედვითაც აიკრძალა დასუფთავების გადასახადის მიბმა ელექტროენერგიაზე. თუმცა რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჩატარდა კონსულტაციები „ქართულ ოცნებასა“ და „ნაცმოძრაობას“ შორის და ამ კანონპროექტში არ ჩაიწერა ტარიფის ზედა ზღვარი. „ქართულმა ოცნებამ“ მოატყუა ამომრჩევლები. დღეს თბილისის საკრებულომ, სადაც ნაციონალები არიან უმრავლესობაში, ამ კანონის თანმახმად ეს ორი გადასახადი კი დააშორა ერთმანეთს, მაგრამ ჩვეულებრივ მოატყუა მოსახლეობა და დააწესა სულადობრივი გადასახადი, ერთ სულზე 2 ლარი და 50 თეთრი. ეს არის კოაბიტაციის შედეგი. ოცნება და ნაციონალები ერთად კიდევ ბევრ სხვა სფეროშიც ატყუებენ ამომრჩევლებს. ამ შემთხვევაშ კი თბილისელების ნაწილი დასუფთავების გადასახადს გადაიხდის იმდენივეს, რაც აქამდე იხდიდა, ნაწილი კი გაცილებით მეტს განსაკუთრებით



ეს შეეხება მრავალსულიან ოჯახებს და მოსახლეობის გაჭირვებულ ფენებს, რომლებიც ეკონომიურად მოიხმარდნენ რა ელექტროენერგიას, შესაბამისად არ იხდიდნენ დიდ თანხას დასუფთავებაში.

**ფაქტი სახეზეა, „ქართულმა ოცნებამ“ მოატყუა ამომრჩეველი, ტარიფების გაყოფა ფორმალურად შესრულად მხოლოდ. მოსახლეობას იურიდიული საკითხი კი არ აინტერესებდა გადასახადთან დაკავშირებით, არამედ ამ ტარიფის გაიაფება.**

სხვათა შორის შევთავაზე მოგვეწვია ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი, დაგვეთვალა რა ღირს რეალურად დასუფთავება და თბილისის მოსახლეობას რომ ცოტა შეღავათი ეგრძნო, თანხის ნაწილის ტრანსფერი განეხორციელებინა ცენტრალური ბიუჯეტიდან. ახლა ქართული ოცნება ბედნიერია, რომ თითქოს დაპირება შეგვისრულეს და ნაციონალური მოძრაობაც, რომ ქართულ ოცნებას ბრალდება ეს გადაწყვეტილება. ხალხისთვის კი ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ამიტომ ვთვლი, რომ უნდა დაიწყოს ხელმოწერების შეგროვება, შევიდეს პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივა. ჩემის აზრით, საქართველოს პარლამენტში ხალხს თავის წარმომადგენელი არ ჰყავს, დეპუტატები წარმოადგენენ თავ-თავიანთ პარტიებს. უნდა ვაიძულოთ ეს პარლამენტი, ცოტა მაინც მოიხედოს საზოგადოებისაკენ.

„ქართულ ოცნებას“ ხმა კი არ მიუცია ამ გადაწყვეტილებისათვის პირდაპირ, მაგრამ ოპონირება არ გაუწევია და რაც მთავარია, მათ მიერ მომზადებულმა კანონ-პროექტმა მისცა საშუალება „ნაციონალურ მოძრაობას“, ეს გადაწყვეტილება მიეღო. თინა ხიდაშელი შეიძლება გავაკრიტიკო როგორც პოლიტიკოსი, მაგრამ მას, როგორც იურისტს კვალიფიკაცია ნამდვილად არ აკლია, და შეეძლო იმ ერთი წინადადებისათვის სამი სიტყვა დაემატებინა კიდევ - „მხოლოდ არაუმეტეს 1 ლარი და 50 თეთრისა“.

მივიდეს რომელიმე ჟურნალისტი ამ კანონპროექტის ავტორთან ან რომელიმე „ქართული ოცნების“ წევრთან და ჰკითხოს, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამა დასუფთავების გადასახადთან დაკავშირებით შესრულებულად, იგივე აბაშიძესთან, ის იყო ძალიან აქტიურად ჩართული ამ კამპანიაში წინასაარჩევნოდ. როგორ შესრულდა, როცა ჩემი ოჯახი გადაიხდის იგივეს, ვილაცის ოჯახი კიდევ უფრო მეტს. ანუ დასუფთავების სამსახურის ბიუჯეტი, რომელიც სადღაც 5 მილიონამდეა, უნდა დარჩეს უცვლელი. ძალიანაც ვიაქტიურეთ საკრებულოში, მაგრამ იქ ჩვენ ვართ წარმოდგენილი მხოლოდ ერთი ხმით, ხოლო დანარჩენი 49 ხმა გადანაწილებულია ქართულ ოცნებასა და ნაციონალურ მოძრაობაზე, რომლებიც მშვენივრად არიან კოაბიტირებულნი. აქედან გამომდინარე, ძალიან გვიჭირს, ზეგავლენა მოვახდინოთ პროცესებზე. ამასთან მინდა გავაგებინო ქართულ საზოგადოებას, რომ, როგორც ადრე ვიყავით იგნორირებული და ბლოკირებული სააკაშვილის ხელისუფლების მიერ, ზუსტად იგივე დამოკიდებულება აქვს ბიძინა ივანიშვილს მთავრობას ჩვენს მიმართ. ჩვენთან, როგორც რეალურ ოპოზიციურ პარტიასთან თანამშრომლობაზე, ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება აცხადებს უარს.

ჩემი რადიკალური მოთხოვნები გასაგებია, რადგან მარტო დასუფთავების გადასახადს რომ შეეხებოდეს, როგორმე შევარბილებდი ტექსტს, მაგრამ იგივე ხდება სამართლიანობის აღდგენის სფეროში, იგივე ხდება სისხლის სამართლის საქმეების აღდგენის მიმართულებით. გუშინ პრემიერ-მინისტრმა ფაქტიურად დაადასტურა, რომ კერძო საკუთრება არ დაუბრუნდებათ თავიანთ კანონიერ მფლობელებს! კიდევ უამრავი მაგალითი შემიძლია ჩამოგითვალოთ და თქვენ ვერ მეტყვით ვერც ერთ სფეროს, სადაც რაიმე ხელშესახები გატარდა.

**ახლა რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას, უკვე საკმაო დრო გავიდა, მერვე თვეა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნისა, თუნდაც ერთი სფერო დამისახელეთ, სადაც რამდენადმე მნიშვნელოვანი კონცეპტუალური ცვლილებები იქნა გატარებული. ყველა სფეროში იგრძნობა ქაოსი, დაბნეულობა, არაკოორდინირებულობა, მკაფიო პრიორიტეტების არარსებობა და ამ ყველაფერზე გვესმის ერთი და იგივე კომენტარი, რომ უნდა დაველოდოთ, გაგებით მოვეკიდოთ, რომ თურმე რთული საკითხი ყოფილა და ასე ადვილი არ ყოფილა ამ საკითხის გადაწყვეტა და ა.შ. მე ვფიქრობ, რომ ყოველივე ამაზე არ არის საჭირო დუმილი, არამედ უნდა ვიმოქმედოთ ქართული პრინციპით, ილიასეული პრინციპით: მოყვარეს პირში უძრახე.**

რამდენჯერმე ითქვა გარკვეულ საკითხებზე, იგივე დასუფთავების გადასახადზეც, რომ ალბათ, პრემიერმა არ იცისო. ეს არ არის არც ერთი ქვეყნის პრემიერისა და პრეზიდენტისათვის გასამართლებელი საბუთი, თუ არ იცის, მით უარესი. ეს ნიშნავს, რომ ეს მთავრობა ყოფილა უუნარო. მე მოვისმინე გორის რაიონში შექმნილ ვითარებასთან და ექსპორტთან დაკავშირებულ პრობლემებთან დაკავშირებით მთავრობის ოთხი წევრის პოზიცია და ოთხივე პოზიცია იყო კარდინალურად განსხვავებული. ესეთივე სიტუაციაა ყველა სფეროში. იუსტიციის მინისტრი, მაგალითად, ისე აკრიტიკებდა ტელეეთერით მთავარ პროკურორს, გეგონებათ, რომელიმე ოპოზიციური პარტიის ლიდერი ყოფილიყოს. ეს არ არის ნორმალური, ამიტომ, ვფიქრობ, რომ ჩვენს მთავრობას სჭირდება გადახალისება, სჭირდება როგორც კურსის, ისე პერსონალური ცვლილებები, თუ გვინდა, რომ მივიღოთ კონკრეტული შედეგები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს კომედია, რაც ტრიალებს დღეს საქართველოში, ძალიან დიდხანს გაგრძელდება.

რაც შეეხება თემას, რომ უნდა ყოფილიყო გახსნილი ნაგვის გადამამუშავებელი საწარმო გერმანელების მიერ. და არა მარტო ნაგვის. თუმცა ერთი საწარმო მაინც დამისახელეთ, რომელიც აშენებულა ბოლო წლებში.

**გოგი თოფაძე არის ის ადამიანი, რომელსაც ეს დროშა უჭირავს ძალიან დიდი ხანია და მას დაეჯერება ამ საკითხში.**

რაც შეეხება ადგილობრივი წარმოებით იმპორტის ჩანაცვლებას. თუკი 500 წლის წინ ქვეყნის გამვითარების მახასიათებელი იყო ის, თუ რამდენი წერა-კითხვის მცოდნე ცხოვრობდა ქვეყანაში, დღეს ამის შემაფასებელი პარამეტრი გახლავთ ის - ქვეყანა ცხოვრობს იმპორტზე თუ ადგილობრივ წარმოებაზე. ამიტომ ადგილობრივი წარმოების გახსნის თემა ეს არის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საკითხი. მე, პირადად, როგორც ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი, პირველი ოქტომბრის მერე დიდი გულისყურით ვაკვირდებოდი, შესრულდებოდა თუ არა ბიძინა ივანიშვილის დაპირება, როცა ის გვპირდებოდა 60 გადამამუშავებელი საწარმოს გახსნას. მან თვადაც აღიარა ბოლო პრესკონფერენციაზე, რომ ამ 60 საწარმოდან დღეისათვის გახსნილია 0 საწარმო. მე არ მჯერა იმ ზღაპრების, რომ დარჩენილ სამ თვეში გაკეთდება ის, რაც აქამდე ვერ გაკეთდა მთელი ამ დროის მანძილზე. პირიქით, კარგად ვხედავ იმპორტის წახალისების ტენდენციას. ის კვერცხის საკითხი რატომ ჩაჩუმდა? იმიტომ რომ იქაც მოილაპარაკეს ერთმანეთში ნაციონალებმა და ოცნებამ. ნაციონალების არის ყველა ადგილობრივი წარმოება, მათი ხელისუფლების პირობებში ყველაფრი და მათ შორის კვერცხის ბიზნესიც იყო მათი. ახალმა ხელისუფლებამ რაც გააკეთა, იმას სჯობდა რეკეტის წესით წაერთმიათ ნაციონალებისათვის და გადაებარებინათ ბიზნესი. დღეს რეალურად კვერცხის მწარმოებლები არიან გაჩერებულები. რეალურად, იქ გაუქმდა 5000-ამდე სამუშაო ადგილი. 50% მეტი კვერცხის მოხმარება დღეს არის თურქეთიდან, უკრაინიდან და ბელორუსიიდან იმპორტი. ვის შემოაქვს, ამას არ აქვს მნიშვნელობა, მთავარია, რომ ნაციონალური წარმოება ჩანაცვლდა იმპორტით. ადრე თუ ამ წარმოებებში დასაქმებული იყო ქართველი მუშახელი, ახლა მათ ნაცვლად ხელფასს მიიღებს უკრაინელი, თურქი და ბელარუსი. ესაა პრობლემა. კომენტარი გააკეთა პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარემ, ყურებს არ ვუჯერებდი, ბატონმა აგულაშვილმა: ჩვენ სასათბურე პირობებში ვერ ვამყოფებთ ადგილობრივ წარმოებას, იმპორტიორებს იგივე პირობები უნდა ჰქონდეს, რაც ადგილობრივ მეწარმეებსო. ეს არის კორუფცია, იმპორტის წახალისება, რაც ახალი ხელისუფლების პირობებშიც გრძელდება.

ბატონი გოგი თოფაძის იდეას შევეხეთ წარმოებებთან დაკავშირებით და ინტერესმოკლებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ რამდენიმე წლის წინ ბატონი გოგის პატრონაჟით ითარგმნა ჯონ პერკინსის წიგნი „ეკონომიკური მკვლელის აღსარება“. პერკინსი იყო მსოფლიო ბანკის თანამშრომელი, რომელიც ახორციელებდა დახმარების პროექტებს ისეთი ტიპის ქვეყნებში, როგორიც არის საქართველო. ეს გლობალური პროექტები ყველა ქვეყანაში ერთი და იგივე ფორმით ხორციელდება. წიგნში აღწერილია, როგორ ანგრევდნენ ქვეყნის ეკონომიკას სწორედ იმპორტის წახალისებითა და საგარეო ვალებში დაკაბალებით. დღეს კი ახალი ხელისუფლება გვეუბნება, რომ ხელი უნდა შევუწყოთ იმპორტს. სწორედ ამას ებრძოდა ბატონი გოგი, რომლის პატიოსნებაშიც, მგონი, ეჭვი არავის ეპარება. ბატონი თოფაძე კი ირიცხება საპარლამენტო უმრავლესობაში, მაგრამ რელაურად ის არ დგას ქართული ეკონომიკის საჭესთან და ვინც ამ საჭესთან დგას, ისინი პერკინსის იდეებით კი არა, ფრიდმანის იდეებით არიან ნაკვებნი.

კვერცხის ბიზნესთან დაკავშირებით იგივე სიტუაციაა, რაც თავის დროზე შირნჰოფერის კომპანიასთან დაკავშირებით მოხდა. რომელიც მცხეთის რაიონში აშენებდა საწარმოს, სადაც ჩიბარებდნენ ადგილობრივ პროდუქციას და დასაქმდებოდა ქართველი მუშა-ხელი. მაშინდელმა კორუმპირებულმა სააკშვილის მთავრობამ ვითომ ჩხირები აღმოუჩინა შინჰოფერს, რომელსაც მთელი ევროპა მიირთმევს, დააჯარიმა და დახურა საწარმო. ავსტრიის კანცლერმა ამაზე პროტესტი გამოუცხადა საქართველოს მაშინდელ პრემიერს, რომელიც ვიზიტად იმყოფებოდა ავსტრიაში. ამის შემდეგ შირნჰოფერს დაუბრუნეს ლიცენზია. მაგრამ შირნჰოფერმა საწარმო აღარ გახსნა მცხეთის რაიონში და უბრალოდ, განაახლა იმპორტი ავსტრიიდან. ეს იყო სწორედ ეკონომიკური მკვლელის სტრატეგია. როცა საქართველოს მთავრობამ ადგილობრივი წარმოება არ განახორცილებინა შინჰოფერს და მისცა იმპორტის საშუალება. იმპორტი საბჭოთა კავშირის დროს ჟღერდა კარგად, თორემ ქვეყნისთვის ეს ტრაგედიაა. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი იმპორტირებული პროდუქცია, საქართველოში უმუშევარს ტოვებს რომელიმე დასაქმებულ ადამიანს.

აქვე იბადება სხვა თემაც, თურქეთის, ბელორუსიის და უკრაინის პატრიოტული მთავრობები ცდილობენ ბაზრის დაკავების მიზნით დაბალ ფასად შემოიტანონ პროდუქცია, რომელიც, შესაძლოა, როგორც სტრატეგიული ეკონომიკური წარმოება მათ ქვეყანაში ხელშეწყობილია ხელისუფლების მიერ და აქედან არის განპირობებული დაბალი ფასიც.

**ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს როგორც ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობაზე, ასევე იმპორტული პროდუქციისათვის გარვეული ირიბი ბარიერების დაწესებაზე.**

ეს არც მარტო ივანიშვილის პრობლემა, არც სააკშვილის, თუ გინდათ შევარდნაძის დროინდელ მაგალითსაც მოგიყვანთ, კარგად მახსოვს, როგორ იცავდა შევარდნაძე „კასტელს“ „ყაზბეგის“ წინააღმდეგ ომში. პირდაპირ ანადგურებდნენ ადგილობრივ წარმოებას.

სამწუხაროა, მაგრამ შევარდნაძის, სააკაშვილის და ივანიშვილის ეკონომიკური პოლიტიკა შინაარსობრივად არის იდენტური. ჩვენ გვჭირდება ისეთი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება ექსპორტის გაზრდაზე და იმპორტის შემცირებაზე. როცა ბატონი აგულაშვილის კომენტარი დარჩა რეაგირების გარეშე ხელისუფლების უმაღლესი პირების მხრიდან, ეს ნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა არის ეროვნული. როცა იმპორტის გაზრდაზე ზრუნავს ხელისუფლება, იგი ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკას აწარმოებს.

**კავკასია**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# მამა იოანე: „მალე იქნება მკა, რომელიც არის საყოველთაო აღდგომა და მეორედ მოსვლა უფლისა და უფალი ყველა ადამიანს საკუთარ ნამოქმედარზე პასუხს მოსთხოვს“

**გვესაუბრება ზემო ბეთლემის ტაძრის წინამძღვარი მამა იოანე როსტიაშვილი:**

**— მამაო, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მედიის მიერ ხდება მიზანმიმართულად ეკლესიის დისკრედიტაცია, ხომ არ ფიქრობთ, რომ 17 მაისის აქციაც ამისთვის იყო დაგეგმილი?**

— ცნობილი ჟურნალისტი აარონ რუსო მოკლეს. იგი როკფელერების და მორგანების მეგობარი იყო. ისინი მას სთავაზობდნენ თანამშრომლობას და გააცნეს გეგმა, იმის შესახებ, თუ რა უნდა მოხდეს მსოფლიოში, მსოფლიო ბატონობა როგორ უნდა დაიწყოს. ჟურნალისტი ეუბნება: ხალხი არ გეცოდებათ, ხალხზე რას ფიქრობთო და პასუხობენ: რომ ეს ყველაფერი მასმედიით უნდა მოხდესო. წმინდა მამები ამბობენ: ეს არის ყუთი, რომელსაც შეუძლია ერთსა და იმავე დროს აძაგოს და ხოტბა შეასხას ადამიანებს. ტელევიზიის საშუალებით ეწევიან დღეს ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას. უფალი ამბობს: „მე თუ მდევნეს, თქვენც გდევნიან“, ეკლესია იდევნება ჭეშმარიტებისთვის და ღვთის სიტყვის სწავლებისთვის. რაც შეეხება 17 მაისის მოვლენებს, ეს ყველაფერი არის შეგნებულად დადგმული. უმცირესობებს ჰქვიათ სოდომური ცოდვის მატარებელი ადამიანები. თუ ისინი შეინანებენ, ეკლესია მათ მიმართ შემწყნარებელია, მოძღვრები ვართ და ალსარებებს რომ ვისმენთ, შეგვიწყნარებია ის ადამიანები, რომლებიც ამ ცოდვას განრიდებიან, ეკლესია სულის სამკურნალო სახლია. ეს არის უმძიმესი ცოდვა და სჯულის კანონით ეკლესია ასეთი ადამიანების ზიარებას ოცი წლით კრძალავდა. ვიცით ბიბლიიდან, რომ უფალმა სწორედ ამ ცოდვის გამო დაწვა სოდომი და გომორი.

— გვინდა, თუ არა, სვლა ევროპისკენ, ეს სხვა საკითხია, მაგრამ, პირველ რიგში, გვინდა სულის ცხონება. უფალი იესო ქრისტე ებრძოდა ამ ცოდვას მამამთავრებით, შემდგომ წინასწარმეტყველებით, თვითონ მოვიდა, რომ ცოდვა მოეკლა და სიკვდილით სიკვდილს სძლია, კაცობრიობა გამოიხსნა, ჩვენ მოგვიწოდა და გზა გაგვილო სასუფევლისკენ შემავალი. არ გვაქვს უფლება, რომ ამ გზას გადავუხვიოთ. იქ უნდა ყოფილიყვნენ სასულიერო პირებიც, რა თქმა უნდა, იმიტომ რომ ეს აქცია იყო ზნეობის საწინააღმდეგო და ჩვენ სწორედ ზნეობის ინსტიტუტს ვმართავთ და ჩვენი ვალი იყო, რომ იმ ხალხის გვერდით დავმდგარიყავით და არ დაგვეშვა ალვირახსნილობის დემონსტრირება, ეს არ შეიძლება არავითარ შემთხვევაში. კომუნისტების დროსაც იყვნენ ასეთი ადამიანები, მაგრამ მათ რცხვენოდათ და თავს ვერ წევდნენ ზევით, დღეს უკვე ეწევიან პროპაგანდას და ხალხს წამლავენ. იბადებიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც ქრომოსომების ნაკლებობა ან სიჭარბე აქვთ. მშობელი თუ ჩარევს ეკლესიას და ფსიქოლოგს, ეს იკურნება. დღეს ის კი არ უნდათ, ეკლესიას მიმართონ, გვიშველეთ, პირიქით გვეუბნებიან, თქვენც გახდით ჩვენნაირი, ეს არ შეიძლება, გვყავს შვილები, შვილიშვილები და ჩვენი ერი არ არის დასალუპი. ჩვენ რომ დავმდგარიყავით იმ დღეს იქ, დარწმუნებული ვარ, ჩვენი ერი უდიდეს რისხვას დაიტეხდა ღვთისგან. ჩვენ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა გვაქვს. მათ სახლებში არავინ უვარდება. მათ ღამის კლუბებიც აქვთ, რომლებიც ჩემი აზრით დასახურია. პურის მოედანზე ერთ-ერთი ღამის კლუბი ჩემი თაოსნობით დაიხურა, ამის წინააღმდეგ ყველამ ხმა უნდა ამოიღოს. ქართველების ის ერთი მუჭა ნაწილი, მოსყიდულია ცოდვას და ფინანსდება მსოფლიო ორგანიზაციების მიერ. ანტიქრისტე არის მამა სიბილწისა, რომელმაც უნდა აუშვას თავისი ძეები და ასულები და მოწამლოს კაცობრიობა ბოლო პერიოდში. დღეს ჩვენ არ მოგვწონს, რაც ხდება მსოფლიოში ფეხზე ადგა ამ ცოდვის წინააღმდეგ, არ უნდოდათ, საფრანგეთში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება, მაგრამ მიაღწიეს, იმიტომ, რომ მანამდევე იმართებოდა იქ ასეთი მანიფესტაციები და ჩვენ თუ ამას დავუშვებთ, ხვალ და ზეგ კიდევ სხვას მოითხოვენ და ბოლოს ეკლესიას მოსთხოვენ, რომ მათ ჯვარი დაწეროს. ეკლესია ცოდვას არ შეურიგდება, ჩვენ პიროვნებები გვიყვარს, მაგრამ მათში დაბუდებული ცოდვა გვძულს. „ცოდვა მოვიძულე და მოვიძაგე, ხოლო რჯული შენი შევიყვარე უფალო“. გვძულს ის პიროვნებები, ვინც ამ ხალხს მართავს, ისინი მართულები არიან და მადლობა ღმერთს, რომ იქ იმყოფებოდა სამღვდელოება, მოლაპარაკებები გამართეს და ეს ხალხი გაარიდეს, თორემ იქ უარესი მოხდებოდა. ხალხი აგრესიულად არის განწყობილი ამ ცოდვის მიმართ. სულ სხვა ზნეობაზე ვართ აღზრდილი, სულ სხვა იდეალები გვქონდა და დღეს რომ ეს იდეალები მოკლან, ამას ჩვენ არ დავუშვებთ.



**— მამაო, „გვასწავლიან“, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ და ყველას უნდა ჰქონდეს საკუთარი აზრის გამოხატვის და აქციის მოწყობის უფლება, თუნდაც ეს სექსუალური უმცირესობები იყვნენ.**

— დემოკრატია, როგორც წმინდა მამები ამბობენ, არის ჯოჯოხეთში, ხოლო მონარქია არის ცაში, მამები ამბობენ, პრეზიდენტი ხალხს ღმერთს აშორებს, ხოლო მონარქს ხალხი ღმერთთან მიყავსო, მონარქი ბურჯი, მცველი იყო მართლმადიდებლობის, რუსეთშიც რევოლუციის ბელადები იმართებოდნენ მასონების მიერ და მათ მიერ მოხდა ჩვენთანაც მონარქიის ტახტისა და ავტოკეფალიის გაუქმება, მადლობა ღმერთს, რომ ჩვენი უწმინდესის მოღვაწეობით კვლავ აღდგა და გაძლიერდა ეკლესია. უფალმა აკურთხა მამაკაცი და დედაკაცი და არა მამაკაცები. ეს აღვირახსნილობაა, ამ თემაზე საერთოდ არ შეიძლება ლაპარაკი საქართველოში. ყველა პასუხს აგებს ღვთის წინაშე, ვინც ამის პროპაგანდას ეწევა და ხელს უწყობს, რომ ჩირქი მოსცხონ სამღვდელოებას. ამას თუ თავიდანვე არ დავუდექით ფარით და მახვილით ლოცვითა და მარხვით, სხვანაირად ვერაფერს გავაკეთებთ. შვილები უნდა აღვზარდოთ ოჯახებში და ეკლესიაში ღვთის შიშითა და სიყვარულით.

**— ჩვენი ქვეყნის სწრაფვამ ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციისკენ ხომ არ მოიტანა ეს, რომ ასეთი პრობლემების წინაშე აღმოვჩნდით?**

— დასავლეთი ვინ არის? ჩვენი უფალი რას გვთხოვს: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვნენ ჩემსა გარშე სხვა ღმერთნი“. კერპად დავიყენეთ თავის დროზე კომუნისტები, შემდგომ ევროკავშირი და ნატო. მე დარწმუნებული ვარ, ჩვენ დედა ღვთისმშობელი ამ სატანურ ორგანიზაციებს არ გაგვაკარებს, იმიტომ რომ ჩვენი ღირებულებები გადის სულ სხვა რამეზე, ჩვენ მეფე გვეყოლება მართლმადიდებელი, მირონცხებული, მე, პირადად, ამისთვის ვლოცულობ, რომ ეს მოხდეს. ეს მოხდება უეჭველად, რომელიც ერს შეკრავს, შეადუღაბებს. პატრიარქი და მეფე ერთად ეზიარებიან, ერთი ბარძიმით, ერთ ტრაპეზთან, ერთად შეევედრებიან უფალს, როგორც ავედრებდა ვახტანგი, დავითი, თამარი და სხვა დიდმოწამე მეფეები არჩილი, ლუარსაბი, დემეტრე, ჩვენ თავის დროზე სხვებს ვმფარველობდით, დღეს სხვისი მფარველობის ქვეშ მყოფი უნდა აღმოვჩნდეთ, მაგრამ ჩვენ არავის მფარველობა არ გვჭირდება, უწმინდესმა ასეთი რამ თქვა: ჩვენ ისეთი მფარველი გვყავს, როგორიც არავის ჰყავსო — დედა ღვთისმშობელი. ვისი მფარველობა გვინდა, როცა უფალია ჩვენთან. ეს ორგანიზაციები მასონების მიერაა შექმნილი, რომლებიც დიდი ფულით ფინანსდება და აქვთ პირდაპირი მითითება, რომ მართლმადიდებლური ქვეყნები მოსპონ. ამერიკა რომ აღშფოთებულია იმის გამო, რაც მოხდა, სად იყო ევროკავშირი ან ნატო მაშინ, როდესაც ამერიკა სერბეთს ბომბავდა. ეს ყველაფერი მიმართულია მართლმადიდებლური ქვეყნების საწინააღმდეგოდ სად იყვნენ 7 ნოემბერს ან 26 მაისს, როცა სახლებამდე სდიეს ხალხს პოლიციელებმა. 26 მაისს მეორე დღეს აღლუმი ჩაატარეს. ეს ყველაფერი არის სიბრმავე, რომ ვერ ხედავენ ჭეშმარიტებას და სიცრუის დამკვიდრებას ცდილობენ. უფალმა სიცრუე მოკლა და მასზე გაიმარჯვა სიკვდილით. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი არ დაუშვებს ამ წარმომავლობის ხალხის ბოგინს საქართველოში. არავინ უვარდება მათ სახლში, როგორც უნდა მოიქცნენ, პირადი არჩევანია, ყველას თავისუფალი ნება აქვს. უფალს რომ უნდოდეს, მათ ერთ წამში მოსპობს, როგორც მოსპო სოდომ-გომორი, აცდის კიდევ, მალე იქნება მკა, რომელიც არის საყოველთაო აღდგომა და მეორედ მოსვლა უფლისა და უფალი ყველა ადამიანს საკუთარ ნამოქმდარზე პასუხს მოსთხოვს. ისეთი ცოდვა არ არსებობს, რომელსაც ღვთის წყალობა არ ემატებოდეს, მაგრამ ცოდვას უნდა სინანული და არა ცოდვის სიქადული პავლე მოციქული ამბობს: მე ყველაზე დიდი ცოდვილი ვარ, რომ მცოდნოდა, ვის ვდევნიდი, მეუფეს დიდებისას არ გავდევნიდიო. მართლმადიდებლები ვიქადით ქრისტეს ჯვრით და ჯვარცმული უფლით.

— ქრისტე აღსდგა, ღმერთმა დალოცოს საქართველო, მთელი მართლმადიდებელი საქრისტიანო და დაიფაროს ამ აღვირახსნილობისგან, რომლის დანერგვას ცდილობენ! ღმერთმა დაგლოცოთ!

— მადლობა, მამაო!

**ნინო კობაიძე**



# ქართველთა ხოლოკოსტი

## საქართველოს მმართველი პოლიტიკური უმრავლესობის დისკრედიტაციის გამწევს, შემზარავი ლეგენდის შემთხზველს, დამნაშავეს ღვთისა და ერის წინაშე პაატა ზაქარეიშვილს სახელმწიფო ღალატში ვდებ ბრალს!

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხის სტრატეგიულ ხედვაში მკაფიოდ გამოიკვეთა ჩვენი ქვეყნის გამთლიანებისთვის დამანგრეველი იდეოლოგიური პროპაგანდის შტრიხები, რომლის ფლაგმანი ხელისუფლებაში მოკალათებული ურეიტინგო რეიტინგის მქონე რესპუბლიკური პარტია და განსაკუთრებით ამ პარტიის ყველაზე აქტიური წევრი მოქმედი რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილია. ზაქარეიშვილისა და მისი თანამოაზრეების მიერ შემუშავებული გეგმა ქართველების აფხაზებთან და ოსებთან შერიგების სახელწოდებით მსუბუქად წააგავს ნეგაციონიზმს, როგორც იდეოლოგიურ პროპაგანდას, რომელიც უარყოფს ებრაელი ერის წინააღმდეგ განხორციელებული გენოციდისა და მაშტაბური ფიზიკური განადგურების მიზანმიმართული პოლიტიკის არსებობას. მსგავსი პროპაგანდა მთელ რიგ ქვეყნებში კანონდასჯად ქმედებად ითვლება. ებრაელთა წინააღმდეგ ჩადენილი ეს ზოგადსაკაცობრიო დანაშაული ხოლოკოსტის სახელწოდებით არის ცნობილი.

ხოლოკოსტი- „ჰოლოკაუსტოს" - ბერძნული წარმოშობის სიტყვაა. რაც ბერძნულში ნიშნავს „ცეცხლოვან მსხვერპლს" (მსხვერპლშეწირვას ცეცხლის გამოყენებით).ხოლოკოსტი - ამ ტერმინით სახელწოდებულია ებრაელი ერის წინააღმდეგ განხორციელებული მაშტაბური, მიზანმიმართული გენოციდი კაცობრიობის ისტორიაში.ხოლოკოსტი ადოლფ ჰიტლერის ძალაუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო და მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ შეწყდა. ებრაელთა ეთნიკური ნიშნით მასობრივი ფიზიკური განადგურების შედეგად ფაშისტურ გერმანიასა და მის მიერ კონტროლირებად ქვეყნებში 8 მილიონი ებრაელიდან 6 მილიონი გაჟლეტილ იქნა.

ნეგაციონისტები, იგივე ებრაელთა გენოციდის, ანუ ხოლოკოსტის უარმყოფელები თავის თეზისში ამტკიცებენ, რომ ხოლოკოსტს იმ სახით, როგორც ამას აღწერს და აღიარებს საზოგადოდ მიღებული ისტორიოგრაფია, ადგილი არ ქონია. ისინი ირწმუნებიან, რომ მაშტაბური გენოციდის ფაქტები ასევე მაშტაბურად ფალსიფიცირებულ იქნა ებრაელთა სასარგებლოდ და ისრაელის სახელმწიფოს შექმნის გასამართლებლად. მთავარი სათეზისო არგუმენტი ამ პროპაგანდისა მდგომარეობს იმაში, რომ ებრაელთა მასობრივი გაქრობა საცხოვრებელი ადგილებიდან, სადაც ისინი კომპაქტურად იყვნენ დასახლებულნი მოხდა არა მათი ფიზიკური განადგურების, იგივე გენოციდის გამო, არამედ გადასახლების ან დეპორტაციის შედეგად.

2005 წელს გაეროს გენერალურმა ანსამბლეამ კენჭისყრის გარეშე მიიღო რეზოლუცია ნ 60/7, რომელმაც დაგმო ნებისმიერი ნაწილობრივი ან მთლიანი უარყოფა ხოლოკოსტისა, როგორც ისტორიული მოვლენისა. ხოლო უკვე 2007 წელს გაეროს გენერალური ანსამბლეის მიერ მიღებულ იქნა რეზოლუცია ნ61/225, რომლის თანახმად „ხოლოკოსტის უარყოფა", როგორც ისტორიული ფაქტისა გასამართლებულ იქნა.

გაეროს გენერალური ანსამბლეის ამ რეზოლუციების საფუძველზე ხოლოკოსტის საჯარო უარყოფა, გენოციდის მაშტაბების შემცირება, მისი გამართლება კანონდასჯადია და ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას მთელ რიგ ქვეყნებში, როგორიცაა ისრაელი, გერმანია, ბელგია, შვეიცარია, პოლონეთი, საფრანგეთი, კანადა და სხვა.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილისა და მისი თანამოაზრეების ერთი შეხედვით მშვიდობისმყოფელი გეგმა მიმართული შერიგებისა და ურთიერთობების დალაგებისკენ სეპარატისტულ რეგიონებთან ქართული საზოგადოების წინაშე გახმოვანდა თეზისით, რომლის შინაარსი ჯერ შერიგებაა და მერე ლაპარაკი. ხოლოო ამ ვითომ კეთილშობილური გეგმის მეორე ეტაპმა აშკარა პროპაგანდისტული სახე მიიღო, რომლის ძირითადი თავდასხმის ობიექტი ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული გენოციდის, ანუ ეთნიკური ნიშნით ქართველების ფიზიკური განადგურების ფაქტები გახდა. კერძოდ მათი მიჩქმალვისა და პირდაპირი გაყალბების, ანუ ისტორიული ვითარებისა და გარემოების გათეთრების მცდელობაში გადაიზარდა. გენოციდი საერთაშორისო სამართლის ენაზე კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ უმძიმეს დანაშაულად ითვლება და მასში კონკრეტული მხარის ბრალეულობის დამტკიცების შემთხვევაში საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ იდევნება ყველა შესაბამისი სამართლებრივი ბერკეტების გამოყენებით. ჩემს მიერ დასაწყისში მოყვანილი ხოლოკოსტის, ანუ ზოგადსაკაცობრიო დანაშაულის შერბილება, ან მისი საჯაროდ ნაწილობრივი უარყოფაც კი, როგორც ისტორიული ფაქტისა, კანონდასჯადი ქმედებაა. ზაქარეიშვილისა და მისი თანამოაზრეების პროპაგანდისტული იდეოლოგია სწორედ ამ უმძიმესი დანაშაულის კონტექსტიდან ამოგდებას ემსახურება და მხოლოდ ხელოვნურად შერბილებული სახის ეთნოწმენდის ფაქტებით ცდილობს შემოიფარგლოს. კერძოდ, გეგმის მთავარი ორიენტირი ნებისმიერი ომისთვის დამახასიათებელი ცალკეული ძალადობის ფაქტებზე ყურადღების გამახვილებაში გამოიხატება, როგორიცაა ომისთვის დამახასიათებელი ძალადობის ცალკეული შემთხვევები, ომისთვის თანმხლები მარადიორობის შედეგად ხელყოფილი კერძო საკუთრება და დამწვარი სახლები, რომლებსაც ჭურვები მოხვდა, რაც ასევე ჩვეულებრივი მოვლენაა საბრძოლო მოქმედებების მსვლელობისას და ამ შემთხვევაში კონფლიქტში ჩართული ორივე მხარე თანაბარი პირობების სიბრტყეში ხვდება. გათანაბრების მსგავსი მცდელობა გამყოფ ზღვარს დამნაშავისა დაზარალებულისგან ჯერ გააფერმკთალებს და შემდგომში სრულად გააქრობს. სწორედ ამ თვითმიზანს ემსახურება ზაქარეიშვილისა და ხელისუფლებაში მოკალათებული დაჯგუფების იდეოლოგიური პროპაგანდა. კერძოდ, კრემლის მიერ აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველების წინააღმდეგ განხორციელებული მიზანმიმართული ფიზიკური განადგურების, ანუ გენოციდის პოლიტიკის არსებობის გაყალბებას, გათეთრებას და საბოლოოდ მისი უარყოფის ლეგიტიმაციას. ამიტომაც გენოციდის უარყოფა, როგორც ნეგაციონიზმისთვის დამახასიათებელი შტრიხი უკვე გამოიკვეთა. მსგავსი დანაშაულებრივი პროპაგანდა მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე როგორც წესი არა შერიგებისა და ურთიერთობების დალაგებას ემსახურება, არამედ ეთნიკური და ეროვნებათა შორისი შუღლის, კონფლიქტის, დაპირისპირების გაღვივებას, მისი ახალი ძალით გამწვავებასა და ვითარების დესტაბილიზაციას. ყალბი შერიგების თეზისით შეფუთული ზაქარეიშვილების გეგმის პროპაგანდისტული რეჟიმიდან განხორციელების რეჟიმში გადასვლა გამოიწვევს ქართული მხარის განზრახ დაკნინებას, სეპარატისტულ მხარესთან გათანაბრებას, საქართველოს მყარი სამართლებრივი საფუძვლის შერყევასა და სეპარატისტული წარმონაქმნისთვის სამართლებრივი საძირკველის ჩაყრას და მის შემდგომ გამყარებას . მოკლედ რომ ჩამოვაყალიბოთ საქართველოს სახელმწიფო თავისივე ხელით მოაწერს უაპელაციო სამართლებრივი პრეტენზიის მის კუთვნილ ტერიტორიებზე დაკარგავს და ტერიტორიულად დანაწევრდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსს აბსურდულ ხედვას ნოყიერი ნიადაგი 20 წლის მანძილზე შეექმნა. საქართველოში ძალაუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალების ფუქსავატური, უნიათო, ყოვლად უპასუხისმგებლო, არასახელმწიფოებრივი, ვასალური მიდგომა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის უზენაესი საკითხისადმი გახდა ხელშემწყობი ფაქტორი ქართული სახელმწიფოს ტერიტორიული რღვევით დაინტერესებული გარეშე ძალების მიერ კონტროლირებადი პროპაგანდისტული იდეოლოგიის ჩასახვისა და შემდგომი გავრცელებისა. აფხაზეთის ომიდან 20 წლის მანძილზე არც შევარდნაძის, არც სააკაშვილის ხელისუფლებას არ აღმოაჩნდა მტკიცე პოლიტიკური ნება აფხაზეთში ქართველთა წინააღმდეგ გენოციდისა და ეთნიკური წმენდის შესახებ გამოძიებული ფაქტებისა და მასალების ჰააგისა და სტრასბურგის სასამართლოში გადაგზავნა დაეწყო , რათა აფხაზეთში ომის დროს და მის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს მიუკერძოებელი და ობიექტური სამართლებრივი შეფასება მისცემოდა. სააკაშვილის, იგივე გნაცმოძრაობის რეჟიმი, რომელიც 9 წლი- ით მმართველობის მანძილზე გატაცებული იყო რეპრესიებით, სინგაპურიზაციის აბსურდული, უტოპიური გეგმების დანერგვით, ქართული სახელმწიფოებრივი და ეროვნული თვითშეგნების ანექსიით, გენოფონდის უღმრთო ძარცვით, რომელიც სრული დემოგრაფიული კატასტროფისკენ მიაქანებდა ქვეყანას, არ აინტერესებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის უზენაესს საკითხში რეალური ნაბიჯები გადაედგა და საერთაშორისო ასპარეზზე ხელი შეეწყო აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ განხორციელებული მიზანმიმართული გენოციდის პოლიტიკის გამოძიებისა და დადგენისათვის. აფხაზეთში ქართველების გენოციდისა და ეთნოწმენდის ფაქტების შესახებ გამოძიებულ 260 ტომს, რომელიც პროკურატურაში ინახება დღემდე ტაბუ ადევს. მასალების ძირითად წყაროს მოწმეთა ჩვენებები წარმოადგენს, რომლებიც უკვე შუახნის ასაკობრივ კატეგორიას განეკუთვნებიან და ნელ-ნელა ამ წუთისოფელს ტოვებენ.

ორი ათწლეულის განმავლობაში შექმნილი სავალალო გარემო გახდა ის ნოყიერი ნიადაგი, რომელზეც ზაქარეიშვილისა და მისი თანამოაზრეების იდელოგიური პროპაგანდა აღმოცენდა. ამ ხელსაყრელ ვითარებაში გამეფებული განუკითხაობით გათამამებულმა რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა თავისი პირველი პროპაგანდისტული იერიში გაგრაზე მიიტანა, სადაც აფხაზმა სეპარატისტებმა და დაქირავებულმა ბოევიკებმა კრემლის მიერ ქართველების წინააღმდეგ დაგეგმილი მიზანმიმართული მაშტაბური ფიზიკური განადგურებისა და ეთნიკური დევნის პოლიტიკა აწარმოეს, რის შედეგად 3,500 ადამიანი იქნა მოკლული, რომელთა შორის 500-მდე ოჯახი ამოწყვიტეს მთლიანად, ხოლო გაგრის სტადიონზე 600-მდე ადამიანს სასტიკად გაუსწორდნენ. სადამსჯელო ოპერაციის მსვლელობისას ფიზიკური განადგურების მიზნით ადამიანთა წამების ფორმებს მიმართავდნენ, როგორიცაა ეთნიკური ნიშნით თავის კვეთის მეთოდების გამოყენება. გაჩაღებული ტერორის კამპანიის შედეგად გაგრის ზონა მშვიდობიანი ქართული მოსახლეობისგან დაიცალა.



სწორედ გაგრა - ადგილი, სადაც სეპარატისტები განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ ზაქარეიშვილის თავდასხმის ობიექტი გახდა და მის მიერ ლეგენდად შეირაცხა.

„ეს არ არი ქართული მხარის მიერ გამოგონილი ლეგენდა - ეს ომის მიერ გამოგონილი ლეგენდაა. ამგვარ ლეგენდებს ყველა კონფლიქტში ყვებიან"-განაცხადა ზაქარეიშვილმა.

წარმოუდგენელია ისრაელში ებრაელმა საკუთარი ერის წინააღმდეგ განხორციელებული გენოციდი ეჭვქვეშ დააყენოს და ლეგენდად შერაცხოს, მაგრამ თუ მსგავსი აზრი საჯაროდ გახმოვანდა, მისი ავტორი სისხლის სამართლის პასუხისგებაში გადაცემას ვერ აცდება. საერთაშორისო სამართლის თანახმად მთელ რიგ ცივილურ ქვეყნებში გენოციდის მაშტაბისა და ხარისხის შერბილება, ან მისი ნაწილობრივი უარყოფაც კი კანონდასჯადი ქმედებაა განურჩევლად გამხმოვანებლის წოდებრივი, სოციალური, პოლიტიკური და სხვა სტატუსისა.

აფხაზეთში წარმოებული ტერორის, ფიზიკური განადგურებისა და ეთნიკური წმენდის შესახებ დაფიქსირებული ფაქტების უსასრულო ნუსხა, რომელიც საერთაშორისო სამართლის მიერ გამოძიებული და შეფასული დღემდე არ არის, რაშიც ლომის წვლილი გარეშე ძალების ზეწოლას დაქვემდებარებულ წინამბედ პოლიტიკურ ხელმძღვანელობებს მიუძღვით, ხელ-ფეხს უხსნის ზაქარეიშვილების დანაშაულებრივ პროპაგანდას, რომლის ძირითადი გათვლა ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების ფალსიფიცირებაზე კეთდება. სწორედ ფალსიფიცირების ოსტატურად მოხერხების შემთხვევაში გენოციდის ყალბი სურათი სინამდვილედ გაფორმდება, რასაც ლამობენ პროპაგანდისტები. ამიტომ ნიღბავენ ისინი ამ მტრულ გეგმას შერიგებისა და ნდობის აღდგენის ყალბი ლოზუნგით. ამიტომ ირჩევენ ისინი გასათეთრებლად გაგრას, ადგილს სადაც სეპარატისტებმა და დაქირავებულმა ბოევიკებმა გენოციდისა და ეთნოწმენდის მიზანმიმართული პოლიტიკა განახორციელეს. ამიტომ ცდილობენ ისინი რაც შეიძლება უმოკლეს ვადებში მოასწრონ გენოციდის კვალის მიჩქმალვა. ამიტომ ეჩქარებათ მათ დანაშაულის ჩამდენთა რეაბილიტაცია, რასაც პირდაპირ ადასტურებს რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის ამასწინანდელი განცხადება:

„თუ ჩვენ დრო დავკარგეთ და გავიდა თვეები და მათ მოლოდინებს არ უპასუხეთ, ჩვენს მიმართ უკვე აღარ ექნებათ ეს ნდობა"-აცხადებს ზაქარეიშვილი.

ზაქარეიშვილი თავისივე განცხადების თანახმად პროპაგანდისტული იდეოლოგიის განხორციელების დაჩქარებულ რეჟიმში გადავიდა და გაგრაში აღების დღიდან გამეფებული

„უწყინარი“ სურათის აღწერა დაიწყო, რომლის მიხედვით ქალაქს სისასტიკისა და ძალადობის გამოვლინების კვალი არ ემჩნევა, გარდა რამოდენიმე დამწვარი სახლისა.

„მე და გია ბარამიძე ერთად ვიყავით გაგრის სტადიონზე 7 ნოემბერს 1992 წელს. 3 ოქტომბერს იქნა აღებული გაგრა, ერთი თვის თავზე ჩვენ ვიყავით გაგრაში. მოვიარეთ მთელი გაგრა. არძინბამ მოგვცა სრული თავისუფლება და იაზიჩბა იყო იქ გაგრის გამგებელი და ვნახეთ ყველაფერი, რისი ნახვაც შეიძლებოდა. თქვას რა, რაც ჩვენ მაშინ ვნახეთ. ეხლა გაიმეოროს. მე მასზე უფროსი ვარ და არ დამწყებია ჯერ სკლეროზი. ახლა ბარამიძე ჩემზე ახალგაზრდაა. თქვას ის, რაც ჩვენ ერთად ჩამოვიტანეთ იქედან. არანაირი ნიშანი, არანაირი მტკიცებულებები ჩვენ არ გვქონდა. გაგრაში მართლაც იყო რამოდენიმე სახლი დამწვარი, თუმცა, არა ის სახლები, რომლებიც სიაში გვქონდა. სიაში შეტანილთაგან კი არც ერთი სახლი დამწვარი არ აღმოჩნდა. აფხაზებმა გვითხრეს, რომ ეს შენობები ომის დროს დაიწვა. ჩვენ ფსოუმდე ჩავედით, გავიარეთ სოფელი თავისუფლება, სადაც ერთი სახლი იწვოდა“- ირწმუნება ზაქარეიშვილი.

სურათი, რომელსაც ზაქარეიშვილი აღწერს და რომლის სინამდვილედ გასაღებას საზოგადოების წინაშე ცდილობს ფალსიფიცირებულია და შეიცავს აშკარა ნეგაციონიზმის, ანუ გენოციდის კვალის მიჩქმალვის შტრიხებს. ხელოვნურად შერბილებული სურათი აღწერს უწყინარ გარემოს და გამორიცხავს ყოველგვარ შესაძლებლობას, იმისა რომ გაგრის ზონიდან ქართული მოსახლეობის მასიური დაცლის მიზეზი წარმოებული ფართომაშტაბიანი ძალადობისა და ტერორის კამპანია ყოფილიყო. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ზაქარეიშვილის მიერ გაყალბებული რეალური სურათი, რაშიც ის საზოგადოების დარწმუნებას ცდილობს. კერძოდ, გაგრაში დატრიალებული ტრაგედიის შერბილებული, უწყინარი ეთნოწმენდის სახით გასაღებას. თუმცა, მის მიერ ფალსიფიცირებულ სურათს მეტი დამაჯერებლობა და ბევრად მყარი არგუმენტი სჭირდება იმის დასამტკიცებლად, რომ გაგრაში ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ მიზანმიმართული ფიზიკური განადგურების, წამების, მათთვის თავების კვეთის და სხვა ფორმის ძალადობის გამოვლინებებს მართლა ადგილი არ ქონია. ამ პრობლების გადასაჭრელად რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრი მიმართავს გზას, რომელიც კანონიერების, სამართლიანობისა და ადამიანური ზნეობის ყოველგვარ ფარგლებს სცილდება და ახმოვანებს გენოციდის ფაქტების უარმყოფელ, მისეულ ვერსიას. მოკლედ რომ ვთქვა თხზავს შემზარავ, დანაშაულებრივ ლეგენდას.

„მე ვასვენებდი იმ გვამებს, რომლებსაც თავები არ ჰქონდათ. რატო არ ჰქონდათ, იმიტომ რომ ზემოდან ეყარა გვამები მიწაზე და აფხაზეთი მოგეხსენებათ ნესტიანი მხარეა. საკმარისია გვამი ზემოდან იყოს ერთი დღე, თუ ორი დღე, ბოდიში ამ ნატურალიზმისათვის, რომ უკვე სხეული იშლება. მარტო მე ვაკეთებდი ამას. არავინ არ მეხმარებოდა. როგორც კი გვამს მოკიდებდი ხელს იშლება და ხშირად ტომარაში ვდებდით ცალკე გვამს და ცალკე თავს. კიდე უარესი რაღაცეები შემიძლია მოვყვე. ამიტომ ხშირად ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე მერე მოყვებოდა. ლეგენდები, რომ თავმოკვეთილი გვამი ჩააბარა პატრონს. მე ხომ კარგად ვიცი რა მოხდა. ჩემი ხელით კეთდებოდა ყველაფერი ესა. ამიტომ მე ვარ ის პირველი ადამიანი, პირველწყარო, რომლის მოქმედებების შემდეგ იწყებოდა ლეგენდები სხვადასხვა მიმართულებით“- აცხადებს სახელმწიფო მინისტრი და დასძენს, რომ „ასეთი ფაქტები არის ათეულობით და ასეულობით“.

ზაქარეიშვილის მტკიცებით ეთნიკური ნიშნით ქართველებისთვის თავის კვეთის ფაქტებს ადგილი არ ქონია. მსგავსი მცდარი შეხედულების მიზეზი და დეზინფორმაციის გავრცელებაში დამნაშავე აფხაზეთის ნესტიანი კლიმატია, რომელიც თურმე კოსმიური სისწრაფით ავითარებდა ლპობით პროცესს, რის შედეგადაც ცხედრებს თავები თავისით ძვრებოდა.



დამოუკიდებელმა სასამართლო ექსპერტიზის ცენტრმა „ვექტორმა“ (ა.გეჯაძე) ჩემს ოფიციალურ თხოვნაზე განემარტა თუ რამდენად შესაძლებელია ნეხტიანი კლიმატის პირობებში გვამი ისე გაიხრწნას, რომ თავი მოძვრეს, ოფიციალური დასკვნის სახით მიპასუხა:

„საზოგადოდ თანატოლოგიაში და სასამართლო მედიცინაში ცნობილია, რომ სიკვდილის შემდგომ მაშინვე ვითარდება ე.წ. გვამური ცვლილებები. კერძოდ, ადგილი აქვს ჯერ ნაადრევ გვამურ ცვლილებებს, როგორიცაა გვამური გაციება, გაშეშება, გვამური ლაქების ჩამოყალიბების პროცესი და გვამის გაშრობა, ხოლო უკვე მოგვიანებით დროის სტადიაზე, დაახლოებით 24-48 საათის გავლის შემდგომ, იწყება მოგვიანებითი გვამური ცვლილებების განვითარება, როგორიცაა ლპობა, მუმიფიკაცია, ქონცვილი, ტორფით დათრიმვლა. მოგვიანებითი გვამური ცვლილებების განვითარების პროცესი საკმაოდ ხანგრძლივია და ძირითადში მოიცავს რბილი ქსოვილების და შინაგანი ორგანოების ავტოლიზურ პროცესებს. ხოლო რაც შეეხება თავის ქალას მოცილებას სხეულიდან, მოგვიანებითი გვამური მოვლენების განვითარების შედეგად (ლპობა და ა.შ) ცალსახად შეიძლება ითქვამს, რომ ამის განვითარება აბსურდია და მოკლებულია ყოველგვარ რეალობას. თავის მოცილება სხეულიდან არამცთუ დაუმარხავი გვამიდან ერთ-ორ დღეში, არამედ წლების განმავლობაშიც პრაქტიკულად წარმოუდგენელია. თავის მოცილება სხეულიდან შესაძლებელია მხოლოდ გარეშე ფიზიკური ძალის ზემოქმედებით, როგორიცაა მჩეხავი, მჭრელი თვისებების მქონე საგნის მოქმედებით და სხვა“-ნათქვამია ექსპერტიზის დასკვნაში.



ამასთანავე ზაქარეიშვილის ამ განცხადებაზე მივიღე პროფესორ პათოლოგ-ანატომის ზაზა თოფურიას სამედიცინო განმარტება, რომლის თანახმად ყოვლად გაუმართლებელია (სამედიცინო თვალსაზრისით) ტერმინი „სხეული იშლება“. გვამური გახრწნა და არა შლა მიკრობულ დონეზე ეხება რბილ ქსოვილებს, რაც შეეხება ძვლოვან ქსოვილს, ხერხემლის სვეტს თავის ქალასთან ერთად, ხრწნითი, ანუ ლპობითი პროცესი მის მთლიანობას ათეული და ასეული წლების განმავლობაში ნაკლებად აზიანებს.

სასამართლო ექსპერტიზის ოფიციალური დასკვნა, ასევე პროფესორ პათოლოგ-ანატომის ზაზა თოფურიას განმატება ცხადყოფს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მიერ შეთხზული დანაშაულებრივი ლეგენდის სრულ აბსურდულობასა და მისი იდეოლოგიური პროპაგანდის შემზარავ მაშტაბებს. ყალბი შერიგების პროპაგანდით შეპყრობილმა პაატა ზაქარეიშვილმა გაგრაში დატრიალებული გენოციდის გასათეთრებლად ასეულობით თავმოკვეთილი ქართველის გვამი ნესტიან კლიმატში გააფორმა. ასეულობით უთავო გვამი, რომელიც ზაქარეიშვილის ხელიდან ჭირისუფალს გადაეცემოდა თავმოკვეთილი გვამია, ეს სწორედ იმ ასეულობით ქართველის გვამია, რომლებსაც თავები მოკვეთეს მარტო იმიტომ, რომ ისინი ქართველები იყვნენ. სეპარატისტების მიერ ჩადენილი დანაშაულის მისაჩქმალად სახელმწიფო მინისტრმა შემზარავი ლეგენდა გამოიგონა. შეთხზული სიცრუე ადასტურებს, რომ ისპაატა ზაქარეიშვილი არის უშუალო მოწმე და თვითმხილველი მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ გაჩაღებული ფიზიკური განადგურების მიზანმიმართული პოლიტიკისა და ამ პოლიტიკის სისასტიკის მაშტაბებისა. პაატა ზაქარეიშვილი უშუალო თვითმხილველია გენოციდის შემზარავი გამოვლინების, როგორიცაა ეთნიკური ნიშნით ადამიანებისთვის თავების მოკვეთა, რასაც დღეს ის ნესტიან კლიმატს აწერს, რაც სახელმწიფო ღალატის გარდა სამხედრო დანაშაულია. სახელმწიფო მინისტრის მიერ შეთხზული დანაშაულებრივი ლეგენდა ნესტიანი კლიმატის გამო სხეულს თავმოცილებული გვამების თაობაზე რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს ზაქარეიშვილისთვის პირდაპირი და უტყუარი მტკიცებულებაა იმისა, რომ გაგრაში ქართველებს თავებს აჭრიდნენ. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი სეპარატისტების მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის, ქართველი ერისა და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის გაყალბებას ამართლებს აბსურდული, უტოპიური იდეოლოგიური პროპაგანდის თეზისით- „ჯერ შევრიგდეთ და მერე ვილაპარაკოთ“.

„დაუშვათ დადასტურდა. დავუშვათ თამაშობდნენ თავებით, ჩვენ დღეს გვჭირდება ამაზე ლაპარაკი, თუ შერიგებაზე მივდივართ? თუ ჯობია რაღაცეები გვერდზე გადავდოთ და შევრიგდეთ და მერე ვილაპარაკოთ ამაზე“- აცხადებს ზაქარეიშვილი და დასძენს -„რას მოგვიტანს დღეს ოცი წლის თავზე ამაზე ლაპარაკი, თუ ჩვენ ისევ შერიგებისკენ მივდივართ“.

საქართველოსთვის დამღუპველი იდეოლოგიური პროპაგანდა ლოზუნგით„ჯერ შევრიგდეთ და მერე ვილაპარაკოთ“ ძირს უთხრიან საქართველოს თავისუფლების შესაძლებლობას. შერიგების ყალბი თეზისით ამოქმედებული უტოპიური, ცრუ იდეოლოგია, როგორც ეს საერთაშორისო გამოცდილებით არის ცნობილი, შერიგებისა და ურთიერთობების დალაგების სანაცვლოდ იწვევს ეთნიკური და ეროვნებათა შორისი შუღლის, კონფლიქტის, დაპირსპირების გაღვივებას, მისი ახალი ძალით გამწვავებასა და ვითარების დესტაბილიზაციას. გარდა ამისა ნეგაციონიზმით გაჟღენთილი, ისტორიული გარემოებებისა და ფაქტების ფალსიფიკაციაზე ორიენტირებული იდეოლოგია, რომელიც გენოციდისა და ეთნოწმენდის კვალის მიჩქმალვასა და შემდეგ უკვე დანაშაულის სრული უარყოფის ლეგიტიმაციას გულისხმობს, მიმართულია საქართველოს სახელმწიფოს კუთვნილი ტერიტორიების გასხვისების სამართლებრივი შემზადებისა და საბოლოო გაფორმებისკენ.

პროპაგანდისტთა ბოლოდროინდელი შეუფარავი ანტისახელმწიფოებრივი განცხადებებიდან გამომდინარე, რომლებიც ჩვენი ქვეყნისთვის სტრატეგიულად დამანგრეველი ხედვის განხორციელებას შეუდგნენ, უფრო მეტ აქტუალობასა და სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს ტაბუირებული 260 ტომის საერთაშორისო სამართლისათვის გადაცემა, რომელიც 20 წელია ელოდება გამოძიებას. აფხაზეთის ომში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების მიუკერძოებელი გამოძიება და შეფასება საერთაშორისო სამართლის დონეზე იქნება ერთადერთი წინაპირობა კონფლიქტის სამართლიანი მოგვარების და ურთიერთობების შემდგომი დალაგებისა. ამიტომაც აუცილებელია სამართლიანობის და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანების აღდგენის უზენაესს საკითხში საზოგადოების მაღალი აქტივობა და ხელისუფალთა პოლიტიკური ნება, რაც შეიძლება უმოკლეს ვადებში სტრასბურგის ევრო- სასამართლოში დაიწყოს გენოციდისა და ეთნოწმენდის ფაქტების გამოძიება.

ხელისუფლებაში მოკალათებული ურეიტინგო პარტიის აქტიურმა წევრმა და რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა გაგრაში დატრიალებული ტრაგედიის გაყალბების მიზნით შეთხზა შემზარავი ლეგენდა, რითაც დისკრედიტაცია გაუწია მმართველ პოლიტიკურ უმრავლესობას, შეურაცხყო საქართველოს სახელმწიფოებრივი და ეროვნული ღირსება, საზოგადოება და ასეულობით თავმოკვეთილი ქართველის სული. მის მიერ შეთხზულ ლეგენდაში გამოიკვეთა სამსახურებრივი გულგრილობის, კვალის განზრახ დაფარვის, სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენების, სიმართლის მიჩქმალვა-მიჩუმათებისა და სამხედრო დანაშაულის კვალი, რის გამოც პაატა ზაქარეიშვილს სახელმწიფო ღალატში ვდებ ბრალს და მოვითხოვ ზაქარეიშვილის შემზარავი ლეგენდა ნესტიანი კლიმატის გამო სხეულს თავმოცილებული ასობით ქართველის გვამის თაობაზე სამართალდამცავი ორგანოების მიერ საგანგებო და საფუძვლიანი შესწავლის საგანი გახდეს.

და ბოლოს, არ შემიძლია არ ავღნიშნო ის სიამაყის გრძნობა, რომელიც 17 მაისს დამეუფლა, როდესაც რუსთაველის გამზირზე მტრისა და მოყვრის, მთელი მსოფლიოს წინაშე ერთადშეკრული ვიხილე ქართველი ერი, რომელმაც დაიცვა თავისი ქვეყნის ღირსება, სახელმწიფოებრივი, ეროვნული თვითშეგნებისა და თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად საუკუნეების მანძილზე დაღვრილი სისხლი, მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში გადანახული კულტურული და სულიერი ფასეულობების წმიდა საუნჯე, ღვთის სიტყვა... საქართველო...

ერისა და ბერის ერთად დგომა ცილისწამების სამიზნედ იქცა. აგორებულ დეზინფორმაციულ ომში ჩაერთო ხელოვანთა და პოლიტიკოსთა ვიწრო ჯგუფი, რომელშიც გნაცმოძრაობის ლიდერებთან ერთად განსაკუთრებული და თვალშისაცემი აქტიურობით გამოირჩეოდა რესპუბლიკური პარტია. რესპუბლიკელებმა, იგივე ზაქარეიშვილებმა ქართველ ერს ბრბო უწოდეს, რითაც შეურაცხყვეს მისი გრძნობები. არ შემიძლია აქვე არ მოვიყვანო შეურაცხმყოფელთა მისამართით გაჟღერებული ქრისტიანის, ქართველის, კაცის, ლევან ვასაძის სიტყვა.

„ 9 აპრილსაც და 17 მაისსაც ჩემი აზრით მე დავუპირისპირდი ჩემი ქვეყნის დამანგრეველ იდეოლოგიას. მე არ მიმაჩნია, რომ 17 მაისს მე დავუპირისპირდი იმაზე ნაკლებ საზიზღრობას ვიდრე საბჭოთა არმიას, რომელიც 9 აპრილს მოვიდა და გვხოცავდა ჩვენ რუსთაველზე.

...მე მექმნება შთაბეჭდილება, რომ არი ხალხი, რომელიც ტროას ცხენის ჯაშუშებივით შეყვნენ ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკაში ნულოვანი რეიტინგით. ნუ ეგონებათ მათ, რომ ისინი არიან ლეგიტიმური რეიტინგის მატარებელი უმრავლესობის წევრები. ისინი შევიდნენ ერთი კაცის რეიტინგზე და ეხლა გამოჩნდება რისთვის შევიდნენ ისინი იქ და კარგად დაფიქრდნენ რა უნდათ. შეიძლება ასიათასიან საზოგადოების ჯგუფს უწოდო რაღაცა ჯგუფი და იძახო, რომ ეს არის რაღაცა ბრბო აგრესიული და ა.შ?!“

დავეთანხმები ლევან ვასაძეს და დავამატებ, რა გასაკვირია აგორებული ტალღის ინერციას შეყოლილი ურეიტინგო პარტია, რომლის აქტიურმა წევრმა რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრმა გაგრის ტრაგედიის გასაყალბებლად ასეულობით თავმოკვეთილი ქართველის გვამი შემზარავი, დანაშაულებრივი ლეგენდით ნესტიან კლიმატს ჩამოწერა, 17 მაისს ოპერატიულად დარაზმულიყო ქართველი ერის ღირსების აყრის საქმეში. რესპუბლიკელებმა ჩვეული ენთუზიაზმით მათთვის ხელსაყრელ მომენტში ქართველს ერს სულში ჩააფურთხეს.

ზაქარეიშვილებო! გახსოვდეთ 17 მაისი, რადგან თქვენს მიერ ბრბოდ წოდებული საზოგადოება არის ქართველი ერი და ბერი, რომელიც რუსთაველის გამზირზე დადგა თავისი ურყევი ნების გამოსახატად და მსოფლიოს უთხრა, რომ სამშობლოსა და ერის ღირსება მისთვის ხელშეუვალია! ზაქარეიშვილებო! გახსოვდეთ 17 მაისი, რადგან ე.წ. ადამიანის უფლება, რომელსაც თქვენ ასე თავგამოდებით იცავთ მთავრდება იქ, სადაც ერის უფლება იწყება. უფლება იმ ერის, რომელმაც მიუხედავად ხანგრძლივი, უსამართლო, უთასწორო ომისა გამონახა ძალა საკუთარ თავში დაეცვა ღირსეულად ცხოვრების უფლება მის კუთვნილ, სისხლით მოპოვებულ საუფლო სამკვიდრებელში. ზაქარეიშვილებო, ადამიანის უფლების დამცველებო და საკუთარი ქვეყნის უფლებისა და ღირსების შემლახველებო, სწორედ ამ სამკვიდრებელის გაძარცვა და დანაწევრება გაქვთ განზრახული, მაგრამ ეს არასოდეს არ მოხდება! საქართველოს სულიერმა საჭეთმპყრობელმა სრულიად საქართველო კათალიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია II თავის წმიდა წოდებაში საქართველო უკვე გაამთლიანა!!! ამ მთლიანობის რღვევის მცდელობას ქართველი ერი არ გაპატიებთ!

**ზურაბ ჩიქოვანი**

**საკონტაქტო ინფორმაცია:**
**მობილური** - 5 99 56 87 78;
**ვებ-მისამართი:** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე – Zurab Chikovani/ზურაბ ჩიქოვანი.

ის არ იკმარა მიშამ სადაც მიდის იმ ტრიბუნას რომ მიათრევს, ეხლა სოფო ნიჟარაძეც დაიმატა:))) (აქ არ მოესვლებოდა და ავღანეთში ჩავიდა 26 მაისს))

შემდეგიიიი, მოემზადოს უგულავა, ბოკერიააააა!! მიშა, შენ ოქტომბრამდე გაუძელი, როგორმე:))

ასჯერ და ათასჯერ ვაფასებ ბიძინა ივანიშვილს ჭკუას, მოხერხებას და ტაქტიკას! კი ვფიქრობდი 9 მილიარდის დაგროვება, ჩვეულებრივ ადამიანს არ შეუძლია-თქოო, მაგრამ მაინც ჩქარა მინდოდა სამართალის აღდგენა, ივანიშვილმა კი ტაქტიკურად სწორად გათვალა ყველაფერი, მშვიდად, გეგმაზომიერად, ყოველგვარი აურზაურის გარეშე, დედა უტირა ნაცხროვას, ისეთ დღეში ჩააგდო, მარტივ მამრავლებად დაშალა, ერთმანეთს დაერივნენ, დაჭამეს, დაღრნეს ერთმანეთი და ციხეშიც თავის ფეხით შერბიან:)) ბრავო, ბატონო პრემიერო, ბრავო!

რა იფიქრებდა სოზარ სუბარი, რომ მას ერთხელ მთელ ნაციონალურ მოძრაობას ჩააბარებდნენ საყარაულოდ.

ფსოუს წყლის დალევა არ გაახარებდა ერს ისე, როგორც ვანო მერაბიშვილის დაჭერით გაიხარა....




## xa l xis az r iT

ვანო მერაბიშვილის სახლში პოლიციამ ჩხრეკის შედეგად იმდენი ევრო ამოიღო, ლარის კურსი ევროსთან მიმართებაში ლარსოროკამდე დაეცა

ივნისის შუა რიცხვებში პიდარასტების მორიგი აქცია იგეგმება. იმედია, სადმე რომანტიკულ გარემოში იხვანხვალებთ. მეორედ თქვენს დასაცავად ხმას აღარ ამოვიღებ, შევღონდი!!!!!

ვაიმე ჟენიააა გაყიდე ეგ "კამაზი" და დეიხსენი გაღლეტილი ბოვში ციხიდან თვარააა... მიშას ხო ხედავ ნაურუ უფრო აღელვებს, ვიდრე შენი ბლუ ბალანაააა

ადრე ყველა გზა რომში მიდიოდა. ეხლა ყველა ნაციონალის გზა გლდანში მიდის....

მგონი, ბაქრაძე ერთად ერთი კაცია, ვინც ვანოს დაჭერა მართლა განიცადა....

ვანოს შეუთვლია ჟენიასთვის, მეტყველების სავარჯიშოები შემომიგზავნე, ყველაფერი უნდა დავფქვა წვრილწვრილადო

ამას რას მოვესწარი, საქართველოში ქართველი ხალხი ხელმოწერებს აგროვებს სასულიერო პირების დასჯის მოთხოვნაზე. არამგონია ეს რამე პოზიცია იყოს, მათი მხრიდან უფრო პოზას ჰგავს. დიდხანს არ დარჩეთ მაგ პოზაში, ემანდ, ვინმე არ მოგეპაროთ.

2 წლის წინ ვანო მერაბიშვილი საააკაშვილთან ერთად გეგმავდა როგორ ჩაეხშო სისიხლში თბილისში მიმდინარე აქცია. 2 წლის თავზე კი.... ბოროტება ჯერ არავის შერჩენია.

აქუ, საღოლ! ძალიან სწორად ელაპარაკება ბიძინას, შინაურულად და ჯიგრულად. აბა, ის ჯობია, მონური მორჩილებით რომ შესციცინებენ თვალებში მაღალჩინოსნებს?!

# მწეველები კვდებიან ადრე



**ინტერვიუ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორთან ამირან გამყრელიძესთან**

**— ბატონო ამირან, როგორც ვიცით, მსოფლიოში გააქტიურდა მოძრაობა თამბაქოს მოხმარების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ თამბაქოს მავნებლობის შესახებ იცის ხალხმა, მაინც საკმაოდ ბევრი მწეველია. საქართველოში რამდენი მწეველი გვყავს, თუ გაქვთ მონაცემები?**

— ერთ-ერთი ბოლო კვლევით, მოზრდილი მოსახლეობის 30 პროცენტი. მამაკაცების 50 პროცენტია, ქალბატონების, დაახლოებით, ხუთი, თუმცა ეს რაოდენობა გვეჩვენება, რომ დაბალია. თბილისში ეს რიცხვი გაცილებით მეტია, სადღაც 12 პროცენტამდე, სოფლად უფრო ნაკლები. სამწუხაროდ, ამ მონაცემებით, ევროპაში ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელი გვაქვს. ასევე შეიმჩნევა მწეველთა გაახალგაზრდავება, ანუ უფრო ახალგაზრდულ ასაკში დაწყება თამბაქოს მოწევის. აქვე გეტყვით, რომ საქართველოში სიკვდილიანობის ერთ-ერპთი უპირველესი მიზეზი თამბაქოა. უშუალოდ თამბაქოთი გამოწვეული ზიანით 20-25 პროცენტი სიკვდილიანობაა დაფიქსირებული დაახლოებით, 11 ათასი ადამიანი იღუპება თამბაქოთი გამოწვეული გართულებებით — გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით კიბოთი ფილტვის მწვავე დაავადებებით და სხვა მძიმე ავადმყოფობებით. დაღუპული 11 ათასიდან 8 ათასი უშუალოდ მწეველია, ხოლო 3 ათასი პასიური მწეველობის მიზეზით. თამბაქოს კვამლი უარყოფითად მოქმედებს არამწევლებზეც. აი, ასეთი ვითარება გვაქვს დღეს.

**— თქვენ აღნიშნეთ, რომ მწეველთა ასაკი გაახალგაზრდავდა. მეც მინახავს მცირეწლოვანები რომ ეწევიან. რატომ ეძალებიან ახალგაზრდები თამბაქოს?**

— თამბაქოს მოწევის ჩვევა, სამწუხაროდ, ახალგაზრდული ასაკიდან ყალიბდება. დიდი როლი ენიჭება თამბაქოს რეკლამას, რომელიც შეუზღუდავად გვხვდება ქუჩებში. არ სრულდება კანონის ის მოთხოვნა, რომ თამბაქო არ იყიდებოდეს ყველგან, მათ შორის სკოლებთან 50 მეტრის რადიუსში, არ იყიდებოდეს ბავშვებზე, ეს საჯარიმო სანქციებს ექვემდებარება. ნაკლებია საგანმანათლებლო და საინფორმაციო კამპანიები, როგორც სკოლებში, ასევე უმაღლეს სასწავლებლებში. როგორც ვიცით, მოწევას უფროსკლასელები იწყებენ. სწორედ მათთან არის საჭირო საგანმანათლებლო კამპანიის და სხვა მსგავსი ღონისძიებების ჩატარება. არც მხოლოდ აკრძალვა და სანქციები იძლევა შედეგს და არც მხოლოდ საგანმანათლებლო ღონისძიებები. უნდა იყოს სამმხრივი მიდგომა იმ პრობლემისადმი. ერთის მხრივ, მუდმივი საინფორმაციო კამპანიები, რათა ჩამოყალიბდეს კულტურა იმისა, რომ თამბაქო მავნებელია მისი და მისი შვილებისთვის. პრევენცია გავუწიოთ ახალგაზრდებში თამბაქოს მოწევის დაწყებას. საინფორმაციო კამპანია უფრო მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის, რათა მოწევის დაწყების პრევენცია მოვახდინოთ, თორემ რამდენიც უნდა ელაპარაკოთ ჩამოყალიბებულ მწეველს შედეგი ნაკლებად იქნება უკვე ჩამოყალიბებული მწევლებისთვის — იმ ადამიანებისთვის, ვინც დამოკიდებულია თამბაქოზე, მათ ხელი უნდა შეეწყოს თამბაქოს ჩანაცვლებით მკურნალობაზე, უნდა გაიხსნას სამედიცინო ცენტრები და რაც მთავარია, ჰქონდეთ ალტერნატიული საშუალებები. მესამე გახლავთ ამკრძალავი ღონისძიებები, რომელიც ორიენტირებულია თამბაქოს მოწევის დაწყების პრევენციაზე, რაზეც უკვე ვისაუბრეთ. ახალი კანონი, რომელიც შემოგვაქვს, უფრო მკაცრი იქნება. ცალკე უნდა იყოს გამოყოფილი თამბაქოს მოსაწევი ადგილები, დახურულ შენობებში საერთოდ არ უნდა იყოს მოწევა ნებადართული, რესტორნებში უნდა იყოს სპეციალური ადგილი გამოყოფილი მწეველთათვის და ასე შემდეგ.



— როგორც ცნობილია, მუშავდება კანონპროექტი თამბაქოს მოწევის წინააღმდეგ?

— კანონი ახლაც არის, მაგრამ როგორც უკვე გითხარით, ბევრ საკითხში არ სრულდება. მარტში საქართველოს მთავრობამ გამოსცა დადგენილება, შექმნილია სამთავრობო კომისია პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით. ათი მინისტრი შედის ამ კომისიაში, არსებობს სამუშაო ჯგუფი ჯანდაცვის მინისტრის ხელმძღვანელობით, ჩვენი ინსტიტუტი გახლავთ სამდივნო ამ კომისიების, აქ მუშავდება მასალები. მთავრობის სხდომაზე უკვე დამტკიცდა ქვეყანაში თამბაქოს კონტროლის ღონისძიებების გაძლიერების სტრატეგია. მთავრობის სხდომაზე განიხილეს სამოქმედო გეგმა და პროგრამა, სადაც სხვადასხვა უწყებებიდან არის შენიშვნები, რომელიც მუშავდება და მალე წარედგინება მთავრობას დასამტკიცებლად. არის მომზადებული ცვლილებები ამ გეგმის განსახორციელებლად შვიდ კანონპროექტში. შეჯერდება ყველაფერი, მოხდება კანონების ინიცირება და იმედია, შემდგომ პარლამენტი დაამტკიცებს, ყველაფერი ეს მიმართულია ძირითადად, ერთის მხრივ, ინფორმაციის გაძლიერებაზე და მუდმივ საგანმანათლებლო მუშაობაზე და მეორეს მხრივ, ამკრძალავი ღონისძიებების და სანქციების გამკაცრებაზე, ადამიანებს უნდა ჰქონდეთ საშუალება დაანებონ თავი თამბაქოს მოწევას.

**— ბატონო ამირან, როგორც ვიცით, თამბაქოს მწეველთა ასაკი გაახალგაზრდავდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც ხომ არ არის, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა არ მიმდინარეობს, სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილები თითქმის ჩაშლილია?**

— გეთანხმებით. თამბაქოს მოწევის ალტერნატივა გახლავთ ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა და ამის პროპაგანდა უფრო ფართო მასშტაბით. ჩვენთან არის ჯანმრთელობის ხელშეწყობის განყოფილება, ვცდილობთ სხვადასხვა პრობლემებთან დაკავშირებით, როგორიც გახლავთ თამბაქო, ალკოჰოლი, ჭარბი წონა, რაც შეიძლება მეტი მასალა მიაწოდოს პრესა-ტელევიზიას, განათავსოს ინტერნეტში, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. სამუშაო ძალიან ბევრია. განსაკუთრებით ხაზგასმით აღვნიშნავ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, სამუშაო ადგილებზე პროპაგანდას. ეს თამბაქოსთან ირიბი ბრძოლის ალტერნატიული მეთოდია. ჩვენ ვაგრძელებთ აქტიურ მუშაობას.

**გია ბურდული**

**551 71 27 07**

# დიდი სეირი და დიდი „სეილი“ ქართულ მედიაში

## ოქტომბრის არჩევნების შემდეგ რატომ აყვავდნენ და გაიფურჩქნენ ასე უცებ ის გამოცემები, რომლებიც ადრე ბიძინა ივანიშვილს გააფთრებულნი ებრძოდნენ?

უცნაური ამბები ხდება ქართულ მედიაში – უცებ რამდენიმე გაზეთი 40-50 პროცენტით გაიაფდა!

ქვეყანაში ყველაფერი ძვირდება, გაზეთები კი იაფდება და იაფდება!

ესა თუ ის გამოცემა გუშინ რომ 2 ლარი ღირდა, დღეს უცებ 1 ლარი ღირს, ერთლარიანი გამოცემა – 60 თეთრი, 60 თეთრიანი გაზეთი – 40 თეთრი გახდა.

ქაღალდი არ გაიაფებულა, საღებავი არ გაიაფებულა, სასტამბო ხარჯები არ გაიაფებულა, ამ გაზეთების ტირაჟი არ გაზრდილა, მათი ღირებულება კი მაინც იკლებს და იკლებს.

არ არის ეს გასაოცარი და გასაკვირი ამბავი?

ფულის ისეთმა რა ნაკადულმა ამოხეთქა ამ რედაქციების ოფისებში, რომ უცებ ასეთი გულუხვები გახდნენ, თავიანთ პროდუქციას ნახევარ ფასად რომ ყიდიან და ლამის ზარალზე მუშაობენ?

დავიწყოთ იმით, რომ კომუნისტურ ეპოქაში პრესა საბჭოთა იდეოლოგიის მთავარი ტრიბუნა და რუპორი იყო.

ამიტომაც ფინანსდებოდა იგი საბჭოთა სახელმწიფოს მიერ და დაუფარავად, ღიად ემსახურებოდა კომუნისტური იდეების პროპაგანდას.

ეჭვი გვაქვს, რომ ეს ერთბაშად გაიაფებული გაზეთებიც ვიღაცის მიერ არის უხვად დაფინანსებული, თუმცა გაუგებარია, რა სარგებელი აქედან დამფინანსებელს – ეს მოყვითალო გაზეთები რომელი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ და „გარდიანია“, რომ ვინმეს რაღაც სერიოზული სამსახური გაუწიოს?

ისიც შეცდომაა, თუ ვინმე ფიქრობს, რომ ფასის განახევრებით ამ გაზეთების ტირაჟი გაორმაგდება ან გასამაგდება და ჩამოფასებული პროდუქციის საყიდლად მკითხველთა (მყიდველთა) გრძელი რიგი დადგება.

ასეა თუ ისეა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს გაზეთები ვიღაცამ დააფინანსა, თანაც დააფინანსა იმდენად გულუხვად და ხელგაშლილად, რომ ამ გამოცემების მეპატრონეებს ფასის შემცირების საშუალება მიეცათ.



ისმის კითხვა – ვინ არის ეს დამფინანსებელი და რა წარმოშობისაა ის უზარმაზარი ფული, რომელიც ქართულ მედია-სივრცეში ასე მოულოდნელად შემოიჭრა, რითაც თავისუფალი პრესის არსებობას საფრთხე შეექმნა?

**ამ ორი თვის წინ გავრცელდა ხმები, რომ „ნაცმოძრაობამ“ ერთ-ერთ რედაქციას 2 მილიონი დოლარი უფეშქაშა, რაც თვით ამ რედაქციის თანამშრომელთა შორის დაპირისპირების საბაბად იქცა.**

ჟურნალისტთა ერთმა ჯგუფმა არ ისურვა „ნაცების“ დაფინანსებულ გაზეთში მუშაობის გაგრძელება და რედაქციიდან წამოვიდა.

ძნელი სათქმელია, რამდენად შეეფერება სინამდვილეს ჭორად მოარული ეს ხმები და მართლაც „ნაცებისაა“ თუ არა ის ფული, რომლითაც თავისუფალი პრესის მოხრჩობას და სხვა გაზეთების ჩაძირვას აპირებენ ვიღაც-ვიღაცები?

მთავარი უბედურება ისაა, რომ ამ დივერიული ხასიათის საფინანსო ოპერაციით ძალზე სერიოზული საფრთხე ექმნება თავისუფალ პრესას.

არსებობს საშიშროება, რომ მედიასივრცე მედია-მონოპოლიებმა დაიპყრონ, რაც აუცილებლად მოახდენს უარყოფით გავლენას ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროზე.

**გემახსოვრებათ, მიხეილ სააკაშვილმა ერთი მილიონი ლარი გამოყო ქართული მედიის განვითარების მიზნით.**

**ეს მილიონი ლარი უკვე გაიხარჯა, თუმცა ქართულ მედიას განვითარების და წინსვლის არაფერი დატყობია.**

არც დაეტყობა, რადგან იმთავითვე ცხადი იყო, რომ ეს ფული მედიის განვითარებას კი არა „ნაც. მოძრაობის“ პოლიტიკურ მიზნებსა და ამოცანებს უნდა მომსახურებოდა.

რაც შეეხება ზემოთნახსენებ მოარულ ხმებს, რომ ახლაც სწორედ „ნაცმოძრაობამ“ შემოყარა შავი ფულის დიდი მასა მედიაბაზარზე, ეს ხმები მინიმუმ გადამოწმებას და დაზუსტებას მაინც მოითხოვს ახალი ხელისუფლების მიერ.

თუ ახალი ხელისუფლება ფიქრობს, რომ ეს უმნიშვნელო და მისაფუჩეჩებელი საქმეა, ძალიან ცდება.



**დრო მოვა, სხვადასხვა გამოცემებში ნაღმებივით ჩალაგებული ეს ფული აუცილებლად აფეთქდება.**

ხომ შეიძლება, „ნაც. მოძრაობა“ არაფერ შუაშია და ამ ფინანსური დივერსიის უკან სულ სხვა ძალები დგანან, რომლებიც ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ფარულ საინფორმაციო ომს ეწევიან?

იქნებ ვინმემ გვითხრას, რომ ასეთი რამ ქართულ სინამდვილეში შეუძლებელია მოხდეს.

**შეუძლებელი კი არა რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთი სატელევიზიო არხი მორბენალი სტრიქონების საშუალებით ერთ-ერთ საქართველოსადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოს სადაზვერვო-ჯაშუშური ხასიათის „სვოდკებს“ აწვდიდა პირდაპირ ღია ეთერში.**

საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის წყალობით სხვადასხვა სახელმწიფოთა ჯაშუშურ-აგენტურული სამსახურების დიდი თავშეყრის ადგილია.

ამ ვითარებაში სრული გულგრილობა და აპათიური დამოკიდებულება ქვეყანაში მიმდინარე საეჭვო პროცესებისადმი სხვა არაფერია თუ არა უპასუხისმგებლობა, რომელსაც შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს.

* * *

კიდევ ერთ უცნაურ გარემოებას გვინდა თქვენი ყურადღება მივაქციოთ.

ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ყველასთვის მოულოდნელად ის გამოცემები აყვავდნენ და გაიფურჩქნენ, რომლებიც მანამდე ბიძინა ივანიშვილს გააფთრებულნი ებრძოდნენ და მის წინააღმდეგ ცილისმწამებლურ კამპანიას ეწეოდნენ.

შანტაჟზე, პროვოკაციაზე აგებული და იმავე დროს კარგად ორგანიზებული, ფართომასშტაბიანი შტურმი ივანიშვილის სახელის გასატეხად და მისი სრული დისკრედიტაციის მიზნით კარგა ხანს გრძელდებოდა.

**ოქტომბრის არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ მორალურად გაკოტრებულ ამ გამოცემებს, რომლებიც უკვე ჩასაძირად იყვნენ განწირულნი, უცებ ვიღაცამ ჟურში სტაცა ხელი, ზედაპირზე ამოათრია და ჭაობის წყალნაყლაპებს ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარა – მართლა არ მოკვდეთ თქვე ოჯახქორებო და თქვენი ცოდვა კისერზე არ დაგვედოსო.**

სასწრაფო „სამედიცინო“ დახმარებით გადარჩენილები ნელ-ნელა გონს მოვიდნენ, მოფერიანდნენ, მოღონიერდნენ და კვლავ ლაღად გაშალეს ფრთები.

ქართულ მედიაში არა და არ დამთავრდა „ჟურნალისტ-პროსტიტუტკების“ და პროფესიონალი შანტაჟისტ-გამომძალველების პარპაში, რომლებიც ხან ერთ პოლიტიკურ ძალას მიეყიდებიან, ხან მეორეს.

ეს უმსგავსობა, რომელსაც თითქმის 20-წლიანი ტრადიცია აქვს უკვე, დღემდე გრძელდება და, როგორც ჩანს, მანამდე გაგრძელდება, სანამ ამას საქართველო არ შეეწირება.

* * *

მედია სარკესავით უნდა იყოს – ჩაიხედავ და შიგ მთელი ქვეყანა უნდა გამოჩნდეს თავისი ლხინით და ჭირით.

სამწუხაროდ, დღევანდელი ქართული მედია უფრო გამრუდებულ სარკეს ჰგავს, რომელიც საგნებს და მოვლენებს დამახინჯებული ფორმით წარმოგვიდგენს.

მავანნი და მავანნი ქართულ მედიას „ასინეთას კანტორასაც“ უწოდებენ.

**ასეა თუ ისეა, აშკარაა, რომ ქართულ მედიაში კარგა ხანია გამოიკვეთა კლანურ-მაფიური სახის მედია-გაერთიანებები, მედია-კონსორციუმები, მედია-სინდიკატები, რომლის წევრებსაც საერთო პატრონი, საერთო მფარველი და საერთო კოორდინატორი ჰყავთ.**

ეს რომ ასეა, ამის დასტურად თუნდაც ის კმარა, თუ როგორ აშუქებდნენ ამ მედია-სინდიკატების წარმომადგენლები 17 მაისის მოვლენებს და როგორი ერთსულოვანი იყო მათი პოზიცია ქართული ეკლესიის მიმართ.

მედია სარკეაო, რომ ვთქვით, ამაში ისიც იგულისხმება, რომ ამ სარკეში ნათლად ჩანს ის გასაიდუმლოებულ-შენიღბული კავშირები, რაც ბეჭდვითი თუ ელექტრონული მედიის გარკვეულ ჯგუფებსა და ამ ჯგუფებთან იდეოლოგიურად მიბმულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ე.წ. ადამიანთა უფლებების დამცველთა წარმომადგენლებს, ე.წ. მედიაექსპერტებსა და ზოგიერთ პოლიტიკურ პარტიას შორის არსებობს.

**ფაქტობრივად, ეს არის სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული იდეოლოგიური დესანტი, რომელიც აკონტროლებს მთელ ქართულ მედიას** (რამდენიმე გამოცემის გამოკლებით), ცდილობს თავისი ნება უკარნახოს ხელისუფლებას, ჩამოაყალიბოს საზოგადოებრივი აზრი ისე და იმდაგვარად, რომ ასიამოვნოს და კოჭი გაუგოროს თავის უცხოელ პატრონებს.

ასეთ ვითარებაში საიდანღაც შემოვარდნილი ეს უზარმაზარი ფული საბოლოოდ მოაჩანაგებს ბარიკადის იმ მხარეს, სადაც საქართველოს ინტერესების დამცველი ღარიბი გამოცემები დგანან.

ვინ აკეთებს ამას? ვინ მტრობს საქართველოს ასე ძალიან? ვის სურს საბოლოოდ დაასამაროს თავისუფალი პრესა? – ეს ის კითხვებია, რომლებსაც პასუხი აუცილებლად უნდა გაეცეს!

**დავით ქავთარია**

# ვინ არის აბლაიზოვი?

# WHO IS ABLIYAZOV?



დდეტექტიური ჟანრის მოყვარულთა უმეტესობას გაგონილი აქვს შემდეგი სახელი, მუხტარ აბლიაზოვი, გაქცეული ოლიგარქი, ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ჯგუფის დამაარსებელი, რომელსაც ეძებენ რუსეთის, დიდი ბრიტანეთის, ყაზახეთის და უკრაინის სამართალდამცავები. რამეთუ ამ ადამიანის ცხოვრება ჰგავს საინტერესო მრავალ სერიულ წასაკითხ წიგნს ჩახლართული სიუჟეტით.

მაინც ვინ არის აბლაიზოვი? ადამიანი რომელმაც შექმნა თავისი კაპიტალი არეულობის დროს, როდესაც ერთ-ერთი პოსტსაბჭოური რესპუბლიკა იბრძოდა დამოუკიდებლობისთვის. პოლიტიკოსი რომელიც სათავეში ედგა ფსევდო ოპოზიციურ მოძრაობას, რომლის ძირითადი მოვალეობა იყო მათ მიერ მოპარული ფულის დაცვა, თუმცა ამ ყველაფერმა ვერ დაიხსნა აბლიაზოვი პატიმრობისგან. პიროვნება რომელიც შეიწყალა ქვეყნის პირველმა პირმა, ბიზნესმენი რომელიც „პატიმრობის" შემდეგ დანიშნეს ბი-თი-ეი ბანკის თავმჯდომარედ, ბანკი რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ მსხვილ ფინანსურ ორგანიზაციას ყაზახეთში. და ბოლოს მძარცველი რომელიც ვერ შეაკავა, ვერც ახალმა მუქარამ მისი დაპატიმრების შესდახებ და ვერც ახალმა თანამდებობამ, შავბნელი საქმეებისგან. აბლიაზოვის კრიმინალურმა საქმიანობამ მიგვიყვანა იქამდე რომ ბანკის რამდენიმე წლიანი მართვის პერიოდში მან შეძლო „გაზიდა" ბანკის აქციების უდიდესი ნაწილი, კერძოდ კი 5 მილიარდი დოლარი.

ამ თავგადასავლის მეორე ნაწილი იწყება მაშინ როდესაც გაქცეული ოლიგარქი თავს აფარებს ''ნისლიანი ალბიონის'' სანაპიროებს. ამასთან ერთად მოცემული ისტორია ყველაზე ბურუსით მოცულია. გაქცეული ოლიგარქი შეიკედლა დიდმა ბრიტანეთმა და მიიღო პოლიტიკური თავშესაფარი. ამ დროს ახალი პატრონების დახმარებით ის იწყებს ნამდვილ ინფორმაციულ ომს ყაზახეთის წინააგმდეგ. ამასობაში კი ლონდონში უჩუმარდ მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი მისი ფინანსური მაქინაციების გამო. ხოლო დიდი ხნის შემდეგ პროცესი რომელიც წარმოუდგენელი დეტალებით შეივსო, მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში რომელმაც გაიაზრა თუ რამდენად რეალური იყო შემდეგი მაქინაციები.

აღსანიშნავია რომ აბლიაზოვის წყალობით ყაზახეთი, შვეიცარიასთან ერთად იკავებს ადგილს ამერიკის შემდეგ, ბრიტანელი იურისტების დასაქმების მხრივ. რისთვისაა საჭირო გაზი და ნავთობი როცა არსებობს მსგავსი ხერხი დიდი ფულის საშოვნელად? "ლოგიკურია რომ ასსეთ პირობებში ნებისმიერი დამნაშავეს რომელსაც გააჩნია ფული, შეუძლია ჰქონდეს იმედი მსოფლიოში ყველაზე სამართლიანი მართლმსაჯულებისა. საინტერესოა, რომ ბრიტანეთმა, შთაბერილმა გაქცეული ოლიგარქების მიერ, გაატარა რეფორმები კანონმდებლობის იმ ნაწილში, რომელიც მსხვილმაშტაბიან კომერციულ საქმეებს ეხება.

ახლა, რომ დავთვალოთ აბლიაზოვის საქმეზე აღძრულია 11 სასამართლო პროცესი, რომელშიც 50-დან 100-მდე ბრიტანეთის საუკეთესო იურისტი იგებს მონაწილეობას. ასეთ პირობებში გასაკვირია თუ როგორ გაითვალისწინა ბრიტანეთმა აბლიაზოვთან ურთიერთობა, ადამიანის რომლის ქვეყანა ბრიტანელი იურისტების ერთ-ერთი დამსაქმებელია. მმიუხედავად ადვოკატების არმიის მცდელობისა აბლიაზოვს თავიდან მიუსაჯეს 22 თვე თავისუფლების აღკვეთით ხოლო შემდეგ საერთოდ ჩამოაშორეს უფლება აეყვანა ადვოკატი.

თავდაპირველად ჩნდებოდა მოსაზრება თითქოს აბლიაზოვს ზურგს უმაგრებდნენ გარე ძალები, თუმცა ახლა აშკარაა რომ ის ჩამოწერეს სიიდან. დავიწყოთ იმით რომ როდესაც ინგლისის სასამართლომ ცნო აბლიაზოვი დამნაშავედ და პატიმრობა შეუფარდა ის გაიქცა ქვეყნიდან და თავს საფრანგეთს აფარებდა. თუმცა ეს ფაქტიც არ მიუთითებს იმაზე რომ მოხდა აბლიაზოვის როგორც პოლიტიკური ფიგურეს ჩამოშორება. აამაზე უფრო შემდეგი ფაქტები მიუთითებს: პირველი ის რომ აბლიაზოვის ყველა თანამზრახველი დაკავებულია სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ, ესპანეთში დააკავეს აბლიაზოვის თანამზრახველი რომელიც დაადანაშაულეს ალმაატაში ტერაქტული აქტის მოწყობაში, ტატიანა პარასკევიჩი რომელიც იძებნება უკრაინის პოლიციის მიერ ბი-თი-ეი ბანკიდან 4 მილიონი დოლარის მითვისებისთვის.

ყაზახეთში მუხტარ აბლიაზოვის საქმესთან დაკავშირებით პასუხისგებას გადაეცა 45 ადამიანი. რუსეთში 8 და 9 წლიანი თავისუფლების აღკვეთით დაპატიმრებულია კომპანია „ევრაზია ლოჯისტიკის" 4 ტოპ მენეჯერი, რომლებიც დაადანაშაულეს ბი-თი-ეი ბანკის ფულის გათეთრებაში. ხოლო ახლახანს რუსეთის „მვდ"-ს საგამომძიებო დეპარტამენტმა დაასრულა გამოძიება კომპანია „დელო"-ს მფლობელის დიმიტრი პაკის და მისი გენერალური დირექტორის ოლეგ ცარევის საქმესთან დაკავშირებით და ისინი დამნაშავეებად სცნო თაღლითობაში და თაღლითური შემოსავლების ლიცენზირებაში.

აფიორის არსი გახლავთ ის რომ კომპანია „დელომ" ბი-თი-ეი ბანკისგან მიიგო 70 კრედიტი 70 მილიონი დოლარის ექვივალენტში, რომელთა შესახებ ინფორმაცია სამომავლოდ უკვალოდ იკარგება. საბოლოოდ გადახდების მიმღები გახდა, არა ბი-თი-ეი ბანკი არამედ სრულიად უცნობი კვიპროსული ფირმა „კიმოსი".

აბლიაზოვის მაქინაციური სქემები საყოველთაო ჟურნალისტური კონსორციუმის გამოძიების მთავარ საგნად იქცა.

გამოქვეყნებული მასალის საფუძველზე გაირკვა რომ აბლიაზოვს ბრიტანეთის კუნძულებზე დარეგისტრირებული ჰქონდა 31 კომპანია რომელთაგან 25-ის მეშვეობით გაჰქონდა ბანკის რესურსები 2005-2009 წლებში. ეს კი აბლიაზოვის ყველა დასაყრდნობი ბერკეტის დაკარგვის ამსახველი არგუმენტებია. რას წარმოადგენს საყოველთაო ჟურნალისტური გამოძიების კონსორციუმი? ეს არის მუსიკა რომელსაც უკვეთავენ გავლენიანი პირები დასავლეთიდან. „სჟგკ"-ს ცენტრალური ოფისი მდებარეობს ვაშინგტონში, ხოლო ერთ-ერთი დამფინანსებლები და დონორები არიან სოროსის ''ღია საზოგადოება" და **Tides Foundation.**

„სჟგკ"-ს მოქმედება სუფთა პროდასავლური მიმართულებისაა. ამის გამო აბლიაზოვი ჩამოაშორეს სხვა დანარჩენებთან ერთად. ეს ალბათ მორიგი და უკანასკნელი მცდელობაა მისი პოლიტიკური ინტერესების მიზნით გამოყენებისა. აბლიაზოვის და მისნაირი ოლიგარქების მოხსენიაება მხოლოდ დაჯერებულობას მატებს მათ წინაამდეგ მოყვანილ ფაქტებს. ესეთ სქემებს იყენებენ საზოგადოების მანიპულირებისათვის ასეთი სქემები იდეალურია თუნდაც ამას უდანაშაულო ხალხი შეეწიროს. ტაქტიკა და პოლიტიკა ნაცნობია.

თუ ვინმე მხარს უჭერდა აბლიაზოვს დასავლეთით, ახლა ის სრულიად მარტოა. როგორც ცნობილია მარტო ბრძოლის ველზე მებრძოლი აღარაა. მას ფოლიც კი აღარ აქვს რომ დაიქირავოს წინა მაშტაბების მქონე ახალი გვარდია. ამასთან ერთად აბლიაზოვის უძრავი ქონებაც დღე დღეზე ჩამოიწერება. "ლონდონის სასამართლომ საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება და კომპანია „**KPMG**" სრული უფლება მისცა გაყიდოს სამი ობიექტი რომელიც აბლიაზოვს ეკუთვნის. დიდი სახლი ლონდონის ჩრდილოეთ ნაწილში, მიწის ნაკვეთი რომელიც აღემატება 40 ჰექტარს ქალაქ ვინზდორში და ბინა ''სეინტ ჯოუნსის'' რაიონში ლონდონში.

და ვინ იცის იქნებ უკვე ხვალ ინტერპოლი გონს მოვა და გაქცეულს დაიჭერენ?

**ზ.მ.**

Name Mukhtar Ablyazov - fugitive oligarch, the founder of a transnational criminal group, who is wanted by law enforcement agencies of the United Kingdom, Russia, Kazakhstan and Ukraine, it is known to many fans of the detective genre. For career of the man is widely perceived as a fascinating read, multi-part series with an intricate plot.'

Who is Abliyazov? The man who made his capital in the troubled times of independence in one of post-Soviet republics. The politician, who led the pseudo-oppositional movement, whose activities are reduced to the protection of the stolen money by them, which, however, did not save him from prison. A prisoner who has received a pardon from head of state even not serving a quarter of the period. Businessman - who was appointed after his release, as chairman of BTA Bank, one of the largest financial institutions in Kazakhstan. And finally not new threat of detention, nor the position of a well-fed could not stop a thief from the dark deeds. Criminal activity of Ablyazov led to the fact that for several years he led the management of the bank through offshore lion's share of bank assets. In total, we are talking about five billion dollars. The second part of the epic adventure began with a flight oligarch on the shores of Albion. Moreover, given the history of the most mysterious. Fugitive oligarch, against all logic and common sense has been treated kindly by the UK and was granted with political asylum. At this time, he starts real information war against Kazakhstan. At the same time in London there are quietly and sluggish judicial proceedings on the fact of his financial crimes. Only much later trial, gathering incredible detail, process captured the attention of the public, that realized how big the fraud was.

It should be noted that because of Ablyazov, Kazakhstan, along with Switzerland, ranked second after the United States to ensure the work of British lawyers. Which, incidentally, is not a business? A very profitable business work. And the longer the litigation lasts, the better. Why are gas and oil needed, if there is such a super-profitable source of income? It is clear that in these circumstances, any criminal, with big money count on the most fair justice in the world.

Interestingly, Britain inspired by fugitive billionaire, has initiated reform legislation in terms of increasing legal costs in large-scale commercial matters.

And now calculate the profit, if the case of Ablyazov goes there are 11 separate court process in which are involved, according to some reports, 50 to 100 best lawyers in Britain. In such circumstances, is quite surprising as Albion still has revised its attitude towards Ablyazov, in fact one of the major employers of lawyers in this country. Outlaw despite the efforts of the army of lawyers condemned the first 22 months in prison, and then completely stripped of the right to judicial protection.

Here I would like to say initially there is impression as Ablyazov is supported by certain forces. Today it is obvious oligarch is written off. Let's start with his escape from England. When the High Court of London ruled toward the detention, he fled to France. However, even this is not said about the death of Ablyazov as a political player. This is evidenced, first, by the fact that virtually all of his accomplices have been arrested by law enforcement. Spain has arrested an accomplice of Ablyazov who is suspected of organizing terrorist attacks in Almaty. Czech Republic has decided to extradite Tatiana Paraskevich, treasurer "IPG" Eurasia ", which is declared wanted by Ukrainian police in the investigation of the theft of BTA Bank's $ 4 million.

In Kazakhstan, in the case of Mukhtar Ablyazov is prosecuted 45 people. In Russia convicted by the court on 8 and 9 years, four top-manager of the company "Eurasia Logistics" involved in money laundering BTA Bank. And recently, the investigative department of the Russian Interior Ministry has finished investigating the case against the co-owner of the leasing company "Business" Dmitry Pak and its CEO Oleg Tsarev, who are accused of fraud on a large scale, and money laundering. The essence of the scam is that the leasing company has received a total of 70 for BTA Bank loans for $ 70 million, traces of which are subsequently lost in the offshore. As a result, the recipient of the loan payments was not BTA bank, and it is unclear where the undertaken Cypriot company "Kimos." By the way, the scheme of criminal fraud Ablyazov is through offshore companies have been the subject of an independent investigation by the International Consortium of Investigative Journalism (MKZHR). According to published reports, in the interests of Ablyazov is the BVI was incorporated 31 companies. Through the 25 companies on the list Abliyazov withdrawal of funds of the bank from 2005 to 2009. And this is perhaps the most striking evidence of loss oligarch encouraged. What is a consortium of investigative journalism? This structure, in which the music ordered influential people in the West. The central office of MKZHR is located in Washington . At the same time one of the main donors are the "Open Society" Soros and the Tides Foundation.

The activities has a clear pro-Western orientation. After all, the election is not accidental draining of information is mainly in China, Russia and former Soviet republics. And what Ablyazov is merged with the other - very symptomatic. Perhaps it is the next and last attempt to use it to achieve certain political interests. Mention of Ablyazov and other similar fugitive oligarchs can add believability to compromising data. To manipulate public opinion, such schemes are seen perfect, including to compromise any innocent people. The tactic is known, as familiar policy. Nowadays Ablyazov is nor supported from the west. He is alone. His estate is in London and particularly ''goes under the hammer. '' High Court of London issued a final order for the recovery, which authorizes the management company KPMG to sell three of the property class "luxury" belonging Ablyazov - a mansion in north London, the land area of over 40 hectares and g.Vindzor apartment in the St. Jones in London.And who knows, maybe tomorrow Interpol finally begin to see clearly and find the fugitive?

**Z.M.**

# გია ლომაძის გახსენება



28 მაისს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდებოდა ცნობილ ქართველ მწერალს, პუბლიცისტსა და ჟურნალისტს გია ლომაძეს.

გია ლომაძე დაიბადა 1953 წელს ქ. ფოთში. დაამთავრა ფოთის მე-2 საშუალო სკოლა. სწავლობდა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში (1970-1975).

პირველი მოთხრობა „თაბაშირის კაცი" გამოაქვეყნა 1977 წელს ჟურნალ „ცისკარში". მისმა მოთხრობებმა გამოსვლისთანავე მოიპოვა საყოველთაო აღიარება, ითარგმნა მრავალ ენაზე. თუმცა მისი შემოქმედებითი გზა იოლი არ ყოფილა, ვინაიდან იგი პირველივე პუბლიკაციებიდან აღმოჩნდა საბჭოთა ცენზურის შავ სიაში შეფასებით: „გია ლომაძე თალხ, შავ ფერებში ხედავს და ასახავს საბჭოთა სინამდვილეს". მსგავსი შეფასება, ფაქტობრივად, საბედისწერო განაჩენის ტოლფასი იყო ნებისმიერი შემოქმედისთვის.

80-იან წლებში გამოსცა ორი წიგნი: „კაცი გალავანზე" (1983) და „კროსვორდი" (1989).

1991 წელს „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნებული ციკლისთვის „დიდი ქალაქის პატარა მოთხრობები" თავისუფალი საქართველოს პირველი ლიტერატურული პრემია მიენიჭა.

რედაქტორობდა გაზეთ „ბანკს" (1992-1993), „სახალხო გაზეთს" (1996-2001), იყო საქართველოს პარლამენტის პრესცენტრის ხელმძღვანელი (1994-1995), საქართველოს პრეზიდენტის მთავარი კონსულტანტი მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობების საკითხებში (2002-2003). ამავე პერიოდში გამოსცა პუბლიცისტური წიგნები: „პრეზიდენტობის უფლება" (1995), „როგორ შეიქმნა ასლანდია" (1999), „ენითხუროები" (2002).

2003 წლის ნოემბრის ბოლოს გია ლომაძემ დატოვა სახელმწიფო სამსახური და დაუბრუნდა პროფესიონალურ მწერლობას. იმავე წელს გამოსცა მოთხრობების კრებული „ახალი ბაბილონი".

2012 წლის 13 ოქტომბერს 59 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა.

ახლახან გამოვიდა მისი ბოლო წიგნი, დეტექტიური რომანი „სალამი საქართველოდან".

**გია ლომაძის შემოქმედების თაყვანისმცემლებს ვაცნობებთ, რომ მისი წიგნების: მოთხრობების კრებულის „ახალი ბაბილონისა" და დეტექტიური რომანის „სალამი საქართველოდან" შეძენა შეუძლიათ გამომცემლობა „დილაში" მისამართზე: ზანდუკელის 1, მეტრო „რუსთაველის" უკან. ტელ.: 2 93 69 77.**







# ИრმA სიხარულიძე – უებარი მკურნალი



ქალბატონ ირმა სიხარულიძეს მაშინ მივმართეთ, როცა განკურნების იმედი გადაწურული გვქონდა ათასგვარი მკურნალობით და პროცედურით თავმობეზრებულებმა ეს ბოლო ცდად მივიჩნიეთ და ამან გაამართლა. ქალბატონი ირმა სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს ხალხური მეთოდით მკურნალობს. საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამლით იგი კურნავს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, პოლიართრიტს, რადიკულიტს, კისრის, მხრის, მენჯ-ბარძაყისა და მუხლ-სახსრის ართროზებს. ქუსლზე წანაზარდს და პოდაგრას.

წამალი მცენარეულია და უკუჩვენება არ აქვს. პროცედურა ტარდება მალამოს მასაჟირებით და საფენებით. ბუნებისგან ბოძებული ამ პანაცეით ქალბატონმა ირმამ ბევრი პაციენტი დაგვაყენა ფეხზე, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

მადლიერი პაციენტები.

**ქალბატონი ირმას კოორდინატები:**
**მის: თბილისი, ფოთის ქ.№2, (მეტრო წერეთელთან)**
**ტელეფონები: 2 34 21 63, 557 35 89 00**

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*
***მთვარისა კევლიშვილი.***
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**-რა ვადებში ხდება ნასამართლობის გაქარწყლება?**

-აღნიშნულ საკითხს არეგულირებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლი.

1-ლი ნაწილი: მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივის ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

მე-2 ნაწილი: სასჯელისაგან გათავისუფლებული ითვლება ნასამართლობის არმქონედ.

მე-3 ნაწილი: ნასამართლობა გაქარწყლდება:

ა/ პირობით მსჯავრდებულისა- გამოსაცდელი ვადის გასვლის სემდეგ;

ბ/თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულისა- სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ;

გ/ნაკლებად მძიმე დანაშაულისათის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა- სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ;

დ/მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა - სასჯელის მოხდიდან ექვსი წლის შემდეგ;

ე/ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა-სასჯელის მოხდიდან რვა წლის შემდეგ.

* * *

**-ვინ წყვეტს სასჯელის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხს?**

-ამ საკითხს წყვეტს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭო.

* * *

**-რა ვადებში ხდება ნასამართლობის გაქარწყლება?**

-აღნიშნულ საკითხს არეგულირებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლი.

1-ლი ნაწილი: მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივის ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

მე-2 ნაწილი: სასჯელისაგან გათავისუფლებული ითვლება ნასამართლობის არმქონედ.

მე-3 ნაწილი: ნასამართლობა გაქარწყლდება:

ა/ პირობით მსჯავრდებულისა- გამოსაცდელი ვადის გასვლის სემდეგ;

ბ/თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულისა - სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ;

გ/ნაკლებად მძიმე დანაშაულისათის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა- სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ;

დ/მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა -სასჯელის მოხდიდან ექვსი წლის შემდეგ;

ე/ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა-სასჯელის მოხდიდან რვა წლის შემდეგ.

* * *

**-მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს აქვს თუ არა უფლება, შეზღუდონ მშობლის უფლება?**

-არა.

გახსოვდეთ, სასამართლოს გარდა, არავის აქვს უფლება, შეზღუდოს მშობლის უფლება! მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება მოხდეს ერთი ან რამდენიმე უფლება-მოვალეობის შეზღუდვა.

* * *

**-შეიძლება თუ არა, დედასაც დაეკისროს ალიმენტის გადახდა?**

-შეიძლება.

მშობლები /იგულისხმება როგორც დედა, ისე მამა/, როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე ქორწინების შეწყვეტის შემდეგ მოვალენი არიან, არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი და, ასევე, სრულწლოვანი, მაგრამ შრომისუუნარო შვილები, რისთვისაც ყოველთვიურად უნდა გაიღონ გარკვეული ფულადი თანხა - სარჩო / ალიმენტი/. ალიმენტის ოდენობა განისაზღვრება იმ თანხით, რომელიც საჭიროა ბავშვის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის და მას მშობლები თავად განსაზღვრავენ როგორც საკუთარი, ისე შვილის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით. თუკი მშობლები ვერ შეთანხმდნენ, მაშინ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.



გარდა ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო ხარჯებისა, რისთვისაც ალიმენტია განკუთვნილი, მშობელს შეიძლება, ასევე, დაეკისროს დამატებით ხარჯებში მონაწილეობაც, რომელიც გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით, მაგალითად, ბავშვის მძიმე ავადმყოფობით, დასახიჩრებით და სხვა.

## რომელია ქალთა ყველაზე ბედნიერი სახელები



მეცნიერები დააკვირდნენ, რომელი სახელი როგორ მოქმედებს მის მფლობელზე. აღმოჩნდა, რომ სახელი არცთუ უმნიშვნელო როლს თამაშობს გოგონას ცხოვრებაში.

მაგალითად, ისეთ სახელებს, როგორებიც არის მარია, ეკატერინა, ანა, მათი მფლობელებისთვის წარმატების მოტანა შეუძლია. მაგრამ მსოფლიო დედოფალი, სახელი ელენა, იმდენად მნიშვნელოვანი სახელია, რომ ამ სახელს გულმოდგინების შემთხვევაში, მისი მფლობელისთვის უდიდესი კარიერული წარმატების მოტანა შეუძლია.

ფინანსურ უზრუნველყოფას მოგიტანთ სახელები — ევა, ალექსანდრა. რა შედეგებს მოიტანს სხვა სახელები? დანარჩენ სახელებზე კვლევა მიმდინარეობს და ჯერ ყველაფერი არაა ცნობილი.

## მამაკაცის ფეხებით მის შესახებ ბევრ რამეს შეიტყობთ



ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მამაკაცის ფეხები მის სექსუალურ საიდუმლოებებს ხსნის. მეცნიერები დარწმუნებულნი არიან, რომ მოუსვენარი ფეხები ერექციის დარღვევის პირველი ნიშანია.

კვლევა 6 წელიწადს გრძელდებოდა. სპეციალისტები 11000 მოხალისეს აკვირდებოდნენ. კვლევის დასაწყისში არც ერთი მოხალისე არ უჩიოდა პრობლემებს სექსში. აღმოჩნდა, რომ მამაკაცები, რომლებიც ძილშიც კი ვერ ასვენებენ ფეხებს 50 პროცენტით განიცდიან სქესობრივ დისფუნქციას. დარღვეული სქესობრივი შესაძლებლობების მიმანიშნებელია ხვრინვა, ალკოჰოლზე დამოკიდებულება, ჰიპერტონია, გასუქება, დიაბეტი. მოძრავი ფეხები კი ძილში შეიმჩნევა, როცა კიდურებზე კონტროლი შესუსტებულია. ქალბატონებო, ხშირად დააკვირდით მამაკაცის ფეხებს ძილში. მოძრაობენ? ე.ი. მამაკაცი ცოტა ხანში „გამოუსადეგარი“ გახდება.

## ნესვს არაჩვეულებრივი თვისებები აქვს

მეცნიერებმა ნესვის არაჩვეულებრივი თვისებები შეისწავლეს. აღმოჩნდა, რომ მას შეუძლია სტრესის მოხსნა და ბედნიერების ჰორმონის წარმოშობა. ამიტომაც ნესვს სტრესისგან გასათავისუფლებელი ყველაზე საუკეთესო საშუალება უწოდეს.



განსაკუთრებულობა მის შემადგენელ სუპეროქსიდისმუტაზშია. ეს ფერმენტი ადამიანში საკუთარი თავის რწმენას აძლიერებს, ხსნის დაღლილობას, აქრობს უძილობის სინდრომს, აფერხებს შიდაუჯრედოვან მომწამვლელ სტრესს.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ არ არის სახარბიელო ნესვის ჭამა თაფლთან და ალკოჰოლთან ერთად. უმჯობესია, თუ არ დალევთ რძეს ნესვის მირთმევის შემდეგ, ასეთ შემთხვევაში მას მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია.

## მუცელზე ძილი საზიანოა

ზოგიერთს ძალიან უყვარს მუცელზე ძილი. თუ ღამით მუცელზე გეძინათ, დილით თქვენს სახეს დააკვირდით. ის ნაოჭებით იქნება დაღარული, მართალია ნაოჭები მალე გაივლის, მაგრამ ის უკვალოდ არ ქრება. მედიკოსები გვირჩევენ, რომ სახის კანისთვის უმჯობესია ზურგზე იძინოთ.



მაგრამ უნდა ითქვას, რომ მუცელზე ძილი არა მხოლოდ თქვენი გარეგნობისთვის არის ცუდი, არამედ მთლიანად თქვენი ჯანმრთელობისთვის. ამ პოზაში ძილი აზიანებს შინაგან ორგანოებს. ქალებისთვის საზიანოა სარძევე ჯირკვლების ჯანმრთელობისთვისაც.

## მედიკოსებმა აღწერეს, რატომ არ უნდა გვეშინოდეს სიკვდილის



ბრიტანელმა მეცნიერებმა დაუჯერებელი აღმოჩენა გააკეთეს. ადამიანები, რომლებიც ხშირად ფიქრობენ სიკვდილზე და ეშინიათ გარდაცვალების, გულის შეტევა მათთვის ლეტალური შედეგით მთავრდება.

მეცნიერები მიხვდნენ, რომ სიკვდილის შიში ეს არა მხოლოდ ემოციის გადაჭარბებაა, ეს არის ფაქტორი, რომელიც პირდაპირ მოქმედებს ჯანმრთელობაზე. ის ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, ჩვენ ყველანი მოვკვდებითო, უფრო ძლიერი იმუნიტეტი აქვთ. იცოდეთ, რომ სიკვდილის შიში ჯანმრთელობისთვის არცთუ უსაფრთხო რამეა.

## კატები ადამიანებს შიზოფრენიით აავადებენ

ცნობილია, რომ კატებს მაგიური შესაძლებლობები აქვთ. შეუძლიათ წნევის დარეგულირება, ნერვული სისტემის დამშვიდება და ა.შ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველაფერი მოგონილი ყოფილა. კვლევამ, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ერთ ცნობილ ინსტიტუტში ჩატარდა, ცხადჰყო, რომ კატის ორგანიზმში პარაზიტი ბუდობს, რომელიც ოთხფეხას პატრონს გარკვეულწილად, დამოკიდებულს ხდის ცხოველზე.

პარაზიტი ერთუჯრედიანია და ტოქსოპლაზმის სახელით იცნობს მეცნიერება, იგი ტოქსოპლაზმოზის წარმომშობი არსებაა. ტოქსოპლაზმა ადამიანის ორგანიზმში ყველის ანდა არასაკმარისად მოხარშული ხორცის საშუალებით ხვდება. კატის პატრონების ორგანზმში ეს პარაზიტი ცხოველის ექსკრემენტის საშუალებით შედის საკმარისია ექსკრემენტზე ხელით შეხება.

ამ დაავადებით უფრო ხშირად იმუნიტეტდაქვეითებული ადამიანები სნეულდებიან. მაგრამ განსაკუთრებით საშიშია ტოქსოპლაზმის ორსულის ორგანიზმში მოხვედრა, რადგან ეს ნაყოფის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს.



ბაქტერიამ შეიძლება ადამიანს შიზოფრენიაც განუვითაროს, მაგრამ ტოქსოპლაზმა ყველაზე საინტერესო მაინც იმით არის, რომ, მაგალითად, კატა ნადირობის პროცესში მომხიბვლელი ხდება მსხვერპლისთვის, მაგალითად ვირთხისთვის. პარაზიტი აზომბირებს მსხვერპლს. ამასთანავე, ვირთხებიც, რომლებიც ტოქსპლაზმით „აღჭურვილი“ კატის სიახლოვეს აღმოჩნდებიან, ტვინში ისეთი სახის ცვლილებები მიმდინარეობს, როგორც სექსუალური სიმოვნებისგან მოგვრილი შეგრძნებები.

მინესოტას უნივერსიტეტის მეცნიერ-მკვლევარებმა კი დაადგინეს, რომ ადამიანები, რომლებსაც სახლში ფუმფულა ოთხფეხა მეგობარი ჰყავთ, დიდხანს ცოცხლობენ. რატომ? ამ ფაქტს არა აქვს მეცნიერული ახსნა. სწავლულები ამას სტრესულ სიტუაციებში ცხოველების ფაქტორს მიაწერენ, ძაღლი, კატა და სხვა შინაური ცხოველები ერთგვარად ხსნიან სტრესულ ზეწოლებს. არადა, სტრესი ჯანმრთელობის პირველი და უვერაგესი მტერია. ასე რომ, მეცნიერები უკვე შეთანხმდნენ, რომ კატების „პატრონების“ 30 პროცენტი სწორედ ამ შინაურმა ცხოველმა გადაარჩინა გულის უკმარისობისგან სიკვდილს.

ზემოთაც გითხარით, ფისოები არეგულირებენ წნევას, მათ ფუმფულა სხეულთან შეხება რამდენადმე შველის ნევრალგიას, თბილი ტანი და წყნარი კრუსუნი ადამიანს ტკივილს ავიწყებს, ამასთანავე კატუნებს შეუძლიათ მოხსნან დაღლილობა, სტრესი, მიგრენა, დაარეგულირონ თქვენი მაჯისცემა, რამდენადმე კურნავენ რევმატიზმსა და თქვენ წარმოიდგინეთ, კუჭის წყლულსაც კი.

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — უცნობთან დაწყებული თანამშრომლობა თქვენი კარიერისთვის ძალიან სასარგებლო აღმოჩნდება. ფინანსური საკითხების მოგვარებისას არ აჩქარდეთ — უფრო გათვლილი და ბალანსირებული მოქმედება გმართებთ. ოჯახში მომწიფებული კონფლიქტის განმუხტვა მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ.

**კურო** — ყველას, განსაკუთრებით კი, საკუთარი თავის მიმართ ძალიან მომთხოვნი ხართ და უარს ვერავისგან აიტანთ. გონება კარგად გიმუშავებთ და ფინანსურ პრობლემებს შესანიშნავად აგვარებთ. ოჯახში ძალიან მშვიდი და ჰარმონიული სიტუაცია გაქვთ.

**ტყუპები** — ტყუპების ენერგეტიკული მდგომარეობა საკმაოდ არამდგრადია და კარგი იქნება, თუ სიმშვიდეს და კეთილგანწყობას შეინარჩუნებთ. თუმცა თქვენს მატერიალურ მდგომარეობაზე წუწუნი ნამდვილად არ მოგიწევთ.

**კირჩხიბი** — სიმშვიდე და გაწონასწორება გჭირდებათ. იმ უამრავი საქმიანი წინადადებიდან, რომლებსაც ამ დღეებში შემოგთავაზებენ, არცერთი ივარგებს და ამდენად, დაფიქრებაც არ ღირს.

**ლომი** — თუ ამ კვირას ახალი სამსახურებრივი რომანით დაიწყებთ, აუცილებლად გამიჯნეთ ერთმანეთისგან საქმე და პირადი საკითხები. სასიყვარულო ურთიერთობებში კი მართლაც ცხელი დღეები გაქვთ.

**ქალწული** — თქვენი კარიერის საკითხით, ბოლოს და ბოლოს, საკმაოდ კომპეტენტური პირებიც დაინტერესდებიან და დიდი ხნის ნანატრ წარმატებასაც მიაღწევთ.

**სასწორი** — ერთობლივ პროექტზე იწყებთ მუშაობას, რომელიც აუცილებლად წარმატებით დაგვირგვინდება და ამ საქმიდან სხვებზე მეტად თქვენ ისარგებლებთ. ფინანსების საქმე ნამდვილად გამოსწორების გზაზეა.

**მორიელი** — ეს კვირა საკმაოდ ნელა და მძიმედ იწყება, მაგრამ ყველასთვის და განსაკუთრებით თქვენთვის, მოულოდნელი შედეგებით დასრულდება.

**მშვილდოსანი** — მხოლოდ კარიერაზე ფიქრობთ და თქვენი პირადი ცხოვრება უკანა პლანზე გადადის. არ არის გამორიცხული, რომ ამის გამო საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენა გამოგრჩეთ და გვიან მიხვდეთ.

**თხის რქა** — სარისკო საქმეებს, ჯობია თავი აარიდოთ. განსაკუთრებით კი კანონსაწინაალმდეგო ქმედებებს ერიდეთ. ოჯახში თითქმის ერთგვარი გაუცხოება შეინიშნება, მაგრამ დროებით ერთმანეთისგან დასვენება ყველასათვის სასარგებლო აღმოჩნდება.

**მერწყული** — საკმაოდ დაძაბული მოვლენების ცენტრში აღმოჩნდებით და მაქსიმალური შემართების და მოთმინების გამოჩენა მოგიწევთ.

**თევზები** — ფინანსური საკითხები ამ კვირაში ნაკლებად გადარდებთ, ოჯახის წევრებსაც საკმაოდ სერიოზული პრობლემები აქვთ, მაგრამ კვირის ბოლოსთვის ყველაფერი მოგვარდება.

ISSN 2233-3983

9 772233 398001